ანტიგენდერული და ანტიდვიხქი

მობილიზება საქართველოში

MDF
მედიის განვითარების ფონდი
MEDIA DEVELOPMENT FOUNDATION

ანტიშენდერული და ანტიდგბტქი

მობილიზება საქართველოში

Federal Foreign Office
CIVIL SOCIETY COOPERATION
wecf
MDF
unag
USAID

ავტორი:
თამარ კინწურაშვილი, თინა გოგოლაძე

მონაცემების დამუშავება:
მაკო ცუცქირიძე, სალომე გიუნაშვილი, სანდრო გიგაური

მედია მონიტორები:
თამარ გაგნიაშვილი, სოფო ჩხაიძე, მაია ჩალაღანიძე, მარიამ ქავთარაძე, სოფო გოგაძე

გარეკანის ილუსტრაცია:
JORM SANGSORN, Shutterstock

დიზაინი:
ბესიკ დანელია, IBDESIGN

ანგარიში მომზადდა მედიის განვითარების ფონდის (MDF) მიერ პროექტის „ქალები და მათი უფლებები: ეთიკური მედია კავკასიაში“ ფარგლებში. პროექტი დაფინანსებულია გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს „სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობის“ პროგრამის ფარგლებში WECF-თან პარტნიორობით.

ანგარიში ეყრდნობა მედია მონიტორინგის მონაცემებს, რომელსაც მედიის განვითარების ფონდი პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში ახორციელებს. პროგრამა ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის (UNAG) მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის პუბლიკაციის ავტორ(ებ)ს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

© 2023, მედიის განვითარების ფონდი

ISBN 978-9941-8-5208-4

WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.GENDERBAROMETER.GE

შესავალი

მზარდ პოპულიზმთან ერთად გენდერული და ლგბტქი იდენტობის თემებზე საზოგადოებრივი აზრით მანიპულირება ბოლო წლებში არა მხოლოდ უფლებრივ პრობლემად, არამედ პოლიტიკურ გამოწვევადაც იქცა. დამაზიანებელი ინფორმაცია, რომელიც მგრძნობიარე თემებზე პედალირებით საზოგადოების დაპირისპირებას, მის ღირებულებებსა და პოლიტიკურ სისტემებზე გავლენის მოხდენას ისახავს მიზნად, საფრთხეს უქმნის საზოგადოებას და ხშირად უცხო ქვეყნის საინფორმაციო ჩარევებს, ასევე ქვეყნის შიგნით არსებულ პოლარიზაციას უკავშირდება. ანტილიბერალურ დისკურსთან ერთად სახეზეა პოლიტიკური ოპონენტების, ჟურნალისტებისა და აქტივისტების წინააღმდეგ მიზანმიმართული დისკრედიტაციის კამპანიები, რომელთა უკან ანონიმური და მავნე აქტორები დგანან.

წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში ანტიგენდერული და ანტილიბერალური დისკურსის, ასევე იმ მთავარი აქტორების შესწავლა, ვინც იდენტობასთან დაკავშირებული საკითხების საფრთხეების კონტექსტში კონვერტირებას ცდილობს, რათა ამ თემებზე საზოგადოებრივი აზრის მობილიზება მოახდინოს.

ანგარიშის I ნაწილი სექსისტური სიძულვილის ენის/გენდერული სტერეოტიპიზაციისა და ჰომოფობიის რაოდენობრივ მონაცემებს და ტერმინოლოგიას მიმოიხილავს, რომელსაც მეორე ნაწილში ამავე ინდიკატორების საფუძველზე თვისებრივი ანალიზი მოსდევს. III ნაწილი იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტისა და ბავშვების დაცვის მოტივით საზოგადოების მობილიზების მიზნით გავრცელებულ მთავარ გზავნილებს მიმოიხილავს. IV თავში ის კანონმდებლობაა მიმოხილული, რომლის რევიზიას ან ინიცირებას ანტილიბერალური ჯგუფები ადვოკატირებენ. ანგარიშის V ნაწილი უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირებასა და ჩარევას (FIMI), ასევე გენდერულ დეზინფორმაციასა და მონიტორინგის პროცესში გამოვლენ ცალკეულ მაგალითებს აერთიანებს. დასკვნით ნაწილში კი მოცემულია ინფორმაცია მთავარი აქტორების შესახებ, ვინც სექსისტურ ენას და ჰომოფობიას, ანტილიბერალურ განწყობებს ყველაზე მეტად ახალისებს.

მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია საქართველოში ანტიგენდერული და ანტილიბერალური დისკურსის, ასევე იმ მთავარი აქტორების შესწავლა, ვინც გენდერული და ლგბტქი იდენტობის თემებს მანიპულაციურ ან ყალბ კონტექსტში წარმოაჩენს.

კვლევა შერეული მეთოდოლოგიით ხორციელდება: გამოყენებულია როგორც სამაგიდო კვლევა, ასევე მედია მონიტორინგი. მედია მონიტორინგის მონაცემების ანალიზი როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი მეთოდით ხორციელდება.

სამაგიდო კვლევა. სამაგიდო კვლევაში გაანალიზებულია ის საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც საქართველოში მოქმედი ლიბერალური კანონმდებლობის შეცვლის მიზნით, პარლამენტში დარეგისტრირდა.

მედია მონიტორინგი. სოციალური მედიის მონიტორინგისთვის გამოყენებულია ფეისბუქის ანალიტიკური ინსტრუმენტი Crowdtangle. სოციალური მედიის მონიტორინგის გარდა, გამოყენებულია ტრადიციული მედიის (ტელევიზია, ონლაინ მედია, ბეჭდვითი მედია) მონიტორინგის მიგნებები.

დაკვირვების საგანია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის/სტერეოტიპიზაციის:

- თემატიკა,
- დარღვევის ტიპოლოგია,
- წყაროები
- ადრესატები
- ტერმინოლოგია.

რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს სტატისტიკას დარღვევის კატეგორიების, თემების და წყაროების (ტრადიციული მედია, ფეისბუქ ანგარიშები, პარტიები, სასულიერო პირები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საზოგადოება), ასევე, სექსისტური სიძულვილის ენის სამიზნეების და გამოყენებული ტერმინების მიხედვით.

- თემატიკა, მოიცავს, როგორც ფართო საკითხებს, როგორიცაა პოლიტიკა, კანონმდებლობა, განათლება, გენდერი და სხვა, ასევე სპეციფიურ საკითხებს, რაც მედიის განვითარების ფონდის ადრე ჩატარებული კვლევების საფუძველზე განისაზღვრა. კერძოდ:
- ღირებულებების დაცვა
- იდენტობის დაცვა
- ოჯახების ინსტიტუტის დაცვა
- ბავშვების დაცვა.

წინა კვლევების საფუძველზე ასევე განისაზღვრა კანონმდებლობასთან დაკავშირებული სპეციფიური თემატიკა, რომელიც როგორც მოქმედ კანონებს, ასევე საკანონმდებლო ინიციატივებს აერთიანებს. ესენია:

მოქმედი კანონმდენლობა / საერთაშორისო ხელშეკრულებები	საკანონმდებლო ინიციატივები
ანტიდისკრიმინაციული კანონი	გეი პროპაგანდის აკრძალვა
კანონმდებლობა ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ	აბორტის აკრძალვა
ბავშვთა კოდექსი, იუვენალური კანონმდებლობა	არასამთავრობოების აკრძალვა / უცხოეთიდან დაფინანსების შეზღუდვა
სტამბოლის კონვენცია	სხვა

თვისებრივი ნაწილი მოიცავს გზავნილების ტიპოლოგიას, მაგალითებს სექსისტური სიძულვილის ენის ფორმების და ინდიკატორების მიხედვით, ასევე ვიზუალური (ვიდეო და ფოტო) მანიპულაციის ტიპებს. დარღვევის ტიპოლოგია განისაზღვრა გენდერბარომეტრის ინდიკატორების მიხედვით, რომლებიც, თავის მხრივ, საექსპერტო ფოკუს ჯგუფების საფუძველზე ორგანიზაციამ „საფარი“ შეიმუშავა. წინამდებარე კვლევა ამ მეთოდოლოგიის იმ 6 ინდიკატორს ეყრდნობა, რომელიც წინასაარჩევნო პერიოდში ჩატარებული საპილოტე კვლევის დროს ყველაზე ხშირად გამოიყენებოდა. კერძოდ:

- **სექსიზმი / მიზოგინია** – ქალებსა და ქალთა უფლებებზე თავდასხმები;

- **გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა** – შეურაცხყოფის მიყენება და დაცინვა სხეულის, გარეგნობის, საუბრის მანერის, ჩაცმულობის ნიადაგზე;
- **ეიჯიზმი** – დისკრიმინაცია ასაკის ნიშნით;
- **გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფა / დაცინვა** – ინტელექტუალური უნარების, გამოცდილების, კომპეტენციების დაკნინება;
- **მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა** – ზნეობრივი ღირებულებების საფუძველზე თავდასხმა;
- **გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა** – თავდასხმები ქალის გენდერული როლის, ქცევის, დანიშნულების, საქმიანობის თუ სხვა მახასიათებლის შესახებ სტერეოტიპული წარმოდგენების საფუძველზე.

მედია მონიტორინგის სუბიექტების შერჩევა. მონიტორინგის სუბიექტებად შეირჩა ტრადიციული მედიის 10 გამოცემა (ტვ – 5, ბეჭდური – 3, ონლაინ გამოცემები – 2), ასევე 149 ფეისბუქ ანგარიში (ფეისბუქ გვერდი – 130, ფეისბუქ ჯგუფი – 6, ინდივიდუალური ანგარიშები 13). აღსანიშნავია, რომ ტრადიციულ მედიაში კომუნიკაციების კომისიის მიერ ავტორიზებული ის ტელევიზიებიც არიან შეყვანილი, რომლებიც როგორც სატელევიზიო სიხშირეებზე, ასევე ფეისბუქ გვერდზეც მაუწყებლობენ.

ტრადიციული მედიებიდან შემდეგი სუბიექტების შერჩევა მოხდა:

- **ტელევიზიები:** სატელევიზიო რეიტინგებში მოწინავე ტელეარხების თოქ-შოუები – ტვ იმედის „იმედი ლაივი“ და მთავარი არხის „ღამის მთავარი“, რომლებსაც განსხვავებული სარედაქციო პოლიტიკა აქვთ და პოლიტიკური პოლარიზაციის სხვადასხვა პოლუსებს (სეხელისუფლებო, ოპოზიცური) წარმოადგენენ. ანტილიბერალური და კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის ტელევიზიების თოქ-შოუები, რომელთა ნაწილი სოციალურ ქსელ ფეისბუქში უფრო აქტიურად ოპერირებს და მათი შერჩევა ამ გამოცემების ანტილიბერალური სარედაქციო პოლიტიკის გამო მოხდა. ეს პლატფორმებია: კრემლისტურ პარტიებთან „პატრიოტთა ალიანსთან“ დაკავშირებული „ობიექტივი“ (სტუდია N8) და კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული „ალტ-ინფო“ (ალტ-ანალიტიკა), ასევე სეზონი ტვ (დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად), რომლის მფლობელი სტალინისტი და მოძრაობა „ერთად ძლიერი საქართველოსთვის“ წევრი, ყოფილი მოკრივე გიორგი კანდელაკია.
- **გაზეთები:** ანტილიბერალური და ანტიდასავლური სარედაქციო პოლიტიკის გამოცემები „ასავალ-დასავალი“ და „ალია“.
- **ონლაინ გამოცემები:** კრემლისტური სარედაქციო პოლიტიკის „საქართველო და მსოფლიო“ (www.geworld.ge) და მასთან დაკავშირებული Split News (www.spnews.io/ge).

გარდა ტრადიციული მედიისა, სოციალურ ქსელებში მონიტორინგის სუბიექტებად შემდეგი აქტორების ფეისბუქ ანგარიშები შეირჩა:

1. **ულტრამემარჯვენე, ანტილიბერალური/კრემლისტური ჯგუფები:** ა) მსოფლიო საოჯახო კონ-გრესის საქართველოს წარმომადგენელ ლევან ვასაძესთან; ბ) ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობასთან; გ) პატრიოტთა ალიანსთან; დ) ქართულ მარშთან; დ) ქართულ იდეასთან ე) პრიმაკოვის რუსულ-ქართულ ცენტრთან და სხვა აქტორებთან დაკავშირებული ანგარიშები.
2. **რელიგიური ჯგუფები:** ცალკეული სასულიერო პირების ფეისბუქ გვერდები და ინდივიდუალუ-რი ანგარიშები, რელიგიური ფეისბუქ გვერდები.
3. **სხვადასხვა ანტილიბერალური/კონსერვატიული პლატფორმები.**
4. **ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშები.**
5. **ოპოზიციასთან დაკავშირებული ანგარიშები.**

მონიტორინგის სუბიექტი ფეისბუქ ანგარიშების სრული სია, რომელიც პერიოდულად ახლდება, ხელმისაწვდომია გენდერბარომეტრის ვებ-გვერდზე: https://genderbarometer.ge/methodology/

საფარის მიერ შემუშავებული სექსისტური სიძულვილის ენის ინდიკატორები ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://bit.ly/3j6Tp9y

შინაარსი

	მთავარი მიგნებები	10
	სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია და ჰომოფობია	
1.1.	ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები	15
1.2.	სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია	16
1.3.	ჰომოფობია	21
1.4	ტერმინოლოგია	25
	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპიზაციის თვისებრივი ანალიზი	
2.1.	სექსიზმი/მიზოგინია	33
2.2.	მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა	35
2.3.	გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა	41
2.4.	გონებრივი ნიშნით შეურაცხყოფა	42
2.5.	გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფა / დაცინვა	44
2.6.	ეიჯიზმი	47
	მობილიზება იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტის და ბავშვების დასაცავად	
3.1	ღირებულებების დაცვა	49
3.2	იდენტობის დაცვა	54
3.3	ოჯახის ინსტიტუტის დაცვა	57
3.4	ბავშვების დაცვა	63
	კანონმდებლობა	
4.1	ანტილიბერალური საკანონმდებლო ინიციატივები	67
4.2	კანონმდებლობის რევიზიის ადვოკატირება საჯარო დისკურსში	71
	FIMI და გენდერული დეზინფორმაცია	
5.1.	უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირება და ჩარევა – FIMI	74
5.2	გენდერული დეზინფორმაცია	78
	მთავარი აქტორები	
	კრემლისტური და კონსერვატიული აქტორები	83
	სასულიერო პირები	85
	ხელისუფლებასთან და ოპოზიციასთან დაკავშირებული ანონიმური ფეისბუქ ანგარიშები	87

დიაგრამები და ცხრილები

დიაგრამა 1.	ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი კომენტარების / პოსტების საერთო რაოდენობა	15
დიაგრამა 2.	ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი კომენტარები / პოსტები ტრადიციული და სოციალური მედიის (Facebook) მიხედვით	16
დიაგრამა 3.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია ტრადიციულ და სოციალურ (Facebook) მედიებში	17
დიაგრამა 4.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ (Facebook) მედიებში	18
დიაგრამა 5.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების წყაროები	18
დიაგრამა 6.	სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია წყაროების მიხედვით	20
დიაგრამა 7.	ჰომოფობიური გზავნილების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ (Facebook) მედიებში	22
დიაგრამა 8.	ჰომოფობიის წყაროები	22
დიაგრამა 9.	ჰომოფობია – წყაროები სუბიექტების მიხედვით	24
დიაგრამა 10.	შეურაცხმყოფელი ლექსიკის ადრესატი ქალები ინსტიტუციონალური და სხვა აფილაციის მიხედვით	28
დიაგრამა 11.	შეურაცხმყოფელი ლექსიკის ადრესატი ქალები (ყველაზე ხშირი შემთხვევები)	29
დიაგრამა 12.	გენდერთან დაკავშირებული 4 სპეციფიკური თემის ხვედრითი წილი	48
დიაგრამა 13.	ღირებულებების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	50
დიაგრამა 14.	იდენტობის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	55
დიაგრამა 15.	ოჯახის ინსტიტუტის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	58
დიაგრამა 16.	ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები	63
დიაგრამა 17.	კანონმდებლობის რევიზიასთან დაკავშირებული საკითხები	73
ცხრილი 1.	შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია სექსისტური და გენდერული სტერეოტიპების 6 კატეგორიის მიხედვით	26
ცხრილი 2.	ჰომოფობიური ტერმინები	30
ცხრილი 3.	საქართველოს პარლამენტში 2014-2022 წლებში რეგისტრირებული საკანონმდებლო ინიციატივები	69
ინფოგრაფიკა 1.	ინფორმაციული ქაოსის ფაზები და ყალბი ინფორმაციის გავრცელების მედია ეკოსისტემა	77
ინფოგრაფიკა 2.	ანტი-გენდერული, ანტი-ლგბტქი გზავნილების მთავარი წყაროები	88

| მთავარი მიგნებები

- მონიტორინგის შედეგად გენდერული და ლგბტქი კუთვნილების თემაზე ჯამში 987 დისკრიმინაციული შინაარსი გამოვლინდა, რომელთა უმრავლესობა ჰომოფობიური ხასიათის იყო (64,6%), სექსისტური სიძულვილის ენისა და გენდერული სტერეოტიპების მაგალითები კი – შედარებით ნაკლები (35,4%);
- სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპების ინდიკატორებით პირველ ადგილს სექსიზმი და მიზოგინია იკავებს, რასაც ქალების მორალური კრიტერიუმებით და გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის შემთხვევები მოსდევს;
- ტრადიციულ მედიაში გამოვლენილი სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპების 193 შემთხვევიდან, უმრავლესობა უშუალოდ გენდერის თემას უკავშირდებოდა. პოლიტიკასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული განცხადებები მეტწილად ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ იყო მიმართული;
- გენდერთან დაკავშირებული კანონმდებლობის თემა დიდწილად ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობას შეეხებოდა და ამკვიდრებდა აზრს, რომ მამაკაცების მიმართ სამართლებრივი დევნა მიზანმიმართულად და უსაფუძვლოდ ხდებოდა;
- როგორც სექსისტური სიძულვილის ენა, ასევე ჰომოფობიური შეფასებები ყოველთვის იდენტობით არ იყო განპირობებული და ხშირად პოლიტიკური ოპონირების ფარგლებში, ან სამოქალაქო აქტივიზმში დისკრიმინაციულად გამოიყენებოდა;
- ოპოზიციასთან დაკავშირებული ანონიმური ფეისბუქ ანგარიში პოლიტიკური ოპონირების ფარგლებში გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვას მეტად მიმართავდა, ხოლო მმართველ პარტიასთან დაკავშირებული ანგარიშები – მორალური კრიტერიუმებით თავდასხმას.
- თუ მრუშობასთან დაკავშირებულ ტერმინებს ქალების მიმართ მათი პოლიტიკური აქტივობის გამო იყენებდნენ, გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ ტერმინებს (ქალკაცა, გაურკვეველი სქესი) როგორც პოლიტიკოსების, ასევე სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ მიმარ-

თავდნენ, ხოლო ლიბერალური იდეოლოგიის მხარდამჭერებს ტერმინ „ლიბერასტით“ (ლიბერალის და პიდარასტის კომბინაცია) მოიხსენიებდნენ.

- ქალთა მიმართ შეურაცხმყოფელი ლექსიკა ხშირად ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას უკავშირდებოდა, რა დროსაც ოპონირების რეჟიმში სექსისტური და მიზოგენიური ტერმინები გამოიყენებოდა;
- ქალების მიმართ ყველაზე მეტი შეურაცმხყოფელი ტერმინი მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის კატეგორიას განეკუთვნება;
- შეურაცხმყოფელი ლექსიკის ადრესატები უმეტესად ოპოზიციონერი ქალები იყვნენ (22,9%), რომელთაც თითქმის თანაბრად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები/აქტივისტები (14,9%) და დიპლომატები და დასავლელი პოლიტიკოსი ქალები (14,5%) მოსდევენ;
- შეურაცხმყოფელი ლექსიკა ყველაზე ხშირად საქართველოში ამერიკის ელჩის კელი დეგნანის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელსაც მცირედი სხვაობით საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი და ოპოზიციური პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია მოსდევენ.
- ლბგტქი+ ადამიანების მიმართ გამოყენებული შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია მათ ქცევასთან და იდენტობასთან იყო დაკავშირებული. ანტიდასავლური ჰომოფობიური ტერმინები კი ევროპას / დასავლეთს ჰომოსექსუალობასთან და გარყვნილებათან აიგივებდა.

სექსისტური სიძულვილის ენა / სტერეოტიპიზაცია

- სექსიზმის / მიზოგინიის ნიშნით ქალებზე თავდასხმები, ერთი მხრივ, ქალთა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობას, მეორე მხრივ კი – ზოგადად ქალთა უფლებრივ საკითხებს უკავშირდებოდა;
- თბილისში ირანელი უფლებადამცველის მხარდასაჭერად გამართული აქციები ქალთა უფლებებზე თავდასხმის და პოლიტიკური მანიპულაციების საფუძველი გახდა, რა დროსაც მკვიდრდებოდა აზრი, რომ პროტესტი არა ირანელი ქალების უფლებებს, არამედ ამერიკის ინტერესს უკავშირდებოდა, რევოლუციური გზით შეეცვალა ადგილობრივი ხელისუფლება;
- მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის მხრივ, გზავნილები ადრესატების რეპუტაციის შელახვას და მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმებით გაკიცხვას ისახავდა მიზნად და მხოლოდ სექსუალობის კომპონენტით არ შემოიფარგლებოდა: ხშირად ქალი პოლიტიკოსებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების ანტიეროვნულ ქმედებებში, ჯაშუშობასა და ანგარებაში დადანაშაულებაც ხდებოდა;
- გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის შემთხვევაში, ერთის მხრივ, ქალები მათი არაქალური გარეგნობისა თუ საქციელის გამო „გაურკვეველი სქესის არსებებად“ იყვნენ მოხსენიებული, მეორე მხრივ კი, გავრცელებული კომენტარები „ნამდვილი ქალის“ ქცევის სტანდარტს სტერეოტიპულად განსაზღვრავდა;

- გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით ქალებზე თავდასხმების დროს ისეთი ტერმინები („უვიცი“, „შტერი“, „ქერქეტა“, „სულელი“) გამოიყენებოდა, რაც მათ ინტელექტუალურ უნარებს, კომპეტენციასა და გამოცდილებას ეჭვქვეშ აყენებდა.

მობილიზება იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტისა და ბავშვების დასაცავად

- ანტილიბერალური ჯგუფები საზოგადოების მობილიზებას 4 თემის ირგვლივ ახდენდნენ, როგორიცაა იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტისა და ბავშვების დაცვა;
- გაანალიზებული 398 კომენტარიდან ღირებულებების (32,4%) და იდენტობის (31.7%) დაცვის თემა თითქმის თანაბრად დომინირებდა;
- ქალები მეტწილად ოჯახთან დაკავშირებულ გზავნილებში ფიგურირებდნენ და ნაწილობრივ ბავშვთა თემატიკაში, სადაც ქალთა უფლებების დაცვა ბავშვების უფლებების ხელყოფასთან იყო გათანაბრებული. ამასთანავე როგორც იდენტობის, ასევე ღირებულებების და ნაწილობრივ ბავშვების თემატიკაში ლგბტქ(ი) იდენტობის ადამიანები ფიგურირებდნენ და ზოგადად გენდერული თვითგამორკვევის საკითხები დომინირებდა.
- ღირებულებების თემაზე ყველაზე მეტი გზავნილი ანტიდასავლური შინაარსის იყო, სადაც კრემლისტური აქტორები მცდარი დილემის ტექნიკის გამოყენებით, დასავლეთის საპირწონედ, რომელიც მსოფლიოს „ლგბტიზაციისთვის“ იბრძვის, მართლმადიდებელ რუსეთს სახავდნენ;
- უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციაც იდენტობის დაცვის პრიზმაში იყო განხილული, რაც რუსეთის პასუხისმგებლობიდან ფოკუსის მგრძნობიარე თემებზე გადატანას ისახავდა მიზნად;
- იდენტობის დაცვის საბაბით მამობილიზებელი გზავნილების ყველაზე დიდი წილიც ანტიდასავლური შინაარსის იყო და ამკვიდრებდა აზრს, რომ დასავლეთში ინტეგრირება გენდერული იდენტობის დაკარგვის საფრთხეს შეიცავდა;
- ჰომოსექსუალობა ღვთის ნების წინააღმდეგ ჯანყად, ავადმყოფობად და მომაკვდინებელ ცოდვად იყო წარმოჩენილი, ხოლო ლგბტქი თემის თვითგამოხატვა – დესტაბილიზაციის, სხვა ადამიანების პროვოცირების მცდელობად და ჰომოსექსუალობის პროპაგანდად;
- ოჯახთან დაკავშირებულ თემატიკაში აბორტის შესახებ გზავნილები დომინირებდა, რა დროსაც ფეხმძიმობის ყველა ფორმით შეწყვეტა ცოდვად და მკვლელობად განიხილებოდა. ამასთანავე, ქალთა უფლებრივი საკითხები, ფემინიზმი ოჯახისთვის და დემოგრაფიისთვის საფრთხედ იყო განხილული, ხოლო ოჯახის საქმეებში ჩარევა – ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად;
- ბავშვებისთვის საფრთხედ ლიბერალები და ლგბტქი ადამიანები, ასევე ჰომოსექსუალობის პროპაგანდა სახელდებოდა. თემატიკის დიდი წილი ფორმალურ თუ არაფორმალურ განათ-

ლებაში თანასწორობის საკითხებისა და სექსუალური განათლების სწავლებას და ანტიდისკრიმინაციულ კანონს ეხებოდა, რომელიც ბავშვთა უფლებების ხელმყოფად იყო წარმოჩენილი;

კანონმდებლობა

- პარლამენტში რეგისტრირებული საკანონმდებლო ინიციატივებიდან, რომლებიც 8 მოქმედ კანონში ცვლილებების შეტანას შეეხებოდა, 1 აბორტს უკავშირდებოდა, 1 – რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას, 6 კი გენდერული და სექსუალური იდენტობის ნიშნით ამ ჯგუფების უფლებების ხელყოფას ითვალისწინებდა;
- განხილული საკანონმდებლო ინიციატივების ავტორებად კრემლისტური პარტიები და ორგანიზაციები, ანტილიბერალური აქტორები და ინდივიდუალური პარლამენტის წევრები გვევლინებიან;
- მონიტორინგის სუბიექტ პლატფორმებზე კანონმდებლობის გადახედვის მოთხოვნები ლგბტქი ჯგუფების უფლებების შეზღუდვას, არასამთავრობო სექტორის რეგულირებას და ქალთა და ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის რევიზიას უკავშირდებოდა;
- ამ მიმართულებით ლგბტქი ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხები დომინირებდა, რაც როგორც „გეი პროპაგანდის“ აკრძალვას, თემის წარმომადგენელთა შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას ითხოვდა;
- აქტუალური განსჯის საგანი იყო მაუწყებლობის შესახებ კანონში ინიცირებული ცვლილებები, რაც სიძულვილის ენის მედიის თვითრეგულირებიდან რეგულირებაში გადატანას გულისხმობს და ქრისტიანების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვად იყო ინტერპრეტირებული, ასევე ევროკავშირის მიერ თავსმოხვეულად წარმოჩენილი;
- ქალთა უფლებებთან დაკავშირებით აბორტების კრიმინალიზების მოთხოვნის გარდა, ოჯახური ძალადობისა და ფემიციდის კანონმდებლობის რევიზიის საკითხები ფიგურირებდა;
- კაცების პასუხისმგებლობაში მიცემის საკანონმდებლო ნორმები სტამბოლის კონვენციით და ევროკავშირში ინტეგრაციის 12 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებად იყო წარმოდგენილი, რომელიც გენოფონდის განადგურების პოლიტიკასთან იყო გათანაბრებული.

FIMI და გენდერული დეზინფორმაცია

- გამოვლენილი დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის მაგალითები, ერთის მხრივ, უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირებისა და ჩარევის (FIMI) შემთხვევებს განიხილავს და ანტილიბერალურ დისკურსს და გეოპოლიტიკურ კონტექსს შეეხება, მეორე მხრივ კი, ქალების, ლგბტქი თემის წევრისა და პოლიტიკოსების წინააღმდეგ ჰომოფობიურ კონტექსტში მიზანმიმართულად გავრცელებულ მაგალითებს აერთიანებს;

- მონიტორინგის პერიოდში ანტილიბერალურ დისკურსთან დაკავშირებული ერთი შემთხვევა გამოვლინდა, რომელიც უკრაინის ომთან მიმართებით როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში, ბელორუსსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კოორდინირებულად გავრცელდა. იგი მიზნად ომიდან ყურადღების იდენტობის საკითხებზე გადატანას ისახავდა და რუსეთის უკრაინაში ინტერვენციის ფაქტზე ნარატივის ამერიკასა და რუსეთს შორის რელიგიური ომის ნარატივით შეცვლას ცდილობდა;
- გენდერული დეზინფორმაციის გავრცელების სხვა შემთხვევები როგორც ქალების, ასევე ლგბტქი თემის წევრის წინააღმდეგ იყო მიმართული, ასევე პოლიტიკოსების დისკრედიტაციის მიზნით გამოიყენებოდა;
- გენდერული დეზინფორმაციის სამი შემთხვევა ქალების მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვას ისახავდა მიზნად. ორ შემთხვევაში სამიზნე უკრაინის პირველი ლედი ოლენა ზელენსკა იყო, დისკრედიტაციის მიზნით კი ინფორმაცია მეტწილად სოციალური მედიით ვრცელდებოდა;
- მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი ერთი შემთხვევა თბილისის მერის კახა კალაძის მიერ ბალენსიაგას შემოქმედებითი ხელმძღვანელის დემნა გვასალიასთვის თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას უკავშირდებოდა, რასაც გვასალიას სექსუალური იდენტობის გამო ჰომოფობიური შეფასებები მოჰყვა;
- ჰომოფობიური ხასიათის დეზინფორმაციის სამიზნე ყოველთვის თემის წარმომადგენლები არ იყვნენ; ცალკეულ შემთხვევებში, ლგბტქი იდენტობა კონკრეტული პოლიტიკოსების წინააღმდეგ დისკრედიტაციის მიზნითაც გამოიყენებოდა.

I. სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია და ჰომოფობია

1.1. ერთიანი რაოდენობრივი მონაცემები

კვლევის პერიოდში (15 აგვისტო – 15 ნოემბერი, 2022) მონიტორინგის სუბიექტ მედიაში გენდერული და ლგბტქი კუთვნილების თემაზე ჯამში 987 დისკრიმინაციული შინაარსი გამოვლინდა, საიდანაც ტრადიციულ მედიაში 646 კომენტარი, ხოლო სოციალურში (Facebook) 341 პოსტი გაანალიზდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციულ მედიას მიკუთვნებული ზოგიერთი ტელევიზია (ალტ-ინფო, სეზონი ტვ), რომელსაც საეთერო მაუწყებლობის ლიცენზია აქვს, სოციალურ მედიაშიც აქტიურად მაუწყებლობს და საეთერო შინაარსს სხვადასხვა პლატფორმებით ავრცელებს.

987 კომენტარიდან, უმრავლესობა ჰომოფობიური შინაარსის იყო (64,6%), სექსისტური სიძულვილის ენისა და გენდერული სტერეოტიპების შემცველი კი – შედარებით ნაკლები (35,4%).

დიაგრამა 1. ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი კომენტარების / პოსტების საერთო რაოდენობა



მედიების ტიპოლოგიის მიხედვით კი, ჰომოფობიური გზავნილები ტრადიციულ მედიაში (453) სოციალურზე მნიშვნელოვნად მეტი იყო (185); თუმცა სექსისტური სიძულვილის ენა და გენდერული სტერეოტიპები ტრადიციულ (193) და სოციალურ მედიაში (156) მცირედი განსხვავებით თითქმის თანაბრად იყო წარმოდგენილი.

დიაგრამა 2. ანტიგენდერული და ანტი-ლგბტქი კომენტარები / პოსტები ტრადიციული და სოციალური მედიის (FACEBOOK) მიხედვით



1.2. სექსისტური სიძულვილის ენა / გენდერული სტერეოტიპიზაცია

სამთვიანი მონიტორინგის პერიოდში (15 აგვისტო – 15 ნოემბერი) გამოვლენილი 349 სექსისტური სიძულვილის ენის, გენდერული სტერეოტიპების შემცველი კომენტარებიდან ყველაზე დიდი წილი (193) ტრადიციულ მედიაზე მოდის, რასაც მცირედი განსხვავებით (156) ფეისბუქი მოსდევს.

დარღვევის ტიპოლოგია. სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპების ინდიკატორებით როგორც ტრადიციულ (73), ასევე სოციალურ (65) მედიაში, პირველ ადგილს სექსიზმი და მიზოგინია იკავებს, რაც ქალებსა და ქალთა უფლებებზე თავდასხმის მაგალითებს აერთიანებს. მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვის შემთხვევები ტრადიციულ მედიაში (40) ფეისბუქთან (58) შედარებით ნაკლებად გვხვდება. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის შემთხვევები კი ტრადიციულ მედიაში (36) ფეისბუქის მონაცემებს (17) სჭარბობს, მსგავსი ტენდენცია გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით ქალების დაცინვის შემთხვევაშიც (ტრადიციული – 29; FB – 10)

გამოვლინდა. გარეგნული მახასიათებლებით ქალების მიმართ შეურაცხმყოფელი/დამცინავი კომენტარების რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო (ტრადიციული 24; FB – 25), ხოლო ასაკობრივი ნიშნით დისკრიმინაციის შემთხვევები როგორც ტრადიციულ (4), ასევე სოციალურ (4) მედიებში – ყველაზე მცირე.

დიაგრამა 3. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია ტრადიციულ და სოციალურ (FACEBOOK) მედიებში



თემატიკა. მონიტორინგის პერიოდში ტრადიციულ მედიაში გამოვლენილი სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპების 193 შემთხვევიდან, უმრავლესობა (107) უშუალოდ გენდერის თემას უკავშირდებოდა, ფეისბუქში კი ეს მონაცემი თითქმის განახევრებული იყო (55). პოლიტიკასთან დაკავშირებული დისკრიმინაციული განცხადებები მეტწილად ქალი პოლიტიკოსების წინააღმდეგ იყო მიმართული და ფეისბუქში ოდნავ მეტად იყო წარმოდგენილი (88), ვიდრე ტრადიციულ მედიაში (70).

როგორც ტრადიციულ (23), ასევე სოციალურ მედიაში (13) გენდერთან დაკავშირებული კანონმდებლობის თემა ფიგურირებდა, რაც სხვა საკითხებთან ერთად დიდწილად ქალთა მიმართ ძალადობის კანონმდებლობას შეეხებოდა და ამკვიდრებდა აზრს, რომ მამაკაცების მიმართ სამართლებრივი დევნა და მათი მოძალადეებად წარმოჩენა უსაფუძვლოდ და მიზანმიმართულად ხდებოდა. სოციალურ მედიაში აბორტების კრიმინალიზაციის თემა დომინირებდა.

დიაგრამა 4. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ (FACEBOOK) მედიებში



წყაროები. სექსისტური სიძულვილის ენის წყაროებიდან ყველაზე დიდი წილი, სამონიტორინგო მედიაზე მოდის (110), რასაც სხვადასხვა ფეისბუქ გვერდები (98) და საზოგადოების წარმომადგენელთა კომენტარები/პოსტები (73) მოსდევს. კრემლისტური და ულტრამემარჯვენე პარტიების (39), ასევე სასულიერო პირების (38) გენდერულად პრობლემური კომენტარები თითქმის თანაბრად იყო წარმოდგენილი; საზოგადოებრივი ორგანიზაციების კი – ყველაზე მცირედ (27).

დიაგრამა 5. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების წყაროები



მონიტორინგის სუბიექტი მედიებიდან სექსისტური სიძულვილის ენა/გენდერულ სტერეოტიპები ყველაზე ხშირად (75) სეზონი ტვ-ს ეთერში, ნიკოლოზ მჟავანაძის საავტორო გადაცემაში გვხვდებოდა, რასაც კრემლთან დაკავშირებული ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიო" (Geworld.ge) (17) და კრემლისტურ პარტია კონსერვატიულ მოძრაობასთან დაკავშირებული ტელევიზია „ალტ-ინფო" (10) მოსდევს, რომლის ეთერშიც დისკრიმინაციული კომენტარების წყაროდ თავად პარტიის ლიდერები გვევლინებიან და ეს მონაცემი ცალკე პოლიტიკოსების ნაწილშია შეყვანილი, სადაც ყველაზე მეტი სექსისტური კომენტარი სწორედ ამ პარტიას უკავშირდება (26).

თუ სეზონი ტვ-სა და „საქართველო და მსოფლიოს" შემთხვევაში სექსისტური ენისა და გენდერული სტერეოტიპების 6 კატეგორიიდან ყველა ტიპის დარღვევას ვხვდებით, „ალტ-ინფოს" (მედია) შემთხვევაში სექსიზმი და მიზოგინია დომინირებს, ისევე როგორც პარტია ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის შემთხვევაში. სექსიზმი და მიზოგინია დომინანტური სეზონი ტვ-ის შემთხვევაშიც იყო, ხოლო მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა დეკანოზ სპირიდონ ცქიფურიშვილის შემთხვევაში, რომელიც სასულიერო პირებიდან ყველაზე მეტად აქტიურობდა (26).

საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სადაც აქტორების მხრივ სურათი ფრაგმენტიზირებულია, კრემლთან და რუსეთის ეკლესიასთან დაკავშირებულ ლევან ვასაძის ორგანიზაცია „ერთობა, რაობა, იმედს" (ერი) ვხვდებით, რომელიც სხვადასხვა პლატფორმებზე იყო წარმოდგენილი, მათ შორის კონსერვატიული მსოფლიო საოჯახო კონგრესის ქართულენოვან გვერდზე. ამ შემთხვევაში როგორც სექსიზმის და მიზოგენიის, ასევე მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის ცალკეულ შემთხვევებს ვხვდებით.

ფეისბუქ გვერდების შემთხვევაში, სექსისტურ ენას/გენდერულ სტერეოტიპებს როგორც ოპოზიციურ ანგარიშზე (ლურჯი ვირი – 11), ასევე ანტილიბერალურ (zneoba.ge – 10) და მმართველ პარტია ქართულ ოცნებასთან დაკავშირებულ ფეისბუქ გვერდებზე (ლიდერი 41 – 9; მიხეილ უკრაინოლოგი – 8, ტერენტი გლდანელი – 6, სიმართლის დროა – 7) ვხვდებით. აღსანიშნავია, რომ ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული „ლურჯი ვირი" პოლიტიკური ოპონირების ფარგლებში გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვას მეტად მიმართავდა, ხოლო ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშები (ლიდერი 41, მიხეილ უკრაინოლოგი, ტერენტი გლდანელი, სიმართლის დროა) – მორალური კრიტერიუმებით თავდასხმას.

დიაგრამა 6. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპების ტიპოლოგია წყაროების მიხედვით



1.3. ჰომოფობია

როგორც ზემოთ აღინიშნა, 638 ჰომოფობიური გზავნილიდან ყველაზე მეტი კომენტარი (453) ტრადიციულ მედიაში გამოვლინდა, ორჯერ ნაკლები კი (185) – სოციალურ მედიაში (Facebook).

თემატიკა. სექსისტური სიძულვილის ენისგან განსხვავებით, ჰომოფობიური გზავნილების ყველაზე დიდი წილი ორივე ტიპის მედიაში პოლიტიკას უკავშირდებოდა, თუმცა ამ მხრივ ტრადიციული მედია (301) ლიდერობდა, რომელსაც სოციალური მედია ორჯერ (126) ჩამორჩებოდა. პოლიტიკის თემატიკასთან დაკავშირებული განცხადებები ლგბტქი თემის მიმართ დისკრიმინაციულ შინაარსთან ერთად ანტიდასავლური ხასიათის იყო და ამკვიდრებდა აზრს, რომ დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას და ებრძვის ტრადიციულ იდენტობას.

პოლიტიკის შემდეგ გენდერული იდენტობის და გენდერული თვითგამორკვევის თემატიკა ფიგურირებდა, რა დროსაც განსხვავებული გენდერული იდენტობის მიუღებლობას როგორც ტრადიციულ (123), ასევე სოცმედიაშიც (28) ესმებოდა ხაზი.

კანონმდებლობის საკითხების აქტუალიზაცია (ტრადიციული – 89; Facebook – 38), ერთი მხრივ, მაუწყებლობის შესახებ კანონში ინიცირებულ ცვლილებებს უკავშირდებოდა,[1] რომელიც სიძულვილის ენის, თვითრეგულირებიდან რეგულირებაში გადატანას ითვალისწინებს, მეორე მხრივ, რადიკალური პარტია ალტ-ინფო, კონსერვატიული მოძრაობის საკანონმდებლო ინიციატივას ლგბტქი პირების სიტყვისა და გამოხატვის, ასევე შეკრების თავისუფლების შეზღუდვის შესახებ[2].

სხვადასხვაში განათლების საკითხები დომინირებდა, რა დროსაც სკოლებში თანასწორობის საკითხების სწავლება და სექსუალური განათლება ბავშვთა გარყვნასთან იყო გათანაბრებული.

[1] საკანონმდებლო ინიციატივა მაუწყებლობის შესახებ კანონში ცვლილებების თაობაზე, 7 სექტემბერი, 2022
https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/305437

[2] მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (გიორგი ქარდავა, ზურაბ მახარაძე, ირაკლი მორგოშია, შოთა მარტინენკო, კონსტანტინე მორგოშია) საკანონმდებლო ინიციატივა, 7 ნოემბერი, 2022
https://parliament.ge/legislation/25062

დიაგრამა 7. ჰომოფობიური გზავნილების თემატიკა ტრადიციულ და სოციალურ (FACEBOOK) მედიებში



წყაროები. ჰომოფობიური განცხადებების მთავარი წყარო პოლიტიკური პარტიები (41,8%) იყვნენ, რასაც მედია (21,3%) და საზოგადოება (13,3%) მოსდევს. სასულიერო პირებისა (9,6%) და ფეისბუქ გვერდების (8,6%) მონაცემები თითქმის თანაბარია, საზოგადოებრივი ორგანიზაციების კი – ყველაზე მცირე (5,3%).

დიაგრამა 8. ჰომოფობიის წყაროები



პარტიებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარი ალტ-ინფო/კონსერვატიულ მოძრაობას ეკუთვნის (201), რომელთან შედარებითაც პატრიოტთა ალიანსის (35) და ქართული იდეის (12) მონაცემები მცირეა. მედიებიდან ჰომოფობიის მხრივ სეზონი ტვ (73) და საქართველო და მსოფლიო (30) ლიდერობენ, სასულიერო პირებიდან კი – დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი (33), რომელიც ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერია და „ალტ-ინფოს" ეთერში ხშირად ფიგურირებს, ამ არხის ვიდეობს კი პირად ფეისბუქ გვერდზეც ავრცელებს.

ფეისბუქ გვერდებიდან ჰომოფობიური პოსტებით მეტწილად ანტილიბერალური („საქართველო უპირველეს ყოვლისა[3]" – 19) და კრემლისტური (ირაკლი ჯანყარაშვილთან[4] დაკავშირებული გვერდები – 9) ანგარიშები აქტიურობდნენ, სხვადასხვაში გაერთიანებული გვერდებიც მეტწილად ანტილიბერალური და კრემლისტური ანგარიშების ფრაგმენტიზირებულ სპექტრს აერთიანებს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან ყველაზე მეტი ჰომოფობიური კომენტარი „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების[5]" (13) შემთხვევაში გვხვდება, რომლის გამგეობის თავმჯდომარე გურამ ფალავანდიშვილი[6] ექსტრემისტული ქმედებებითაც გამოირჩევა და პარტია „ქართულ იდეასთანაც" არის დაკავშირებული.

[3] მითების დეტექტორი, საქართველო უპირველეს ყოვლისა პროფილი https://mythdetector.ge/ka/profiles/saqarthvelo-upirveles-qhovlisa/

[4] მითების დეტექტორი, 10 ივნისი, 2020 „რა საერთო აქვთ ИРАКЛИ ИРАКЛИ-ს, ანტილიბერალურ დოქტრინას, NEWS FRONT-სა და TVALSAZRISI.GE-ს ერთმანეთთან?" https://mythdetector.ge/ka/ra-saertho-aqvth-irakli-irakli-s-antiliberalur-doqtrinas-news-front-sa-da-tvalsazrisi-ge-s-erthmanethhan/

[5] მითების დეტექტორი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების პროფილი https://mythdetector.ge/ka/profiles/bavshvtha-uphlebebis-datsvis-sazogadoeba/

[6] მითების დეტექტორი, გურამ ფალავანდიშვილის პროფილი https://mythdetector.ge/ka/profiles/guram-phalavandishvili/

დიაგრამა 9. ჰომოფობია – წყაროები სუბიექტების მიხედვით



1.4. ტერმინოლოგია

მონიტორინგის შედეგებმა აჩვენა, რომ როგორც სექსისტური სიძულვილის ენა, ასევე ჰომოფობიური შეფასებები ყოველთვის იდენტობით არ იყო განპირობებული და ხშირად პოლიტიკური ოპონირების ფარგლებში, ან სამოქალაქო აქტივიზმში, უფლებების დაცვის პროცესში დისკრიმინაციულად გამოიყენებოდა. თუ მრუშობასთან დაკავშირებულ ტერმინებს ქალების მიმართ მათი პოლიტიკური აქტივობის გამო იყენებდნენ, გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებულ ტერმინებს (ქალკაცა, გაურკვეველი სქესი) როგორც პოლიტიკოსების, ასევე სამოქალაქო აქტივისტების წინააღმდეგ მიმართავდნენ, ხოლო ლიბერალური იდეოლოგიის მხარდამჭერებს ტერმინ „ლიბერასტით“ (ლიბერალის და პიდარასტის კომბინაცია) მოიხსენიებდნენ.

ანტიგენდერული. ქალების მიმართ გამოყენებული შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია ნორმატიულ ლექსიკასა და უხამსობას შორის ვარირებდა.

სექსისტური და გენდერული სტერეოტიპების 6 კატეგორიის მიხედვით ტერმინების დაჯგუფებამ აჩვენა, რომ ყველაზე მეტი ტერმინი მორალური კრიტერიუმებით თავდასხმაში გაერთიანდა, რომელიც, როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილში ჩანს, თავის მხრივ, რამდენიმე კატეგორიად დავყავით:

- მრუშობასთან დაკავშირებული ტერმინები („სლატშეიმინგი[7]“);
- მიუღებელი მორალური ქცევა, რომელიც ნაწილობრივ „სლატშეიმინგის“ კატეგორიასაც მოიცავს;
- ანტიეროვნული/რელიგიური;
- ანტისახელმწიფოებრივი/მერკანტილური, რომელიც მეტწილად ოპოზიციური პარტია „დროას“ ლიდერის ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ იყო მიმართული და მისი ოჯახის წევრის მიერ რუსეთიდან საავტორო ჰონორარის მიღების ფაქტზე მანიპულაციებს უკავშირდებოდა, რასაც ხშირად კოორდინირებული დისკრედიტაციის კამპანიის ხასიათი ჰქონდა[8];
- ანტილიბერალური, როდესაც ტერმინ ლიბერალის ნეგატიურ კონტექსტში გამოყენება მეტწილად სამოქალაქო აქტივისტების მიმართ ხდებოდა.

---

7 „სლატშეიმინგი“ (slut-shaming) გულისხმობს ადამიანების, უმეტესად, ქალების და გოგოების კრიტიკას იმის გამო, რომ მათი ქცევა, გარეგნობა თუ ჩაცმულობა არ შეესაბამება სექსუალობასთან დაკავშირებით საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს და წარმოდგენებს. ასეთ ქცევად თუ გარეგნობად მიიჩნევა, მაგალითად, სექსუალური, პროვოკაციული ჩაცმულობა, კონტრაცეპციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნა, ქორწინებამდელი სექსი ან შემთხვევითი სექსი. სლატშეიმინგი ასევე ხშირად გულისხმობს სექსუალური ძალადობის მსხვერპლის მთლიანად ან ნაწილობრივ დადანაშაულებას მისი ქცევითა თუ ჩაცმულობით ამ ძალადობის პროვოცირებაში. სლატშეიმინგი გამოიყენება ქალების შერცხვენის, სტიგმატიზების მიზნით.

8 რადიო თავისუფლება, 16 ივნისი, 2022. ელენე ხოშტარია პასუხობს „იმედს“, რუსეთიდან ოჯახის წევრისთვის ფულის ჩარიცხვაზე
https://www.radiotavisupleba.ge/a/31900869.html

ცხრილი 1. შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგია სექსისტური და გენდერული სტერეოტიპების 6 კატეგორიის მიხედვით

დარღვევის ტიპოლოგია	ტერმინოლოგია
მორალური კრიტერიუმების მიხედვით თავდასხმა	■ **მრუშობა (სლატშეიმინგი):** ბოზი, ბოზობა, ბოზი ცოლები, ნაბოზვრები, პირით ბოზი, დაბოზება, მეძავი, სუსტი ყოფაქცევის, ჯიბის პუტანკა, ნაშა, ტელე სექს დივა, სექს დივა, გარყვნილი ქალები, პერვერტი, ამძუვნებული როკვა, ყლის მათხოვარი, სექსუალურად დაუკმაყოფილებელი დედაკაცი, ჰორმონების შემოტევა, სააკაშვილის ლოგინში მოგორიალე ადამიანები, მიშას ქალები, აწყვეტილი ქალბატონი, მარტივი სათნოების ქალები, ჩათლახი ქალი, პედოფილი. ■ **მიუღებელი მორალური ქცევა:** ამორალური ქალი, სამარცხვინო ქალი, ძუკნა, გათახსირებული, ზნეობრივად გათახსირებულები, აღვირახსნილი, უმსგავსო ადამიანი, ზნედაცემული დედაკაცი, უტიფარი, მამაძაღლი, ნაძირლები, დახვეწილი ვიგინდარა, ავაზაკი ქალის ფორმაში, ჩამშვები, ხარისხიანი ჩამშვები, ბოღმით სავსე, ხელმოცარული, ჩაურეცხავი სამოქალაქო ტუალეტის უნიტაზი, რაბინია ნელიკუნა, საშინელი. ■ **ანტიეროვნული/რელიგიური:** ხალხის მტერი, უსამშობლო, ქართველთმოძულე, გაურკვეველი წარმოშობის დედაკაცი, სიბინძურის და უსამშობლობის განსახიერება, აგენტი, ჯაშუში, სოროსელი ალქაჯები, უცხოელი დიაცი, ამერიკელი ძუკნა, მანქურთების ნაშიერი, სატანისტი, ხორცშესხმული სატანა, სექტა, სექტანტი ქალები, ნეობოლშევიკი. ■ **ანტისახელმწიფოებრივი/მერკანტილური:** რუბლოვნა, ქალბატონო რუბლოვნა, რუბლებით მოსუქებული, რუსის აგენტი, რუსული ფულით გასიებული მისი ოჯახი, რუსული ფულით დაბადებიდან გაზრდილი, რუსული ფულის მოყვარული, ხოშტარიას ოჯახის რუბლები. ■ **ანტილიბერალური:** ლიბერასტი, სალიბერასტეთი, ლიბერასტული ფრთის შიკრიკი, ნეოლიბერასტული, გამოტოლერანტება.
გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვა / შეურაცხყოფა	ბაბაიაგა, ბოსტნის საფრთხობელა, ბაღლინჯო ქალი, ზომბი, ძროხები, მასხარა, კომიკური ქალბატონი, მოტყლარწული, ფერია, ცხვირმოჭმული, უსახური დიაცი, მკერდ-მოღეღილი, გატიტვლებული, ჩახდილი და გახდილი.

დარღვევის ტიპოლოგია	ტერმინოლოგია
გენდერული სტერეოტიპების საფუძველზე	ალქაჯი, ისტერიჩკა დედაკაცი, ანჩხლი, ჭოკით მხტომელი, ახირებული, მოკისკისე, მოტატყანე ქალი, შხამიანი, ქალის საცვალს ამოფარებული, ქალაჩუნა, დედაჩალაძეგაყოლილი, დედაგათხოვილი, მოტრაშუნე, ფინტიკოზა, უპატრონო ვიღაცა, სუსტი სქესი, ლობიოს მთქვეფავი, გათქვირებული უკრაინელი ქალბატონი, გაურკვეველი სქესის არსება, უგენდერო, გაურკვეველი ორიენტაციის, გაურკვეველი გენდერული იდენტობა, ქალბატონი თუ ვაჟბატონი, ქალკაცა, დედაკაცი, მდედრები.
სექსიზმი / მიზოგინია	ფემინისტი, ფემინისტიკა, ფემინისტების სიმახინჯე, მახინჯი ფერადკანიანი ფემინისტი, ფემინისტობები, ზონდერ ფემინისტკა, ფემინისტები, ფაშისტურ-ფემინისტურ ზონდერ დაჯგუფება, კაციჭამია დედა (აბორტზე), ყბადაღებული გენდერიზაცია, ლგბტ ფემინისტების ლობისტი, გენდერული პოლიცია, კაცთმოძულე, ფუჩუები, გამოფუჩუნებულები.
გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით დაცინვა	იმბეცილი, დებილი, სულელი ქალები/დედაკაცი, ქერქეტა, უვიცი ქალი, დურაკი ქალი, ენათლიფინა, ლენჩი, არაადეკვატური, ანომალიად ქცეული ფროიდის პაციენტი, არანორმალური დედაკაცი, ავადმყოფი დედაკაცი.
ეიჯიზმი	ბუხარს მიმჯდარი კუზიანი, კუზიანი დედაბერი, კუანა დედაბერი, საფრანგეთის პრეზიდენტის მოხუცი ცოლი, მავნებელი პენსიონერი, ბებერი ძუკნა.

ადრესატები. ყველაზე ხშირად შეურაცხმყოფელი ლექსიკის ადრესატები ოპოზიციონერი ქალები იყვნენ (22,9%), რომელთაც თითქმის თანაბრად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები/აქტივისტები (14,9%) და დიპლომატები და დასავლელი პოლიტიკოსი ქალები (14,5%) მოსდევენ. შემდეგ ადგილზე არიან პრეზიდენტი და კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი (13,4%), სადაც როგორც დიაგრამა 10-ზე ჩანს, პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი დომინირებს. მომდევნო ადგილზე სხვადასხვა ფორმით სამართლებრივ პროცესებთან დაკავშირებული ქალები (ნეკა დოროყაშვილი, გიული ალასანია) არიან (12,2%), მათ კი მედიის წარმომადგენლები (9,2%) და სახალხო დამცველი (7,3%) მოსდევენ.

დიაგრამა 10. შეურაცხმყოფელი ლექსიკის ადრესატი ქალები ინსტიტუციონალური და სხვა აფილაციის მიხედვით



შეურაცხმყოფელი ლექსიკა ყველაზე ხშირად საქართველოში ამერიკის ელჩის კელი დეგნანის წინააღმდეგ იყო მიმართული (30), რომელსაც მცირედი სხვაობით საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი (27) და ოპოზიციური პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია (25) მოსდევენ. შემდეგ ადგილზეა სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია (19)[9]. სამართლებრივი პროცესების გამო გახდნენ შეურაცხმყოფელი ლექსიკის სამიზნე მოდელი ნეკა დოროყაშვილი (17), რომელმაც ქმარს, საქართველოს პირველ ჩოგანს ნიკოლოზ ბასილაშვილს ოჯახური ძალადობის გამო უჩივლა, ასევე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დედა გიული ალასანია (15), მისი შვილის პატიმრობასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესების გამო. შეურაცხმყოფელი ტერმინოლოგიის ადრესატები უფლებადამცველები და სამოქალაქო აქტივისტებიც იყვნენ: ომბუდსმენობის ერთ-ერთი კანდიდატი ანა აბაშიძე (11), ასევე ფემინისტი აქტივისტი, „საფარის“ ხელმძღვანელი ბაია პატარაია (9), სამოქალაქო აქტივისტი ირმა გორდელაძე (5). ასეთი ტერმინოლოგიის სამიზნე იყვნენ, როგორც ოპოზიციის წარმომადგენლები – თაკო ჩარკვიანი, კანონი და სამართალი (9), ხატია დეკანოიძე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (9), სალომე სამადაშვილი, ლელო (8), ასევე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანიც (8). სამიზნე იყო ასევე საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს დირექტორი ეკა გიგაურიც (7) და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი სხვა ქალებიც (ჯამში 39).

[9] მედია მონიტორინგის პროცესში ის ამ თანამდებობას იკავებდა.

დიაგრამა 11. შეურაცხმყოფელი ლექსიკის ადრესატი ქალები (ყველაზე ხშირი შემთხვევები)



ქალთა მიმართ შეურაცხმყოფელი ლექსიკა ყოველთვის გენდერული იდენტობით არ იყო მოტივირებული და ქალთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას უკავშირდებოდა, თუმცა ოპონირების რეჟიმში სექსისტური და მიზოგინიური ტერმინები გამოიყენებოდა. მაგალითად, ოპოზიციონერი დეპუტატების ხატია დეკანოიძის და სალომე სამადაშვილის მიმართ ვხვდებით ტერმინს „ჯიბის პუტანკა“, ელენე ხოშტარიას მიმართ „ქალკაცა“, ამერიკის ელჩის კელი დეგნანის, საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილისა და სახალხო დამცველის ნინო ლომჯარიას მიმართ ტერმინს „შხამიანი დედაკაცი“. ამასთანავე, როგორც ოპოზიციის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მიმართ ტერმინი „ჯაშუში“ გამოიყენებოდა, ელენე ხოშტარიას რუსულ ინტერესებთან დაკავშირება კი მისი „რუბლიოვნად“ მოხსენიებით ხდებოდა. სამოქალაქო აქტივისტების „ფემინისტ ზონდერებად“ (ბაია პატარაია), ასევე სოროსელ ალქაჯებად (ანა აბაშიძე, ანა არგანაშვილი) მოხსნიების გარდა, ამერიკის ელჩის მიმართ ისეთი ტერმინები გამოიყენებოდა, როგორიცაა „გენდერული თეორიის აქტივისტი“ და „ლიბერასტი“.

ამერიკის ელჩის წინააღმდეგ შეურაცხმყოფელი ტერმინების წყაროები როგორც ხელისუფლების მხარდამჭერი ექსპერტები, ასევე კრემლისტური და ანტილიბერალური ჯგუფები იყვნენ, ხოლო საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ სახელისუფლებო და კრემლისტურ ფეისბუქ ანგარიშებთან ერთად ოპოზიციასთან დაკავშირებული გვერდებიც აქტიურობდნენ.

ანტი-ლგბტქი. ლბგტქი+ ადამიანების მიმართ გამოყენებული შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიაში 4 კატეგორია გამოიკვეთა:

1. ქცევასთან დაკავშირებული ტერმინები
2. ლგბტქი+ იდენტობის ადამიანების მოხსენიება სხვადასხვა ტერმინის შეურაცხმყოფელი ვარიაციით
3. იდენტობასთან დაკავშირებული
4. ანტიდასავლური

თავის მხრივ, ჰომოსექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული ტერმინები შემდეგ ქვეკატეგორიებს მოიცავდა:

- ჰომოსექსუალობის ცოდვასთან გაიგივება
- ჰომოსექსუალური ურთიერთობების გარყვნილებად/ამორალურობად შეფასება
- ჰომოსექსუალობის ავადმყოფობად/ნორმიდან გადახრად შეფასება
- ლგბტქ თემის წევრთა გამოხატვის თავისუფლების ჰომოსექსუალობის პროპაგანდად შეფასება
- ერთი სქესის პირთა ქორწინებასთან დაკავშირებული ტერმინები
- ჰომოსექსუალობის პედოფილიასთან/ინცესტთან გაიგივება.

ლგბტქი+ იდენტობის ადამიანების მოხსენიება კი სხვადასხვა ტერმინების ვარიაციით ხდებოდა, გამოყენებული იყო ასევე ისეთი შეურაცხმყოფელი სიტყვები, როგორიცაა პედარასტი, მამათმავლობა და სხვა. იდენტობასთან დაკავშირებული ტერმინები გენდერულ თვითიდენტიფიცირებას, ამავე ნიშნით დამაკნინებელ და დეჰუმანიზირებად სიტყვებს აერთიანებდა. ანტიდასავლური ჰომოფობიური ტერმინები კი ევროპას/დასავლეთს ჰომოსექსუალობასთან და გარყვნილებასთან აიგივებდა.

ცხრილი 2. ჰომოფობიური ტერმინები

ტიპოლოგია		ტერმინები	#
ქცევასთან დაკავშირებული	**ცოდვა**	სოდომ-გომორი / სოდომია / ბიწიერება და სოდომია /სოდომისტები / სოდომ-გომორის ცოდვა / გასოდომიზაცია / სოდომიის პროპაგანდა / სოდომიის დროშა / ნახევრად სოდომისტი / სოდომური მარშები / დაცემული ნაწილი / ღვთის გმობა / ჯოჯოხეთი	117
	გარყვნილება / ამორალურობა	გარყვნილება / გარყვნილი კაცი / ზნეობრივი გათახსირება / გეი გარყვნილება / ზნედაცემული / გარყვნილების იდეოლოგია / ბინძური გენდერის (ლგბტ) თეორია / ზნეობრივად გადაგვარებული იდეოლოგია / გარყვნილების დამცველი / ამორალობა / აღვირახსნილი ამორალობა / მორალურად გახრწნილი / მორალური ჩიხი / უზნეობა / სიბილწე / სიბილწის მიმღებლობა / სისაძაგლე / საზიზღრობა / საშინელება / სიბინძურე / უბედურება / ბოროტება / მამაძაღლობა / არაადამიანური / ორგია	72

ტიპოლოგია		ტერმინები	#
	ავადმყოფობა / ნორმიდან გადახრა	ავადმყოფი / პერვერტები/ ფრიკი / მანიაკები / გადახრილი ფსიქიკის / გიჟი / პათოლოგიური სექსუალური ორიენტაციები / არატრადიციული სექსუალური ორიენტაცია / მიდრეკილებები / სექსუალური გაუკუღმართებული ფორმები / სექსუალური გადახრის მქონე ადამიანები / გადახრის ნორმად გამოცხადება/ნორმიდან გადახრილი ქმედებები / ანტიბუნებრივი	46
	ჰომოსექსუალობის პროპაგანდა	ლგბტ პროპაგანდა / დრაკონული ლგბტ პროპაგანდა /გარყვნილების პრაიდები / გარყვნილების პროპაგანდა / გეი პროპაგანდა / პროპაგანდისტი / არატრადიციული ფასეულობების პროპაგანდა / სექსუალური გარყვნილების დანერგვა / სექსუალურობის პროპაგანდა / მომავალი თაობის წაბილწვა / ბავშვებისა და მოზარდების ცნობიერების გარყვნა / ჰომოსექსუალიზმის ნორმალიზაცია / გეი ულტიმატუმები	41
	ქორწინების უფლება	გათხოვილი მამაკაცი / გათხოვილი კაცი / კაცზე გათხოვილი / დემნა გვასალიას ქვეყანა / გეი-ქორწინება / ქალის ქალზე და კაცის კაცზე ქორწინების ლეგალიზაცია	16
	თემის პედოფილიასთან / ინცესტთან დაკავშირება	პედოფილი / პედოფილი-პიდარასტი-ტრანსგენერების პრაიდები / პედოფილი ლგბტ საზიზღრობა / ინცესტი და პედოფილია / ინცესტისა და პედოფილიის დეკრიმინალიზაცია	15
ლგბტქი+ იდენტობის ადამიანების მოხსენიება სხვადასხვა ტერმინის ვარიაციით	**ლგბტქი**	ლგბტ თემის საცეცები / კოლექტიური ლგბტ / ლგბტ სექტა / ლგბტ მაიმუნობები / ლგბტ-ების დროშა / „ვაშკაცი“ ლგბტ თემი / ლგბტ-მაფია / ლგბტ აქტივისტი / ლგბტ პარადები / ლგბტ დღის წესრიგი / ლგბტზაცია / ლგბტ-ური / ლჭპტ კლოუნები	90
	„პიდარასტი“	პიდარასტები / პიდარასტების ბანაკი / პიდარასტების ერთობა /პიდარასტული / გაპიდარასტდა / პროპიდარასტული / გეი ენჯეოშნიკური პიდარასტები / ბოზები და პიდარასტები / გაპიდარასტება / პეძიკები	84
	ტრანსგენდერი	ტრანსგენდერიზმი / ტრანსგენდერობა / გიჟი ტრანსგენდერი / ტრანსგენდერი ადმირალი / გეოპოლიტიკური ტრანსგენდერიზმი / ტრანსგენდერული საზოგადოება / ნაღდად ქალი / კონჩიტა / ყურგახვრეტილი კონჩიტა / ტუჩებდაბერილი ადამიანი, კონჩიტების დედოფალი / მესაჯდომე სოდომისტთა იმპერატრიცა	41
	ქვიარი, ლესბოსელი და ბისექსუალი	ლესბოსელი / ბისექსუალი / შეგონებით მამრებად დაბადებულნი და პირიქით / ქალად გადაკეთებულო კაცებო / გაცისფერება / ცისფერი / ვარდისფერებო / ქვიარ ადამიანები / ქვიარი და ინტერსექსი / ქათმები / ცნობილი ჰომოსექსუალი / დედა / დედაკაცი / დედათმავლობა / უგვანოები / გაუბედურებული ადამიანი	39

ტიპოლოგია		ტერმინები	#
	გეი	გეობა / გეი პარლამენტი / გეი სამკლაური / გეი კარნავალი / გეი დიზაინერი / გეი უფლებები / გეი-ორგანიზაციები / გეი ტრანს-ლიბერალური ჯიჰადი / გეი ტერორისტი / გეიფეოდა-ლიზმი / ვიღაცა გეები / სომეხი გეი / ქართველი გეი / გეი-საუნა / ცნობილი გეი / გეი მსახიობი / გეი ლიბერალური / გეი აქტი-ვიზმი / გეი აქტივისტების რისხვა / გეი-ფაშიზმი / გეი-კლოუნი	34
	მამათმავლობა	მამათმავლობა / განცხადებული მამათმავალი / ოფიციალური მამათმავალი / ღია მამათმავალი / მამათმავალი დაქალი	16
იდენტობასთან დაკავშირებული	**გაურკვეველი გენდერი / იდენტობა**	გენდერული იდეოლოგია / გენდერები / გენდერი 70 / გენდერი იქსი / გენდერული პოლიცია / გენდერული სიგიჟე / გაურკვეველი გენდერი / გაურკვეველი იდენტობის ადამიანი / გაურკ-ვეველი სქესის არსება / გაურკვეველი გენდერული იდენტობა / საკუთარ სქესში ჩამოუყალიბებელი ადამიანი / უგენდერო / გაურკვეველი ორიენტაციის / გაურკვევლი არსება / გაურკ-ვეველი ჰაბიტუსის მქონე ქალბატონები თუ მამრები / მშობელი N1, N2, N3 / მშობლების დანომვრა / მოქალაქე იქსი / რამდენი სქესი / არა სქესს / ორივე სქესი / ბიოლოგიური სქესი	48
	იდენტობის ნიშნით დაკნინება	ჭრელა-ჭრულა ადამიანები / ფერადი ნიფხვების პარადი / კი-კინებიანი ბიჭები / ფერადი ფეოდალიზმი / ფერადმა სტეფანემ / ფერად-ფერადი გოგოები და ბიჭუნები / ასეთი ადამიანები / ამ სექსუალური ორიენტაციის ხალხი / იმნაირი	29
	დეჰუმანიზაცია	საქონელი / საქონლური ფასეულობები / ცხოველების დონე / ადამიანის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების პრიმატი / უკანალში ჩადებული ინვესტიცია / ტრაკის მიცემა / სატანური იდეოლოგია / პროვოკატორთა ზონდერ დაჯგუფება	9
ანტიდასავლური	ანტილიბერალური	ლიბერასტი / ლიბერასტული ხროვა / დომხალი / სალიბერას-ტეთი / ენჯეოლიბერასტი / ლიბერაშტები / ულტრა ლიბერასტი / გლობალისტ-ლიბერასტები / გლობალისტური ლიბერასტული სიმახინჯე / სოროსულ-ლიბერასტული / ნეოლობერასტული / რუსი ლიბერასტი / ცისარტყელა ლიბერასტული საქართველო	101
	გეი ევროპა / გარყვნილი დასავლეთი	გეი ევროპა / ლიბერასტული ევროპა / სოდომისტური ევროპა / პრაიდის ლოგიები / დასავლეთის მიერ შექმნილი ადამიანები / სიბინძურის პროპაგანდისტული ევროპა / ლგბტ ანგლოსაქსები	16

II. სექსისტური სიძულვილის ენის / სტერეოტიპიზაციის თვისებრივი ანალიზი

2.1. სექსიზმი / მიზოგინია

როგორც წინა თავში აღინიშნა, სექსისტური სიძულვილის ენის/სტერეოტიპების ინდიკატორების მიხედვით მედია მონიტორინგმა სექსიზმისა და მიზოგინიის ყველაზე მეტი შემთხვევა გამოავლინა (ტრადიციული მედია – 73; FB – 65). ამ ნიშნით ქალებზე თავდასხმები, ერთი მხრივ, ქალთა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ საქმიანობას უკავშირდებოდა, მეორე მხრივ კი – ზოგადად ქალთა უფლებრივ საკითხებს.

სოლიდარობის აქცია ირანელი ქალისადმი. ირანში 22 წლის მაჰსა ამინის გარდაცვალებას, რაც „მორალის პოლიციის" მიერ ჰიჯაბის ტარების გამო მის დაკავებას უკავშირდებოდა, საპროტესტო აქციები საქართველოშიც მოჰყვა[10]. თბილისში ირანელი უფლებადამცველის მხარდასაჭერად გამართული აქციები ქალთა უფლებებზე თავდასხმის და პოლიტიკური მანიპულაციების საფუძველი გახდა, რა დროსაც შემდეგი გზავნილები გამოიკვეთა:

- **პროტესტის საბაბი არ არსებობს/მუსულმანურ სამყაროში ქალთა უფლებები ყველაზე დაცული ირანშია:** „ირანის დემოკრატია და ქალი ჰიჯაბს როგორ გაიკეთებს, იმაზე ძაან არ გაწუხებს, რომ იმაზე არ იფიქრო?[11]" „ირანი არის ის ქვეყანა, რომელსაც მუსლიმური ქვეყნებიდან ქალებს ყველაზე მეტი უფლებები აქვთ. ასე არც ერთ ქვეყანაში არაა ქალების უფლებები დაცული, როგორც არის ირანში. ქალები არიან პარლამენტშიც, პოლიციაშიც მუშაობენ და ძალიან ბევრ ადგილას, ამიტომ ის ისტერიკა, რა ისტერიკაც არის ამ ქალების მიმართ ატეხილი, ვითომ ტანჯვაში არიან ირანში და ა.შ. ესაა ბოდვა".[12]

[10] რადიო თავისუფლება, 24 სექტემბერი, 2022. ირანში პროტესტის მხარდასაჭერად თბილისში აქცია გაიმართა https://bit.ly/3Xb beCc

[11] მალხაზ თოფურიძე, პატრიოტთა ალიანსი. ობიექტივი, სტუდია 8, 23 სექტემბერი, 2022 https://bit.ly/40tl31v

[12] ერმილე ნემსაძე, Ermile Nemsadze, 23 სექტემბერი, 2022 ბაია პატარაიების „ირანული რევოლუცია..." https://bit.ly/3l2rj8Z

- **ირანელი ქალისადმი სოლიდარობა არა უფლებრივ საკითხს, არამედ ამერიკის ინტერესს უკავშირდება, რევოლუციური გზით შეცვალოს ხელისუფლება:** „...[მიზანია] ჩამოაგდონ ირანში ხელისუფლება, რომ მერე ეს ირანიც, რომელიც არის ერთ-ერთი მძლავრი ენერგომატარებელი ქვეყანა, დაპირისპირებაში შევიდეს რუსეთთან, თორემ ფეხებზე არ ჰკიდია ამერიკას თავსაბურავით ივლი, თუ თავსაბურავის გარეშე".[13]
- **დასავლეთი ახალისებს აქციებს, რადგან ებრძვის ტრადიციულ რელიგიებს:** „მხოლოდ მართლმადიდებლებს ებრძვიან? მუსულმანური რელიგიის წინააღმდეგაც მიმდინარეობს ასეთი. ირანში რაც ხდება, ხედავთ, ხომ? ეს ტრადიციული ირანელი ხალხი, ჰიჯაბებს იხსნიან მანდილოსნები და შუა ქუჩაში თეირანში წვავენ, ხო? ნუ მიზეზი ამ აღშფოთების საკმაოდ საფუძვლიანია – იქ ახალგაზრდა გოგონა დაიღუპა ჰიჯაბის არასწორად ტარების გამო, მაგრამ ესეც, ირანის ხელისუფლების განცხადებით, დაკავშირებულია დასავლეთთან. ჩემი აზრითაც კი – დასავლური ორგანიზაციები თუკი იქ შეფარულად ახერხებენ საქმიანობას, მათი გავლენით ხდება აქციების წაქეზება[14]..."
- **ირანში მიმდინარე პროცესები სოროსს/ფემინიზმს უკავშირდება:** „ცხადია, ახლა საქმე უკვე პიროვნულ თავისუფლებაზე კი არა, სრულ ნეოლიბერალურ დასავლურ გადაგვარებაშია. ვინ გამოიგონა „ფემინიზმი"? (ეს არ არის ნამდვილად ჯანმრთელი ხალხი). სოროსის ფონდი მხარს უჭერს არეულობას ირანში".[15] „ირანელ ქალებს ჰიჯაბის მოხსნა კი არა, ძუძუების ამოყრა უფრო უნდათ".[16] „ჩვენ მოვესწარით საქართველოში, რომ ქართველი ქალები გამოდიოდნენ რუსთაველზე და ყვიროდნენ, ჩემი ფუჩუ ჩემი არჩევანიო და ესენი იქცნენ ქალთა უფლებების ფლაგმანებად აყვავებულ საქართველოში და ეს კატეგორია უცხადებს სოლიდარობას და გვერდში დგომას ირანელ ქალებს. ესენი ხო სოროსის ძუძუთი იკვებებიან, მაგრამ ირანს ძალიან მაღალ დონეზე აქვს ფინანსური ნაკადების კონტროლი თავიანთ ქვეყანაში, ინფორმაციის კონტროლი... და ამიტომ ვერაფერს ვერ მოაწყობენ ეს ჭინკები".[17]

კანონმდებლობა და ქალთა უფლებები. ქალთა უფლებებზე თავდასხმები სხვადასხვა საკანონმდებლო ინიციატივებთან და მოქმედ სამართლებრივ დეფინიციებთან მიმართებითაც ხდებოდა. ქალთა კვოტირების მიუღებლობასთან ერთად, რაც პროფესიონალიზმის საპირწონედ განიხილებოდა („გენდერული კვოტები კი არა, პროფესიონალები უნდა შევიდნენ პარლამენტში![18]"), ქალების გონებრივი შესაძლებლობის ეჭვქვეშ დაყენებაც ხდებოდა. ზოგადად კვოტირების პროცესი კი ევროპისთვის მძიმე პერსპექტივის მომასწავებლად იყო განხილული:

---

13 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი. სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 27 სექტემბერი, 2022 https://bit.ly/3jzzAbj

14 ილია ჩაჩიბაია, „ობიექტივის" წამყვანი. ობიექტივი, სტუდია 8, 4 ოქტომბერი, https://bit.ly/3x4Hsol

15 მაია თვალთვაძე, 4 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3DH4fdB

16 Lasha Chincharauli, ინდივიდუალური პროფილი, 27 სექტემბერი, https://bit.ly/3X4GYsZ

17 ერმილე ნემსაძე, Ermile Nemsadze, 23 სექტემბერი, 2022 ბაია პატარაიების „ირანული რევოლუცია..." https://bit.ly/3Yq0ilq

18 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი, სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 26 ოქტომბერი, https://bit.ly/3Xbxpse

ჰამლეტ ჭიპაშვილი, პოლიტოლოგი: „რა ელოდება ევროპას? პერსპექტივა არის ძალიან მძიმე. რამ გამოიწვია ეს ყველაფერი? უჭკუობამ და ამ ტინგიცა გოგო-ბიჭების გაპრემიერ-მინისტრებამ და პარლამენტში კვოტებით ქალების შეყრამ. მე ქალთა წინააღმდეგი არასდროს არ ვარ, მაგრამ სულელი ქალების ყოველთვის წინააღმდეგი ვარ“.[19]

ფემიციდის არსებობის უარყოფასთან ერთად („თვითონ ტერმინი ფემიციდი არის არასწორი, არასწორად გამოყენებული იმიტომ, რომ საბედნიეროდ, საქართველოში ანუ, ქუჩაში გამვლელ ქალბატონს არავინ არ ესხმის თავს“[20]), ისმოდა მოწოდებები[21] კანონმდებლობიდან ფემიციდის მუხლების საერთოდ ამოღების შესახებ.

ვრცლად კანონმდებლობასთან დაკავშირებული საკითხები მეოთხე თავშია განხილული.

2.2. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმა

სექსიზმისა და მიზოგინიის შემდეგ ყველაზე მეტი დარღვევა მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის მხრივ გამოვლინდა (ტრადიციული მედია – 40, FB – 58). ამ ტიპის დარღვევები უმეტესწილად ქალების პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას უკავშირდებოდა, რაც ადრესატების რეპუტაციის შელახვას და მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმებით გაკიცხვას ისახავდა მიზნად.

სლატშეიმინგი. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმებისას სექსისტური სიძულვილის ენის ფორმა, „სლატშეიმინგი“ გამოიყენებოდა, რაც სიტყვა-სიტყვით „ბოზობით შერცხვენას“ ნიშნავს და მას სტერეოტიპულ წარმოდგენებთან შეუსაბამო გარეგნობის, ჩაცმულობის თუ ქცევის გამო ადრესატების გასაკიცხად იყენებენ.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკურ კონტექსტში სლატშეიმინგი ქალი პოლიტიკოსების პოლიტიკურ აქტივობებთან მიმართებით გამოიყენებოდა, რა დროსაც მათი პირადი ცხოვრების ზნეობრივი შეფასება ხდებოდა. მაგალითად, კრემლისტური სეზონი ტვ-ის წამყვანი ასეთ გამოხატვას საქართველოს პრეზიდენტის საქმიანობის უარყოფითი შეფასებისას მიმართავდა:

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ის წამყვანი: „საქართველო პატარა ქვეყანაა და ამ ქალის [სალომე ზურაბიშვილი] მორალური და ზნეობრივი სახე მთელმა ქვეყანამ იცის, ვინ არის

[19] ალტინფო, ალტერნატიული ხედვა, 12 ოქტომბერი, https://bit.ly/3RCIUYo

[20] გიორგი მარიამიძე, მოქალაქეთა დაცვის ინსტიტუტი. სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 26 ოქტომბერი, https://bit.ly/3YyqESp

[21] სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 26 ოქტომბერი, https://bit.ly/3YbT8BF

ეს ქალბატონი – ასჯერ გათხოვილი, ქართულის არმცოდნე და ზნეობრივად გახრწნილი. და ადამიანი ხორციელად რო არის მეძავი, სულიერადაც არის მეძავი“.[22]

ოპოზიციური პარტია ნაციონალური მოძრაობის წევრის ხატია დეკანოიძის მიმართ სექსისტურ კომენტარებს კი ანონიმური სახელისუფლებო ანგარიშები უკრაინის მოვლენებთან დაკავშირებით იყენებდნენ. მსგავსი შეფასებები, ერთი მხრივ, დეკანოიძის მხრიდან რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებზე საქართველოს ხელისუფლების პოზიციის კრიტიკას უკავშირდებოდა, მეორე მხრივ, ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებით უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი მრჩევლის ალექსეი არესტოვიჩის პოზიციას.

„ბოზი შენთან [ხატია დეკანოიძე] ანგელოზია! შენ ხარ პირით ბოზი და ჩამშვები! არ შეგრჩება!!!“[23]

„ძალის პროეცირება ხატიასთან [დაკანოიძესთან] ლოგინში მოახდინე ოლესკა [ალექსეი არესტოვიჩი]. ორი ძონძი“.[24]

ქალი პოლიტიკოსების საქმიანობის მრუშობად შეფასება ხატია დეკანოიძესთან ერთად სხვა ოპოზიციურ კანდიდატებთან მიმართებითაც ხდებოდა. კერძოდ, სლატშეიმინგის სამიზნე პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია და „ლელოს“ წევრი სალომე სამადაშვილიც გახდნენ:

ტრისტან წითელაშვილი, სამხედრო ექსპერტი: „ხატია დეკანოიძე არის სააკაშვილის ჯიბის პუტანკა. არა, თუ მარტო ხატია, არამედ ხოშტარია, სამადაშვილები“.[25]

მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის ადრესატებს შორის პატიმრობაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტის დედა გიული ალასანიაც მოხვდა, რომლის შესახებაც ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანონიმური გვერდები ორგანიზებულად ავრცელებდნენ იდენტური შინაარსის დაუდასტურებელ ინფორმაციას და მიმებს იმის შესახებ, რომ სააკაშვილის დედა გათხოვდა და ცოლად ნაციონალური მოძრაობის წევრ გიორგი ჩალაძეს გაჰყვა.[26]

---

22 სეზონი ტვ. დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 14 ნოემბერი, https://bit.ly/3I3G23N
23 Fatuli Kaia, „2012“ ერთად ავიხდინოთ ქართული ოცნება!!!!!!!! 7 სექტემბერი, 2022 https://bit.ly/3RL6aDF
24 სიმართლის დროა, 21 სექტემბერი, 2022 https://bit.ly/3I017vV
25 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 9 სექტემბერი https://bit.ly/3HwOiaY
26 მიხეილ უკრაინოლოგი, 5 სექტემბერი, https://bit.ly/3YMg0Yr
მიხეილ განუბაუებელი, 5 სექტემბერი, https://bit.ly/3RA8Zra
მიხეილ უკრაინოლოგი, 11 ნოემბერი, https://bit.ly/3Ih5REh
ლიდერი 41, 11 ნოემბერი, https://bit.ly/3XaQ4UT
მიხეილ განუბაუებელი, 11 ნოემბერი, https://bit.ly/3DKsHe5
ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები, 11 ნოემბერი, https://bit.ly/3jxEx4u
ტერენტი გლდანელი, 12 ნოემბერი, 2022 https://www.facebook.com/watch/?v=467442885379785
სიმართლის დროა, 12 ნოემბერი, 2022 https://www.facebook.com/watch/?v=647421330427243


მიხეილ უკრაინოლოგი
Sep 5, 2022 at 1:58 PM
შვილობილზე ნერვიულობს, მამაად ეკუთვნის რაც არ უნდა იყოს
Giorgi Chaladze • გიორგი ჩალაძე
4 mins

მიხეილ განუბაკებელი
September 5
Giorgi Chaladze • გიორგი ჩალაძე
4 mins
მიხეილ უკრაინოლოგი
September 5
შვილობილზე ნერვიულობს, მამაად ეკუთვნის რაც არ უნდა იყოს

მიხეილ უკრაინოლოგი
Nov 11, 2022 at 1:05 PM
მამა ენაცვალოს

მიხეილ განუბაკებელი
November 11 at 1:24 PM
მიხეილ უკრაინოლოგი
November 11 at 1:05 PM
მამა ენაცვალოს
60
10 Comments 2 Shares

ლიდერი 41
Nov 11, 2022 at 2:18 PM
პარტია ერთიან ნაციონალურ მოძრაობას თავმჯდომარეობის ერთი კანდიდატი გამოუჩნდა ნიკა მელიას კონკურენციას გიორგი ჩალაძე გაუწევს PS (ჩალაძე ისაა, გიული ალასანიას ყველგან ცუგასავით რომ დაჰყვება)


ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები
Public group · 37.8K members
Discussion
People
Media
Files
Saved
Reels
ლიდერი 41 shared a post.
November 11 at 2:20 PM

ტერენტი გლდანელი
Nov 12, 2022 at 3:08 PM
მიშას უცნაური ოჯახი 😐 დედა , მეორე ცოლი (იასკო), პირველი ცოლის პირველი შვილი , მეორე მამა (ჩალაძე) 😐

სიმართლის დროა
Nov 12, 2022 at 3:27 PM
მიშას ზღაპრული ოჯახი: მეორე მამა, მეორე ცოლი, პირველი შვილი
🤣🤣🤣

სლატშეიმინგის სამიზნე ერთ შემთხვევაში ტვ პირველის ჟურნალისტი ინგა გრიგოლიაც იყო, რომლის მაგალითი მანიპულაციური შინაარსის გამო დეზინფორმაციის თავშია განხილული.

ანტისახელმწიფოებრივი / ანტიეროვნული / ანგარებიანი ქმედება. მორალური კრიტერიუმებით თავდასხმები მხოლოდ სექსუალობის კომპონენტს არ მოიცავდა და ხშირად ისეთი კრიტერიუმებით შეფასებებს ეხებოდა, როგორიცაა უანგარობა, ქვეყნის ერთგულება და სხვა. გარკვეულ შემთხვევებში ქალ პოლიტიკოსებსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს ანტიეროვნულ ქმედებებში, ჯაშუშობაში, ფულის სანაცვლოდ უცხო ქვეყნის ინტერესების გატარასებასა და ქვეყნის ინტერესების დაზიანებაში სდებდნენ ბრალს. ამ კატეგორიაში სამიზნეები ყველაზე ხშირად საქართველოში ამერიკის ელჩი კელი დეგნანი, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშილი, სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს ხელმძღვანელი ეკა გიგაური, ოპოზიციური პარტიების წევრები ხატია დეკანოიძე (ენმ), ელენე ხოშტარია (დროა) და სალომე სამადაშვილი (ლელო) იყვნენ.





- **ბასილ მკალავლიშვილი, სასულიერო პირი:** „საქართველოს **მოღალატეთა არმიას** დღეს ჰყავს სამი ბელადი: დეგნანი, ლომჯარია და ზურაბიშვილი“.[27]
- **კობა არაბული, მწერალი:** „მართლაც, რომელი სამი შხამიანი მდინარის დასაბამია ეს **სამი დედაკაცი**, ქართულ პოლიტიკურ ველს რომ წამლავს?!“.[28]
- **დიმიტრი ლორთქიფანიძე, პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი:** „საქართველოში ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწევიან კოლექტიური გიგაურები, ლომჯარიები და სხვები, **ზნეობრივად გათახსირებულები**“.[29]
- **არნო ხიდირბეგიშვილი, საქინფორმის მთავარი რედაქტორი:** **„ჯაშუშები** დეკანოიძე, სამადაშვილი, ხოშტარია, გიგაური და ლომჯარია, რომლებიც ფინანსდებიან არა მარტო დასავლეთის მიერ, არამედ უკრაინიდანაც, მათი დე ფაქტო ლიდერის, არახამიას მეშვეობით“.[30]

რიგ შემთხვევებში მორალური კრიტერიუმებით თავდასხმის საბაბი პოლიტიკოსი ქალების მიერ ლგბტქი+ თემის უფლებების ღიად მხარდაჭერა გახდა, რაც მიუღებელ ქმედებად იყო მიჩნეული.

> **თათია გაბრიჭიძე, ალტ-ინფოს წამყვანი: „ჩვენ არ დაგვვიწყებია ეს სამარცხვინო ქალი [თაკო ჩარკვიანი, კანონი და სამართალი] თავის ერთკაციანი პარტიით! არც ხალხს დაავიწყდება, რადგან მუდმივად გავახსენებთ ყველა ეთერით ყველას, რომ სწორედ ამ სამარცხვინო არსებამ 14 პარტიასთან ერთად მოაწერა ხელი დემონსტრაციულად გეი-მემორანდუმს“.**[31]

კამპანიური ხასიათი ჰქონდა ოპოზიციური პარტიის „დროას“ ლიდერზე თავდასხმებს, რაც როგორც წინა თავში აღინიშნა, პოლიტიკოსის მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვას მისი ოჯახის წევრის მიერ რუსეთიდან საავტორო ჰონორარის მიღების გამო ახდენდა. ოპოზიციის მადესკრედიტირებელი ანონიმური ფეისბუქ გვერდები, ასევე სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიები პოლიტიკოსის დისკრედიტაციას მისი რუსეთის ინტერესების გამტარებლის იმიჯის დამკვიდრების გზით ცდილობდნენ. გარდა იმისა, რომ ხოშტარიას მისამართით სისტემატიურად იყენებდნენ ტერმინებს „რუბლოვნა“, „რუსული ფულის მოყვარული“, „რუსის აგენტი“ და სხვა, ვიზუალური მანიპულაციის შემცველი პოსტებიც ვრცელდებოდა. გარკვეულ შემთხვევებში იკვეთებოდა უკრაინის ომის კონტექსტში რუსეთის მიმართ პოლიტიკოსის პროტესტის გაუფასურების მცდელობა („ხვალ ელენე ხოშტარია პუტინის დავალებით ხელს შეუშლის წვევამდელთა გამოქცევას“).[32]

---

27 ბასილ მკალავლიშვილი, სასულიერო პირი, ასავალ-დასავალი, 12-18 სექტემბერი, 2022

28 იქვე

29 საქართველო და მსოფლიო, 12 სექტემბერი, 2022 https://bit.ly/3l4oDYB

30 საქართველო და მსოფლიო, 13 სექტემბერი, http://geworld.ge/ge/arno-xidirbegishvili-2/

31 ალტ-ინფო, ალტერნატიული ხედვა, 29 აგვისტო, https://bit.ly/3jGKmfP

32 ტერენტი გლდანელი, 24 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3JQnS6X
მეხუთე კოლონა, 27 სექტემბერი, 2022, https://bit.ly/3RF0l5i
POS- TV ანალიტიკა, 30 სექტემბერი, 2022, https://bit.ly/3Xgjxgm
ტერენტი გლდანელი, 11 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3DSCn6d
პროტესტი, 11 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3Xkec7v
წინ საქართველო უკეთესი მომავლისკენ, 11 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3leptcl

2.3. გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვა

გენდერული სტერეოტიპებით გაკიცხვის შემთხვევები ტრადიციულ მედიაში (36) ფეისბუქის მონაცემებს (17) სჭარბობდა და ისეთ მაგალითებს აერთიანებდა, რომლებიც ქალების როლს, ფუნქციებსა და მოვალეობებს დამკვიდრებული სტერეოტიპების ჩარჩოში განიხილავს.

ამ ნიშნით ქალების მიმართ გაკეთებული დისკრიმინაციული განცხადებები ორ ნაწილად გაიყო: ერთის მხრივ, ქალები მათი არაქალური გარეგნობისა თუ საქციელის გამო „გაურკვეველი სქესის არსებებად“ იყვნენ მოხსენიებული, მეორე მხრივ კი, გავრცელებული კომენტარები „ნამდვილი ქალის“ ქცევის სტანდარტს სტერეოტიპულად განსაზღვრავდა.

1. კრიტიკა სტერეოტიპული არაქალური ქცევის / გარეგნობის გამო

ქალებისთვის შეუსაბამო საქციელისა და გარეგნობისთვის თავდასხმის ობიექტი ყველაზე ხშირად პარტია „დროას“ ლიდერი ელენე ხოშტარია იყო, რიგ შემთხვევებში მსგავსი კომენტარები სახალხო დამცველის პოსტზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ნომინირებული ანა აბაშიძის მიმართაც კეთდებოდა.

- **ელენე ხოშტარიას წინააღმდეგ:** „ქალ-კაცა ხოშტარია“[33] „ხოშტარიაც, ხან „ხოშტერიას“ რომ ეძახის ხალხი, **გაურკვეველი გენდერული იდენტობის არსებაა** და ამან რა გზაზე უნდა გაიყვანოს საქართველო?“[34]
- **ანა აბაშიძის წინააღმდეგ:** „ანა აბაშიძე, რომელიც არის ღიად ლესბოსელი და რომელიც ძაან აქტიურობდა ნინოწმინიდის ბავშვთა პანსიონის დახურვის პროცესში და მისი მცდელობებით დაიხურა ნინოწმინდის ბავშვთა სახლი, იყო ასევე მეუფე სპირიდონის დაუძინებელი მტერი. არ ვიცი, ვთქვა ქალბატონი თუ ვაჟბატონი, ამდენი არ ვიცი, ამიტომ არაფერს არ ვიტყვი“.[35]

2. სტერეოტიპები ქალის როლის და ფუნქციის შესახებ

კაცი ოჯახში ფულის შემომტანია, ქალმა სახლს და ბავშვებს უნდა მიხედოს: „ის [ნიკოლოზ ბასილაშვილი] მიდის სადღაც, რაღაც მეგა ჩემპიონია, მაგარ ფულს შოულობს, ოჯახში მოაქვს და ნუ შენგანაც რაღაცა მოითხოვა, მაგალითად, მოდი სახლს და ბავშვებს მიხედე... თუ არ გინდა, წადი“.[36]

---

33 ლია კრიალაშვილი, საქართველოს ეროვნული გვარდია. ასავალ-დასავალი, 14-20 ნოემბერი

34 ანზორ თოთაძე, დემოგრაფი. ასავალ-დასავალი, 17-23 ოქტომბერი

35 მარიკა კუბლაშვილი, ჟურნალისტი, ალტერინფო, 30 სექტემბერი, 2022 https://bit.ly/3RF2jlk

36 ზურაბ მახარაძე, კონსერვატიული მოძრაობა. ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 21 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3JUDXs7

ქალი კდემამოსილი, კაცი კი მისი დამცველი უნდა იყოს: „გოგონა ფასდება მისი კდემამოსილებით, მისი სინაზით და არა თავგასულობითა და ქაჯობითა და ახტაჯანობით. ბიჭი ფასდება ვაჟკაცობითა და საკუთარი სიტყვის პატივისცემით. [...] კაცი უნდა იყოს დამცველი ქალის, გოგონასი“.[37]

ქალი მოკრძალებულად უნდა შეიმოსოს და სხეულის სიშიშვლე დაფაროს: „ქალის ჩაცმულობა, რა თქმა უნდა, ყოველთვის სასურველია რომ იყოს მოკრძალებული. ქალი ყოველთვის უნდა ცდილობდეს, რომ თავისი სხეულის სილამაზე, რაც არ უნდა ლამაზი სხეული ქონდეს ნაბოძები ღმერთისაგან, დაფაროს... როდესაც ქალი არ ფარავს თავის ხორცს, მაშინ მამაკაცს არ აქვს იმის საშუალება, რომ შიშველი ხორცის მიმართ მისი სული დაინახოს და განჭვრიტოს“.[38]

2.4. გონებრივი ნიშნით შეურაცხყოფა

გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით ქალებზე თავდასხმა მათ ინტელექტუალურ უნარებს, კომპეტენციასა და გამოცდილებას აყენებდა ეჭვქვეშ. ამ ნიშნით გამოვლენილი 39 შემთხვევის სამიზნე უმეტესწილად პოლიტიკოსი და უფლებადამცველი ქალები იყვნენ, რამდენიმე შემთხვევაში კი – ჟურნალისტებიც[39]. ხდებოდა ისეთი სიტყვების გამოყენება, როგორიცაა „უვიცი“, „შტერი“, „ქერქეტა“, „სულელი“, პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის შემთხვევაში კი აქცენტირება მისი ქართულად მეტყველების პრობლემებზე ხდებოდა.

ზურა მახარაძე, კონსერვატიული მოძრაობა: **„ომს როგორ ვიწყებთ უნდა გვესმოდეს, რომ უმაღლესი მხედართმთავარი სალომე ზურაბიშვილი ისმენს ჩვენი გენერლების ბრიფინგს და მერე უნდა გამოვიდეს და ერს და ჯარს მოუწოდოს ქალბატონმა სალომემ, რომ ვიწყებთ ომს! ქალბატონი სალომეს მჭერმეტყველება რომ ვიცით, დიდია შანსი, რომ ჯარი ცოტა ვერ გაერკვეს, საით უნდა შეუტიოს მარა, ჯანდაბას!“**[40]

ხათუნა ხოფერია, ყოფილი პარლამენტარი: **„რას ერჩიან კელი დეგნანს? გაუშვი ერთი შტერი ქალია, ამერიკა არ გვაპატიებს სიჯიუტეს...“**[41]

---

37 სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი. დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი, 12 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3x6wRcv

38 საბა ჭიკაიძე, დეკანოზი. თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი, 20 აგვისტო, 2022, https://bit.ly/3jH3Sce

39 ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი: „...ეს ეხლა, რა თქმა უნდა, უვიცი ქალისთვის [ნანუკა ჟორჟოლიანი] მიუღებელია ეგ საქართველო“. სეზონი, დღის შეჯამება ნიკოლზ მჟავანაძესთან ერთად, 14 სექტემბერი, https://bit.ly/40BEc1c გრიშა ონიანი, საზოგადოება სტალინი: „აი, ასეთი სულელი დედაკაცი[მაკა რაზმაძე] რომ იქნება, რა უნდა ელაპარაკო მაგას?“ სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 19 სექტემბერი, https://bit.ly/40BFEk5

40 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 12 სექტემბერი, https://bit.ly/3I5rgcM

41 ალია, 10-16 ოქტომბერი, 2022

გონებრივი შესაძლებლობების ნიშნით შეურაცხყოფას/დაცინვას ხელისუფლების მხარდამჭერი ფეისბუქ ანგარიშები სახალხო დამცველობის კანდიდატი ქალების – ანა აბაშიძე, მარიკა არევაძე და სოფიო დემეტრაშვილი – წინააღმდეგ მიმართავდნენ. 27 ოქტომბერს ფეისბუქ გვერდმა **„ლიდერი 41“**[42] ამ კანდიდატების ფოტოკოლაჟი წარწერით, „ფსიქოპატი ომბუდსმენი“ გამოაქვეყნა, რაც მმართველ პარტიასთან დაკავშირებულ ჯგუფებში – „საინფორმაციო სააგენტო“,[43] „მოქალაქე“ არასამთავრობო ორგანიზაცია“[44] და „პროტესტი! Protest! Протест!“[45], ასევე „ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები“[46] – კოორდინირებულად გააზიარეს.

[42] ლიდერი 41, 27 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/40FjEEV
[43] საინფორმაციო სააგენტო, 27 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3XfyxLe
[44] მოქალაქე, არასამთავრობო ორგანიზაცია, 27 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3ldmwIV
[45] პროტესტი, 27 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3HMWIjW
[46] ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები, 27 ოქტომბერი, https://bit.ly/3YpZXPI

2.5. გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფა/ დაცინვა

გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხყოფის/დაცინვის შემთხვევები ტრადიციულ (24) და სოციალურ მედიაში (25) თითქმის თანაბრად გამოვლინდა. ამ მეთოდს პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციური პლატფორმები მიმართავდნენ. ერთ შემთხვევაში კი გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის წყარო რელიგიური გვერდი იყო.

გარეგნული მახასიათებლების ნიშნით დაცინვის სამიზნე გახდა დედოფალ ელისაბედ II-ის დაკრძალვაზე პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ჩაცმულობა, როგორც ხელისუფლებასთან, ასევე ოპოზიციასთან დაკავშირებული ანონიმური ანგარიშების მხრიდან.

ხელისუფლებასთან დაკავშირებული ანგარიშები. ქართულ ოცნებასთან დაკავშირებულმა ანონიმურმა გვერდმა **„ტერენტი გლდანელი“** გამოაქვეყნა[47] ზურაბიშვილის ლონდონში გადაღებული ფოტო, რომელსაც თან ახლდა საშინელებათა ფილმის პერსონაჟის კადრი, წარწერით „რომელია საშინელებათ ფილმის გმირი?“ პოსტს ერთვოდა მინაწერი „ბაბაიაგა“. მოგვიანებით „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებულმა ანგარიშებმა აღნიშნული ფოტო ოპოზიციის წევრების ვიზუალთან ერთად (ელენე ხოშტარია, თინა ბოკუჩავა) და სხვადასხვა ინტერპრეტაციით გაავრცელეს („ზურაბიშვილის ქუდი ყველას უხდება“, „ზურაბიშვილის ბრენდული ქუდი ნაცებმა აიტაცეს“)[48].



[47] ტერენტი გლდანელი, 19 სექტემბერი, 2022 https://www.facebook.com/122635296660483/posts/402003895390287

[48] David Tordia, ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები, 19 სექტემერი, 2022
https://www.facebook.com/406487456718075/posts/1063360247697456
https://www.facebook.com/photo/?fbid=180775784510729&set=a.130307479557560
https://www.facebook.com/photo/?fbid=180776741177300&set=a.130307479557560
ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერები, 19 სექტემბერი, 2022
https://www.facebook.com/groups/406487456718075/posts/1063350641031750/

ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული ანგარიში. თავის მხრივ, პრეზიდენტ ზურაბიშვილის ლონდონის ფოტო მისი ჩაცმულობის გაქილიკების მიზნით ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებულმა ანონიმურმა ფეისბუქ გვერდმა **„ლურჯი ვირი“** ხელისუფლების მადისკრედიტირებელ კონტექსტში სხვადასხვა ინდივიდუალურ პოსტებზე დაყრდნობით გაავრცელა, სადაც ფოტოშოპით ირაკლი ღარიბაშვილი[49], ბიძინა ივანიშვილი და ირაკლი კობახიძე[50] იყვნენ ჩასმული[51].

„ლურჯი ვირის“ სამიზნე კულტურის მინისტრი თეა წულუკიანიც გახდა, რომლის გარეგნული მახასიათებლებით შეურაცხყოფა/დაცინვის მიზნით სექსისტური ფოტომანიპულაცია ინდივიდუალურ ფეისბუქ ანგარიშზე დაყრდნობით გავრცელდა[52]. ამავე გვერდმა კულტურის მინისტრის მიმართ გარეგნული მახასიათებლების ნიშნით შეურაცხმყოფელი კომენტარი გამოაქვეყნა.[53]

49 ლურჯი ვირი, 20 სექტემბერი, 2022 https://www.facebook.com/100063747994459/posts/493376686130594
50 ლურჯი ვირი, 20 სექტემბერი, 2022 https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=493446289456967&id=100063747994459
51 ლურჯი ვირი, 20 სექტემბერი, 2022 https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=493446289456967&id=100063747994459
52 ლურჯი ვირი, 1 სექტემბერი, 2022 https://www.facebook.com/105608390900542/posts/638764364251606
53 ლურჯი ვირი, 11 ოქტომბერი, 2022 https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=514599704008292&id=100063747994459



რელიგიური გვერდი. გარეგნული მახასიათებლებით დაცინვის ერთი შემთხვევა, რელიგიურმა ფეისბუქ გვერდმა „ვარდიგორის მამათა მონასტერმა“ გამოაქვეყნა, რომლის სამიზნეც ამერიკის ერთ-ერთ შტატში, სილამაზის კონკურსში გამარჯვებული ტრანსგენდერი ქალი იყო. მისი ფოტო გვერდმა, რომელიც რადიკალურ სასულიერო პირს სპირიდონ ცქიფურიშვილს უკავშირდება, შემდეგი სტერეოტიპული აღწერით გამოაქვეყნა: „ლიბერალებო! გამარჯვებული რა კონკურსით გამოვლინდა; სილამაზით თუ ჭიდაობით?[54]“

54 ვარდიგორის მამათა მონასტერი, 13 ნოემბერი, 2022
https://www.facebook.com/permalink.php?story_fbid=1140827973209466&id=100018468233527

2.6. ეიჯიმზმი

ასაკის ნიშნით დისკრიმინაციის 8 შემთხვევიდან უმრავლესობა საქართველოს პრეზიდენტის სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ იყო მიმართული, რომელსაც როგორც „მავნებელ პენსიონერს“, „კუანა დედაბერს“ მოიხსენიებდნენ. ერთი განცხადება საფრანგეთის პრეზიდენტის ემანუელ მაკრონის მეუღლეს “საფრანგეთის პრეზიდენტის მოხუც ცოლად“[55] მოიხსენიებდა, ხოლო თაკო ჩარკვიანის წინააღმდეგ ასაკობრივი დისკრიმინაციის შემცველი კომენტარი საქართველოს კულტურის მინისტრს, თეა წულუკიანს ეკუთვნოდა.

> **თეა წულუკიანი, კულტურის მინისტრი: „დღეს დაბადების დღე ჰქონია ქალბატონ თამარს [ჩარკვიანს], ქალბატონო თამარ, გილოცავთ დაბადების დღეს, თან საიუბილეო თარიღია, უბრალოდ, ამ ასაკში რატომ გადაწყვეტენ ხოლმე ადამიანები პოლიტიკაში შემოსვლას, არ ვიცი, მაგრამ დღეს არ ვაწყენინოთ[56]...“**

კრემლისტური ფეისბუქ ანგარიშები სალომე ზურაბიშვილის ვაქცინაციის ამსახველ ფოტოს, წარწერით „მავნებელი პენსიონერი“ ავრცელებდნენ, რაც მის იმ განცხადებას უკავშირდებოდა, სადაც ზურაბიშვილი საქართველოს ომში ჩართვის შესახებ ბრალდებების სრულ ტყუილს უწოდებდა.[57]

55 Splitnews, 19 სექტემბერი, 2022 „ჯაფარიძე მივიდა სტუდიაში გაბანჯგვლული ფეხებით, არახამია მოლაპარაკებაზე იჯდა „კეპკით“ და ა, კიდო...“ https://split.spnews.io/ka/archives/148396

56 Splitnews, 23 სექტემბერი, 2022. „მკერდ-მოღეღილი ცდილობს ქუჩაში რევოლუციის მოხდენას ლეიბებზე“ – წულუკიანმა თაკო ჩარკვიანზე იმხიარულა“ https://split.spnews.io/ka/archives/148711

57 „ირაკლი ჯანყარაშვილი / irakli jankarashvili, 3 სეტემბერი, 2022 https://bit.ly/3HK4u90 Jeni Burjanadze-ის პოსტი ჯგუფში „ქართველები საქართველოსთვის“ ამჟამად ხელმისაწვდომი არ არის.

III. მობილიზება იდენტობის, ღირებულებების, ოჯახის ინსტიტუტის და ბავშვების დასაცავად

მედიის განვითარების ფონდის მიერ ადრე ჩატარებული კვლევების საფუძველზე გამოვყავით გენდერთან დაკავშირებული ოთხი სპეციფიკური თემა, რომლის დაცვის საბაბით ანტილიბერალური ჯგუფები საზოგადოების მობილიზებას ახდენდნენ. ესენია:

1. იდენტობა
2. ღირებულებები
3. ოჯახის ინსტიტუტი
4. ბავშვები

გაანალიზებული 398 კომენტარიდან ღირებულებების (32,4%) და იდენტობის (31.7%) დაცვის თემა თითქმის თანაბრად დომინირებდა, რასაც ოჯახის ინსტიტუტის (20,1%) და ბავშვების (15,8%) საფრთხეებისგან დაცვის საკითხი მოსდევს.

დიაგრამა 12. გენდერთან დაკავშირებული 4 სპეციფიკური თემის ხვედრითი წილი



აღსანიშნავია, რომ ქალები მეტწილად ოჯახთან დაკავშირებულ გზავნილებში ფიგურირებდნენ და ნაწილობრივ ბავშვთა თემატიკაში, სადაც ქალთა უფლებების დაცვა ბავშვების უფლებების ხელყოფასთან იყო გათანაბრებული. ამასთანავე როგორც იდენტობის, ასევე ღირებულებების და ნაწილობრივ ბავშვების თემატიკაში ლგბტქ(ი) იდენტობის ადამიანები ფიგურირებდნენ და ზოგადად გენდერული თვითგამორკვევის საკითხები დომინირებდა.

3.1. ღირებულებების დაცვა

ღირებულებების თემაზე ყველაზე მეტი გზავნილი ანტიდასავლური შინაარსის იყო და ამკვიდრებდა აზრს, რომ როგორც დასავლური ღირებულებები, ასევე ლიბერალიზმი შეუთავსებელია ზნეობრივ/ქრისტიანულ საზოგადოებასთან (39). ამავე დროს კრემლისტური აქტორები მცდარი დილემის ტექნიკას იყენებდნენ და დასავლეთის საპირწონედ, რომელიც მსოფლიოს „ლგბტიზაციისთვის“ იბრძვის, მართლმადიდებელ რუსეთს სახავდნენ, რომელსაც რწმენის, ტრადიციების და ოჯახის ინსტიტუტის დაცვის მისიას მიაწერდნენ (12). უფრო მეტიც, გარკვეულ შემთხვევებში უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენცია და საომარი მოქმედებები, ქრისტიანობის და ტრადიციული იდენტობის დაცვით იყო გამართლებული, ხოლო უკრაინის პოლიტიკური ელიტა სოდომისტად და ეკლესიასთან მებრძოლად წარმოჩენილი (6).

მმართველი პარტია „ქართული ოცნების“ მიერ მაუწყებლობის კანონში ინიცირებული ცვლილებები[58], რაც სიძულვილის ენის მედიის თვითრეგულირებიდან რეგულირების სფეროში გადატანას გულისხმობს, წარმოდგენილი იყო, როგორც ქრისტიანების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც ჰომოსექსუალური ურთიერთობების და ამორალური ღირებულებების ქრისტიანობის პრიზმიდან განსჯის შესაძლებლობას სპობს (22). ამასთანავე რესპონდენტთა გზავნილების ნაწილი იზიარებდა მოსაზრებას „გარყვნილების პროპაგანდის“, როგორც მიუღებელი ღირებულების, საკანონმდებლო შეზღუდვის (9) და დასავლეთის მიერ თავსმოხვეული ანტიდისკრიმინაციული კანონის, როგორც მართლმადიდებლობისა და ზნეობის წინააღმდეგ მიმართული აქტის (8) გაუქმების შესახებ.

როგორც დიაგრამა 13-ზე ჩანს, სხვა გზავნილები შემდეგი შინაარსის იყო:

- ჰომოსექსუალების მხარდაჭერა/ჰომოსექსუალობა შეუთავსებელია კაცობასთან/ქართველობასთან/ტრადიციულ იდენტობასთან (13),
- დასავლური კულტურის/ლიბერალური სამყაროს როლური მოდელები გეები არიან (8),

[58] საქართველოს პარლამენტი, „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე https://bit.ly/3XFh8w0

- 5 ივლისის მოძალადეების[59] მხარდაჭერა = მართლმადიდებლობის/ღირებულებების დაცვას (5),
- ლიბერალიზმის მარცხი გარდაუვალია (3).

დიაგრამა 13. ღირებულებების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები

მცდარი დილემა: მართლმადიდებელი რუსეთი vs გარყვნილი დასავლეთი

ღირებულებებთან დაკავშირებული დისკურსი ძირითადად ანტიდასავლური იყო და თავსმოხვეულ ფემინიზმსა და ჰომოსექსუალურ ღირებულებებზე ამახვილებდა ყურადღებას, ამავე დროს, ქმნიდა დიქოტომიას, რომელიც მცდარი დილემის ტექნიკის[60] გამოყენებით „გარყვნილ“ და ღი-

[59] 2021 წლის 5 ივლისს თბილისი პრაიდის კვირეულის ფარგლებში დაგეგმილი „ღირსების მარშის“ საწინააღმდეგოდ რადიკალურმა ძალადობრივმა ჯგუფებმა კონტრაქცია გამართეს, სამოქალაქო აქტივისტების ორგანიზაცია „სირცხვილიას“ და „თბილისი პრაიდის“ ოფისები, ასევე პარლამენტის წინ გაშლილი ოპოზიციის კარვები დაარბიეს. ფიზიკურად გაუსწორდნენ 53 ჟურნალისტს. შსს-მ ძალადობის ფაქტებზე თავდაპირველად 31 პირი დააკავა. https://bit.ly/3WR0kBP

[60] შავ-თეთრი აზროვნების ტექნიკა გულისხმობს მხოლოდ ორი ალტერნატივის დასახვას და ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებას. https://bit.ly/2lZ5Qqv

რებულებებისგან დაცლილ დასავლეთს იდენტობის და ტრადიციების დამცველ მართლმადიდებელ რუსეთს უპირისპირებდა:

დასავლეთი / ლიბერალიზმი	რუსეთი / მართლმადიდებლობა
ალექსანდრე დუგინი, ულტრანაციონალისტი ფილოსოფოსი: „**დასავლური საზოგადოების გავლენა**, რომელიც უფრო და უფრო ჩნდება საქართველოში, **ანადგურებს ქართულ ტრადიციებს და საფრთხეს უქმნის ქართულ იდენტობას**. ამ საზოგადოებაში გეი პარადები და მარიხუანას დარგვა და დასავლური ცივილიზაციის სხვა სიკეთეები, უკვე იწყებს თავად ქართული საზოგადოების გაღიზიანებას[61]“.	**ალექსანდრე დუგინი, ულტრანაციონალისტი ფილოსოფოსი:** „...და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთ ამ სტატუსით ვერ იქნება ალტერნატივა ქართველებისთვის, **ქართველები** უკვე სხვაგვარად ირჩევენ. ისინი არ აკეთებენ არჩევანს რუსეთსა და დასავლეთს შორის, ისინი **არჩევანს დასავლეთსა და საქართველოს შორის აკეთებენ**[62]“.
გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „**ლიბერალიზმს ამკვიდრებს, ფემინიზმს** ამკვიდრებს, **ანტირელიგიურ სოციუმს** ამკვიდრებს, **ლგბტ პროპაგანდას უწევს, გარყვნილობას ამკვიდრებს**, ეგეთი საზოგადოებით რას აპირებენ ესენი?[63]“	**„საქართველო და მსოფლიო“:** „**დასავლეთი იბრძვის მსოფლიოს ლგბტ-ზაციისთვის, ანუ ღმერთის წინააღმდეგ,** რუსეთი კი მართლმადიდებელი იმპერიაა, ძალა, რომელიც იცავს იმას, რასაც ებრძვის ზნედაცემული დასავლეთი: რწმენას, ტრადიციებს, ოჯახის ინსტიტუტს... ყველაფერს, რაც უფლის ნებით შეიქმნა[64].“
ალტინფო: „**ჰომოსექსუალური ღირებულების თავსმოხვევის ძალმომრეობის კამპანია** კი სერბეთის ტერიტორიული მთლიანობის საკითხთან პირდაპირ კავშირშია[65]“.	**საქართველო უპირველეს ყოვლისა:** „ღმერთმა დაიფაროს მართლმადიდებელი რუსეთი დასავლელი ტარტაროზების, ჭინკების, მეკაცურების, მჩხიბავებისა და მსოფლიოს ლაჯებში ამოდების მსურველთაგან!.. ღმერთმა დაიფაროს რუსეთი, რომელიც არასოდეს ყოფილა ჩემი ბატონი, არც თაობის გაპედარასტებით დამმუქრებია და არც კაცის კაცთან სექსი შემოუთავაზებია ცხოვრების ნორმად![66]“

61 მსოფლიო საოჯახო კონგრესი X / World Congress Of Families X Tbilisi, https://bit.ly/3XzQNQI

62 იქვე

63 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 15 ნოემბერი, 2022, https://bit.ly/3wuldGO

64 დავით მხეიძე, საქართველო და მსოფლიო, 12 სექტემბერი, 2022, „ყველას ბრძოლა ერთის წინააღმდეგ“ https://bit.ly/3XBpZQ1

65 ალტ-ინფო, ალტერნატიული ხედვა, 29 აგვისტო, 2022, https://bit.ly/3jaREYS

66 გოჩა ხარანაული, საქართველო უპირველეს ყოვლისა, 23 სექტემბერი, 2022, https://bit.ly/3XYogUq

დასავლეთი / ლიბერალიზმი	რუსეთი / მართლმადიდებლობა
„ასავალ-დასავლი“: „ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილი კი მიიჩნევს, რომ ეს **კანონი** [ანტიდისკრიმინაციული], რომლის მიღებაც საქართველოს ხელისუფლებას ქვეყნის გარედან აიძულეს, **ქართველი ერის ტრადიციულ ფასეულობებს,** საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ **ცხოვრების წესს, ზნეობას, მორალსა და მართლმადიდებლურ რწმენას ეწინააღმდეგება!**[67]“	**„ასავალ-დასავალი“:** „საქართველოს ხელისუფლებამ შექმნილი საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებით უნდა ისარგებლოს და რუსთხელმწიფე ვლადიმერ პუტინი ქვეყნის გაერთიანებაზე დაიყოლიოს!.. სხვანაირად საქართველო მოკვდება, ხოლო **გეი-ევროპასთან და უკანალგარღვეულ დასავლეთთან „მტლაშა-მტლუშის“ აღკვეთა** ქვეყანას არაფერს დაუშავებს, პირიქით სოდომიისა და ათასი უბედურებისგან განწმენდს![68]

მცდარი დილემა: ომი უკრიანაში მართლმადიდებელ რუსეთსა და სოდომისტებს შორის იდენტობის დასაცავად მიმდინარეობს

უკრიანაში რუსეთის სამახედრო ინტერვენციაც იდენტობის დაცვის პრიზმაში იყო განხილული, რაც რუსეთის პასუხისმგებლობიდან ფოკუსის მგრძნობიარე თემებზე გადატანას ისახავდა მიზნად.

ქართული სასულიერო პირების გზავნილები, რომ ომი უკრაინაში ქრისტიანობის და ტრადიციული იდენტობის წინააღმდეგ მიმდინარეობს, უკრაინის პოლიტიკური ელიტა კი სოდომისტია და ებრძვის ეკლესიას თანხვედრაში იყო რუსეთის პატრიარქ კირილეს განცხადებასთან, რომლის თანახმად, უკრაინაში ომის მიზეზი ლიბერალური დასავლური ღირებულებები და გეი აღლუმების მიმართ დონბასელების მიუღებლობაა[69]. იგივე გზავნილებს კრემლისტური პარტია ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა და ონლაინ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოც“ ავრცელებდნენ, ასევე ცალკეული ფეისბუქ ანგარიშები, რაც ასევე თანხვედრაში იყო ომის დროს რუსულენოვან სოციალურ ქსელებსა და სხვა კრემლისტურ გამოცემებში გავრცელებულ მიზანმიმართულ დეზინფორმაციასთან[70].

67 ჯაბა ხუბუა, ასავალ-დასავალი, 10-16 ოქტომბერი, 2022

68 დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალი, 22-28 აგვისტო, 2022

69 The Moscow Times, March 7, 2022. Russian Church Leader Appears to Blame Gay Pride Parades for Ukraine War https://bit.ly/3R67oJd

70 მედიის განვითარების ფონდი, 2022. რუსეთის ინფორმაციული ომი - 2 თვე უკრაინაში ინტერვენციიდან, გვ. 16. https://bit.ly/3ZYUIrQ

დავით ისაკაძე, დეკანოზი: „...[ლობისტები] გეგმაზომიერად ცდილობენ ტრადიციულ ერებში ზნეობრივი ცხოვრების წესის გარყვნილებით ჩანაცვლებას. უპირველესად, ამერიკის შეერთებულ შტატებს ვგულისხმობ, საიდანაც, ფაქტობრივად, ევროპა და მთელი მსოფლიო იმართება. უკრაინაში მიმდინარე ომი ამ დაპირისპირების მკვეთრი გამოვლინებაა"[71].

„საქართველო და მსოფლიო": „...კოლექტიურ დასავლეთსა და რუსეთს შორის ყველა, დიდი თუ მცირე, კონფლიქტი, მათ შორის ეს ომიც, არის ბრძოლა მართლმადიდებელ ქრისტიანობასა და აგრესიულ ნეოლიბერალიზმს, გნებავთ, ლგბტ გარყვნილთა შორის[72]."

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „იმათ [გლობალისტებს] უნდათ ლიბერალური უკრაინა, სადაც გეი-პარადები იქნება, მულტიკულტურიზმი იქნება, სადაც ქალები იქნებიან ძალიან ფემინისტები, მიკოლა ვეღარ ასწავლის თავის პატარა ტარასს, ტარას ასწავლის ტრანსგენდერი ვიღაცა ოლეგი... გლობალისტები ნაციონალისტური უკრაინისთვის ხომ არ ომობენ?! მილიარდებს ხომ არ დებენ იმაში, რომ უკრაინელი იყოს ზეტრადიციული, ზექრისტიანული?![73]."

ამასთანავე, ომის მიზეზად უკრაინაში კონკრეტულად გეი აღლუმის ჩატარება და პრეზიდენტ ზელენსკის სოდომისტობა და ქრისტიანობისადმი მტრული დამოკიდებულება სახელდებოდა.

სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი: „ხარკოვში დაგეგმილია სექტემბრის თვეში გეი აღლუმი. აი, ამისთვის მიდის ომი. ის ძალები, ის იდეოლოგია, რომელი იდეოლოგიაც ერთ ფლანგზე დგას, ლიბერალური დასავლეთი, მათი მიზანია გამარჯვების შემდეგ აღნიშნონ გეი აღლუმები[74]."

„უკრაინა, სადაც ომის პირობებში გეიაღლუმის ჩატარებას აანონსებენ, დასაღუპად არის განწირული. ამჟამინდელი, ფაშისტური უკრაინა, რომელიც გეი-კლოუნი და ნარკომანი ზელენსკის გარყვნილ ახალგაზრდობაზე დგას, დიდხანს ვერ, არ იარსებებს. ასე რომ, მოახლოებულია ანტიქრისტეს შვილების და შვილიშვილების ზეობის ტრაგიკული ფინალი[75]."

სპირიდონ აბულაძე, მთავარეპისკოპოსი: „საწყალი ზელენსკი მასხარა იყო მთელი თავის ცხოვრება და ანტიქრისტიანულად ცხოვრობდა, საშინელი სოდომისტია და საშინელი მტერია ქრისტიანული ეკლესიის და ქრისტეს მოძღვრების[76]."

---

71 ასავალ-დასავალი, 12-18 სექტემბერი, 2022

72 დავით მხეიძე, საქართველო და მსოფლიო, 19 სექტემბერი, 2022. „პუტინის „საიდუმლო იარაღი" – გენერალი ზამთარი" https://bit.ly/3kHtIlW

73 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 18 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3R8JFrV

74 დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი, 14 სექტემბერი, https://bit.ly/3JhYbf4 [31:20]

75 დავით გარეჯის დაცვის ჯგუფი, 19 სექტემბერი, Jeni Burjanadze https://bit.ly/3j5uwLw, https://bit.ly/403JoKQ

76 საქართველო უპირველეს ყოვლისა, 13 ოქტომბერი. https://bit.ly/3Hu5sXO [4:40]

სარკაზმელები: „ეს ლჭპტ კლოუნები რო ომით იმუქრება“.[77]

პრორუსული პარტია ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ:

- ლიბერალური სამყაროს როლური მოდელები ჰომოსექსუალები არიან, რომელთა საპირწონედ ისინი დიქტატორებს აიდიალებდნენ (“აქეთ სტალინი იყო, მაგრამ აქეთ დემნა გვასალია გვყავს, კაცო![78]“);
- ლიბერალიზმი მაქსიმალურად ცდილობს ქრისტიანობის შესუსტებას, რადგან მათ შემოთავაზებულ ლიბერალურ მოდელში „გენდერული პოლიცია უნდა თარეშობდეს ქვეყანაში და რაღაცა ტელევიზიებში უნდა წარმოებდეს განუწყვეტელი პროპაგანდა, რომ ბოზობა, პიდარასტობა და ამორალობა არ არის გასაკიცხი რაღაც“.[79]
- „ლიბერალიზმი მომაკვდავი იდეოლოგიაა, რომელიც მალე სინამდვილეში საერთოდ დასრულდება“.[80]

3.2. იდენტობის დაცვა

როგორც ღირებულებების თემაზე, იდენტობის დაცვის საბაბით მამობილიზებელი გზავნილების ყველაზე დიდი წილიც ანტიდასავლური შინაარსის იყო და ამკვიდრებდა აზრს, რომ დასავლეთში ინტეგრირება გენდერული იდენტობის დაკარგვის საფრთხეს შეიცავდა (50). ამ მოსაზრების კულტივირებას თითქმის თანაბრად ახდენდნენ რადიკალური, ანტილიბერალური პარტიები, მედია და ფეისბუქ ანგარიშები. ამასთანავე დემოკრატია (5) და ლიბერალური მედიის დღის წესრიგი (4) იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან იყო გაიგივებული.

მონიტორინგის პერიოდში ულტრარადიკალურ ჯგუფებში ერთ-ერთ წინააღმდეგობრივ საკითხად თბილისის მერის გადაწყვეტილება[81] იქცა, რომლითაც საპატიო თბილისელის სტატუსი მოდის სახლ „ბალენსიაგას“ კრეატიულ დირექტორს დემნა გვასალიას მიენიჭა. ამ გადაწყვეტილებას სხვადასხვა აქტორები, ყველაზე მეტად კი ანტილიბერალური ფეისბუქ ანგარიშები (10) და სასულიერო პირები (9), დიზაინერის სექსუალური ორიენტაციის გამო აკრიტიკებდნენ და ამკვიდრებდნენ აზრს, რომ ჰომოსექსუალური იდენტობის ადამიანის დაფასება არ უნდა ხდებოდეს (34).

---

77 სარკაზმელები, 21 ოქტომბერი, 2022 https://bit.ly/3HuVGor

78 შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 19 სექტემბერი https://bit.ly/3R786pH

79 შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 1 ნოემბერი https://bit.ly/3H2Wfo9

80 ირაკლი მარტინენკო, კონსერვატიული მოძრაობა, ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 26 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4140430 [22:21:48- 22:23:39]

81 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (2022). თბილისის საპატიო მოქალაქეები https://tbilisi.gov.ge/page/3187

ჰომოსექსუალობა ღვთის ნების წინააღმდეგ ჯანყად, ავადმყოფობად და მომაკვდინებელ ცოდვად (11) იყო წარმოჩენილი, ხოლო ლგბტქი თემის თვითგამოხატვა – დესტაბილიზაციის, სხვა ადამიანების პროვოცირების მცდელობად და ჰომოსექსუალობის პროპაგანდად (8). იდენტობის დაკარგვის საფრთხესთან გამკლავებაში განსაკუთრებით ხაზგასმული იყო ეკლესიის და მართლმადიდებლობის როლი (6). თავის მხრივ, სასულიერო პირები საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ქალისა და კაცის გენდერული როლები, რათა მათი იდენტობა ჰომოსექსუალობასთან და ბოზობასთან არ ყოფილიყო გაიგივებული (5).

დიაგრამა 14. იდენტობის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



ჰომოსექსუალურ იდენტობას არა ბიოლოგიურ მოცემულობად, არამედ შეძენილ ქცევად, „ღვთის წინააღმდეგ ჯანყად“ და მომაკვიდნებელ ცოდვად მეტწილად სასულიერო პირები განიხილავდნენ. მათ შორის ქართულად ყველაზე ხშირად რუსი არქიმანდრიტის რაფაელ კარელინის ტექსტები ითარგმნებოდა:

> **არქიმანდრიტი რაფაელი კარელინი: „ჰომოსექსუალისტებად არ იბადებიან – ჰომოსექსუალისტები ხდებიან. ეს ცოდვა ბუნების წინააღმდგომია, უცხოა ადამიანის ბუნებისათვის, ესაა ჯანყი ღვთის ნებისა და განგების წინააღმდეგ, საუკუნო სიკვდილის არჩევა, საიდუმლო კავშირი, რომელსაც კაცი სატანასთან კრავს. ამიტომ სოდომიტების აღლუმები სრულიადაც არ არის ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დეკლარაცია – ესაა გარყვნილების პროპაგანდა, ძალადობა ერის ზნეობისა და სინდისის წინააღმდეგ[82].“**

[82] ZNEOBA.GE, 5 ნოემბერი https://bit.ly/3kGvPB4

ამასთანავე, მეტწილად სასულიერო პირები საუბრობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მომხდარიყო აღზრდის შედეგად კაცებისა და გოგოებისთვის ტრადიციული იდენტობის შენარჩუნება და განსაზღვრულიყო მათი როლები, ასევე რა მორალური კრიტერიუმებით უნდა შეფასებულიყო მრუშობა:

სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი: „ჩვენ უეჭველი შევძლებთ ისეთი სახელმწიფოს აშენებას, რომელშიც კანონები იქნება ზნეობაზე და მორალზე დაფუძნებული, ეს სახელმწიფო კი გაზრდის თაობებს ვაჟკაცებად, მამაკაცებს და არა პედიკებად, გოგონებს გაზრდის ოჯახის დედებად და არა მეძავებად და დაზრდის ქრისტიანულ მძლავრ ლოდად[83].“

სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი: „სიტყვა ბოზი ბოზი აღარ არის უკვე... ქალს, რომელმაც ქმარი მიატოვა და გაიქცა, სხვას გაეკიდა, ის არ არის ბოზი, სიყვარული ეწვია, შეუყვარდა და ახალი ცხოვრება დაიწყო. ჩვულებრივი ბოზია, კაცო, გაბოზდა. სახელს აღარ ვარქმევთ, თან მიდის ამის პროპაგანდა ტელევიზიით, ცოლი ყავდა, უი ჰომოსექსუალი ყოფილა, მიატოვა ცოლი და გაეკიდა კაცს, მერე ტრანსგენდერი გახდა და ამღერეს[84].“

ყველაზე მეტი გზავნილი დასავლეთში ინტეგრაციის შემთხვევაში იდენტობის დაკარგვის საფრთხეს უკავშირდებოდა და მას სასულიერო პირების გარდა, პარტიები, მედიები და სხვადასხვა ფეისბუქ გვერდებიც აქტიურად ავრცელებდნენ:

ალტერინფო: „საკითხავია, სურს თუ არა ქართველ ერს გარყვნილების, ამორალობისა და სიბინძურის პროპაგანდისტული ევროპა, რომელიც დემოკრატიის სახელსაა ამოფარებული, სინამდვილეში კი გამუდმებული გეი ულტიმატუმებით ცდილობს, ქვეყანას მომავალთან ერთად უკვე არსებული და მყარად ჩამოყალიბებული ღირებულებები წაართვას“.[85]

მალხაზ თოფურია, პატრიოტთა ალიანსი: „უბედნიერესი კაცი ვიქნები, რომ მერსედესი გაიხსნას, როლს-როისი გაიხსნას, ამერიკული ინვესტიცია დავინახო. ბიჭო, არ მინდა ამ „უკანალში“ ჩადებული ინვესტიცია“.[86]

ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი: „ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით მართლმადიდებელი ქრისტიანები, ჩვენ მათ ვერ გავუტოლდებით, რადგან მათი ლგბტ პროპაგანდა საქართველოს დაღუპავს. არ უნდა შევიდეთ ევროკავშირში, რადგან დავიღუპებით, დაგვღუპავენ“.[87]

---

83 დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი https://bit.ly/3XzMzs1

84 დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი https://bit.ly/3WzEK4A

85 ალტერინფო, ალტ-ინფო, 24 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3kJoOze [7:03]

86 ობიექტივი, სტუდია 8, 11 ნოემბერი, 2022, https://bit.ly/3kLBOUY

87 საქართველო და მსოფლიო, 17 ოქტომბერი, 2022 „ვაჟა ოთარაშვილი: ევროპასთან საქართველოს მიერთება ეკონომიკურ კოლაფსს გამოიწვევს, მონებად ქცევას... ჩვენ ვიქნებით 21-ე საუკუნის მონები“ https://bit.ly/3kK3ppB

„ასავალ-დასავალი“: „...ამერიკის პრეზიდენტი, მთელ მსოფლიოს ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონებას აიძულებს! აღარაფერს ვამბობ იმ ყბადაღებულ გენდერიზაციასა და ჰომოფობიაზე, რომელმაც შეერთებულ შტატებსა და სოდომ-გომორას შორის საბოლოო ჯამში ტოლობის ნიშანი დასვა!“[88]

ამასთანავე ლგბტქ იდენტობის ადამიანების უფლებების რეალიზება, მათ შორის შეკრებებისა და მანიფესტაციის უფლებით სარგებლობა და საჯარო სივრცეში თვითგამოხატვა გათანაბრებული იყო სამოქალაქო სტაბილურობის საფრთხესთან, რომელსაც დასავლეთი სხვადასხვა ქვეყნებში დესტაბილიზაციის მოსაწყობად იყენებდა და ამ მხრივ პარალელები სერბეთთან კეთდებოდა:

ალტერინფო: „როგორც სერბეთის, ისე საქართველოს და სხვა ტრადიციული ქვეყნების მაგალითები გვარწმუნებს, რომ ლიბერალური დასავლეთის ლგბტ თემი ჩამოყალიბდა ერთგვარ პროვოკატორთა ზონდერ დაჯგუფებად, რომლებსაც ისინი წარმატებით იყენებენ ქვეყნებში დესტაბილიზაციის მოსაწყობად ყველაზე უფრო კრიტიკულ მომენტებში“.[89]

ეროვნულ ძალთა შეთანხმების მემორანდუმი: „საშიშად მიგვაჩნია ისეთი „უფლებების“ განხორციელება, რომელიც საფრთხეს უქმნის სამოქალაქო სტაბილურობას და დაგმობილია ადგილობრივი ტრადიციული ზნეობითა, თუ ყველა ისტორიულად არსებული რელიგიით“.[90]

3.3. ოჯახის ინსტიტუტის დაცვა

ოჯახთან დაკავშირებულ თემატიკაში აბორტის შესახებ გზავნილები დომინირებდა (26), რა დროსაც ფეხმძიმობის ყველა ფორმით შეწყვეტა ცოდვად და მკვლელობად განიხილებოდა და მასში მეტწილად დედის და ექიმის დადანაშაულება ხდებოდა. გამოვლინდა ასევე გზავნილები ტრადიციული ოჯახის მიზანმიმართული ნგრევისა (12) და დასავლეთის/ლიბერალების მხრიდან როგორც ტრადიციული ოჯახის, ასევე იდენტობის წინააღმდეგ ბრძოლის (10) შესახებ. გარკვეული წყაროები ამკვიდრებდნენ აზრს, რომ მამაკაცების მოძალადეებად წარმოჩენა მიზანმიმართულ ხასიათს ატარებს და რომ ოჯახური ძალადობის ბრალდებით კაცების დაპატიმრება უსაფუძვლოდ ხდება (10). ამასთანავე გარკვეულ შემთხვევებში ქალთა უფლებების დაცვა მამაკაცზე ძალადობად და ტრადიციული ოჯახის ხელყოფად იყო წარმოჩენილი (4), ხოლო ქალის უპირველეს დანიშნულებად მეუღლეობა/დედობა იყო დასახული, რომელსაც ოჯახში მამაკაცის საყრდენის ფუნქცია უნდა შეესრულებინა (4). ფემინიზმი კი ოჯახისთვის საფრთხედ და დემოგრაფიული პრობლემის მიზეზად იყო დასახელებული (3).

---

88 დიტო ჩუბინიძე, ასავალ-დასავალი, 14-20 ნოემბერი, 2022

89 ალტერინფო, ალტ-ინფო, 29 აგვისტო, 2022, https://bit.ly/3Df5osF

90 ქართული იდეა – qartuliidea.ge, 13 სექტემბერი, 2022, https://bit.ly/3WE3Xe5

სასულიერო პირები, ასევე გარკვეულ შემთხვევაში პოლიტიკოსები, ოჯახს ქალისა და კაცის ერთობად განიხილავდნენ (6), ოჯახის ზნეობრივი გახრწნისგან/ჰომოსექსუალობისგან დაცვას კი – ქრისტიანების მოვალეობად (5).

დიაგრამა 15. ოჯახის ინსტიტუტის დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



აბორტი. ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის საფრთხეებისგან დაცვასთან დაკავშირებულ გზავნილებში აბორტების თემატიკა დომინირებდა, რა დროსაც ნაყოფის სიცოცხლის ნებისმიერი ფორმით შეწყვეტაზე პასუხისმგებლობა ძირითადად დედას (ქალს) და მასთან ერთად ექიმს ეკისრებოდა, მამაკაცის (მამის) პასუხისმგებლობა კი ამ დისკურსში საერთოდ უგულებელყოფილი იყო. ამასთანავე, აბორტი ძირითადად რელიგიურ-მორალური ჭრილში იყო განხილული და არა სოციალურ-ეკონომიკურში ან სამართლებრივ-უფლებრივში, რა დროსაც შემდეგი სპეციფიკური გზავნილები გამოიკვეთა:

ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა არის მკვლელობა, რომელზეც პასუხისმგებელია ექიმი და დედა:

აბორტი ბავშვების მკვლელობაა: „გინეკოლოგი სტოიან ადაშევიჩი პირველი სერბი ექიმია, რომელმაც საჯაროდ განაცხადა, რომ ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა არის მკვლელობა, რომლის პასუხისმგებლობასაც თანაბრად ინაწილებენ ბავშვის დედა და ექიმი, რომელიც ატარებს ოპერაციას“.[91]

[91] აბორტი ბავშვების მკვლელობაა, zneoba.ge 8 ნოემბერი, 2022, https://bit.ly/3XDeveG https://bit.ly/3WGDdcS

არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი: „დედამ რომ შვილის მოკვლა შესძლოს, ჯერ ის ბუნებრივი სიყვარული უნდა გაანადგუროს თავის თავში, რომელიც მას საკუთარ ჩვილთან, მისდაუნებურად, აკავშირებს. ასეთ მომენტში იგი უკვე უარს ამბობს ქრისტეზე, ცოდავს... ფიზიკურ სიკვდილამდე და წამებამდე მშობლის წიაღში მოქცეული ჩვილი უკვე განიცდის დედის განაჩენის ულმობელობას, სიკვდილის საშინელებას“.[92]

არქიმანდრიტი რაფაელი კარელინი: „შვილების მკვლელი დედები რატომღა მტრობენ ასე სამშობლოს? შვილის მოკვლა ხომ ქვეყნის მომავლის განადგურებაა... თანამედროვე კაცობრიობამია დედის დაკრეჭილ კბილებში მისი საკუთარი შვილის სიკვდილი მოჩანს“.[93]

დეკანოზი ბასილ ახვლედიანი: „აბორტი ამდაბლებს ქალის ღირსებას. მოკლული ჩვილის სისხლი ყოველთვის იღაღადებს დედის სინდისის მიმართ: “დედაჩემო, რატომ მაგდებ ჯალათი ექიმის ხელში?“[94]

ლიბერალები იცავენ ცხოველებს / გეი წყვილებს, მაგრამ კლავენ ბავშვებს:

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა: „ლიბერალისთვის პრობლემა რა არის? რავი, აი, ბავშვებს ვერ ვკლავთ, ქალები ვეღარ კლავენ, მუცლად მყოფ ბავშვებს და პიდარასტები ვეღარ ქორწინდებიან“.[95]

აბორტი ბავშვების მკვლელობაა: „ლიბერალს ეცოდება უპატრონო ცხოველები, მაგრამ მხარს უჭერს მუცლად მყოფი ბავშვების ხოცვას – აბორტებს!“[96]

სიცოცხლის წართმევის უფლება კანონმდებლობითაა დაკანონებული

არქიმანდრიტი რაფაელი კარელინი: „კანონმა აღმაშფოთებელი უსამართლობა დააკანონა – სიცოცხლის წართმევის უფლება“.[97]

ბოლო ჟამის ქრისტიანები: „საქართველოს კანონმდებლობით ნებისმიერ დედას, რომელსაც სურს საკუთარი შვილის მოკვლა, შეუძლია გააკეთოს ეს დაორსულებიდან 12 კვირის განმავლობაში... აბორტი არის მუცლად მყოფი ბავშვების მკვლელობა“.[98]

---

92 აბორტი ბავშვების მკვლელობაა, 1 ნოემბერი, 2022, https://bit.ly/3j3Kk1j
93 აბორტი ბავშვების მკვლელობაა, 20 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3Hs4dIG
94 დეკანოზი ბასილ ახვლედიანი, 19 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3R8725a
95 ალტ-ინფო, ალტ-ანალიტიკა, 3 სექტემბერი https://bit.ly/3RcEVI9
96 24 ოქტომბერი https://bit.ly/3wsMQkN
97 აბორტი ბავშვების მკვლელობაა, 20 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/3XQi3Ki
98 ბოლო ჟამის ქრისტიანები, 24 ოქტომბერი, 2022, https://bit.ly/4022WPL

ფემინიზმი უპირისპირდება ტრადიციულ ოჯახს და პროპაგანდას უწევს ბავშვთა კვლას

დავით ლორთქიფანიძე: „ფემინიზმი, რომელიც პირდაპირ უპირისპირდება ტრადიციულ ოჯახს და პროპაგანდას უწევს ბავშვთა კვლას (აბორტებს), ღიად ხელყოფს ოჯახის ფასეულობების შესახებ ძირითად კანონში აღნიშნულ პრინციპებს, საფრთხეს უქმნის თავად ოჯახის ინსტიტუტს, დედა-შვილობას, საზოგადოდ, ერის გამრავლებას და მიმართულია ერის გენოციდისა და გადაგვარებისაკენ“.[99]

ამასთანავე, ქალთა უფლებრივი საკითხები, ფემინიზმი ოჯახისთვის და დემოგრაფიისთვის საფრთხედ იყო განხილული, ხოლო ოჯახის საქმეებში ჩარევა – ტრადიციებისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად:

ფემინიზმი საფრთხეს უქმნის ოჯახს, ქმნის დემოგრაფიულ პრობლემებს

ზურა მახარაძე, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა: „სადაც ფემინიზმი შედის აქტიურად, იქ ოჯახში არის ერთი ბავშვი, სტატისტიკურად, რა და ეგ კულტურები, სადაც არის ძლიერი ფემინიზმი, არიან კლებაზე“.[100]

დავით ლორთქიფანიძე: „ფემინიზმი – ეს არის ამბოხი ღმერთის წინააღმდეგ (და პირველი მეამბოხე ვიცით ვინც იყო – სატანა) და მიმართულია ტრადიციული ოჯახის, როგორც ჯანსაღი საზოგადოების საძირკველის წინააღმდეგ“.[101]

ქალთა უფლებების დაცვა = ტრადიციული ოჯახის დანგრევას

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ს წამყვანი: „თუ თქვენ ოჯახში ხმა ვინმემ აიმაღლა, დარეკეთ [ცხელ ხაზზე] ბაია პატარაიასთან!..[102] **თუ ოჯახები განადგურდა, თუ ოჯახები დაიშალა, ეს ქვეყანაც დაიშლება!“**[103]

---

99 ZNEOBA.GE, 18 ოქტომბერი, 2022, „ფემინიზმის რეალური სახე“ https://bit.ly/3R6ZaAw

100 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 6 სექტემბერი, https://bit.ly/3YdHSV5

101 zneoba.ge, ფემინიზმის რეალური სახე, https://bit.ly/3JfXyTk

102 ფემინისტი და ქალთა უფლებების დამცველი, ორგანიზაცია „საფარი“

103 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 14 სექტემბერი https://bit.ly/3ZVv8Ed

ოჯახის საქმეებში ჩარევა ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობას / ტრადიციებს

ლევან ჩაჩუა, ქართული იდეა: **„უცხო ოჯახის და მითუმეტეს, ცოლ-ქმრის პირად ცხოვრებაში ცხვირის ჩაყოფა ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს მართლმადიდებელი ქრისტიანისთვის. წესით, ძალიან დიდ უხერხულობას უნდა ქმნიდეს მართული ბორდელვიზიები რომ გჩრიან თვალებში სხვის ოჯახურ ურთიერთობებს“.**[104]

ოჯახურ საქმეებში ჩარევად და კაცების წინააღმდეგ მიზანმიმართულ ქმედებად იყო განხილული ოჯახური ძალადობის ბრალდებით მამაკაცების დაკავება, ხოლო ტრადიციული ოჯახის, როგორც სახელმწიფოს ფუნდამენტის წინააღმდეგ ქმედებები დასავლეთს და თავსმოხვეულ კანონმდებლობას მიეწერებოდა:

მამაკაცებს ოჯახური ძალადობის ბრალდებით უსაფუძვლოდ აპატიმრებენ

შოთა მარტინენკო: **„საქართველოში სრულიად კატასტროფულ დონეს აღწევს ფემინისტური ნორმების დამკვიდრება კანონმდებლობაში. ახლა კატასტროფულად ბევრი პატიმარი იხდის სასჯელს ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ იმის გამო, რომ ცოლის თქმით, ის იგინებოდა და ა.შ. ოჯახის, როგორც სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების მთავარი კერის, მთავარი ფორმულის და იმ ფასეულობის, რომელიც ფორმირდება ოჯახის იდეის გარშემო, ნგრევის ტენდენცია აშკარად შეინიშნება დასავლეთის საკანონმდებლო მოქმედებებში“.**[105]

დავით ლორთქიფანიძე: **„ოჯახში ძალადობის თემის ხელოვნურად წამოწევა და სხვა დანაშაულებებზე მაღლა დაყენება სწორედ ფემინიზმის პროპაგანდის იარაღია. ფემინიზმი ტყუის და არაკეთილსინდისიერია „ოჯახში ძალადობასთან“ დაკავშირებით – ჩვენთან მილიონობით გრანტები შემოდის დასავლეთიდან ამ თემის წამოსაწევად“.**[106]

სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი: **„შემთხვევითი არ არი ჩემო ძვირფასებო, ჩემო ქართველებო, ოჯახზე ასეთი შეტევა ლიბერალური იდეოლოგიის მქონე ძალებისა... რადგან თვითონ ლიბერალიზმი ეს არის სატანური იდეოლოგია... პირველი გაერთიანება ადამიანთა, რაც აკურთხა მაღალმა ღმერთმა, ეს არის ოჯახი და რასაც ებრძვის პირველ რიგში ბოროტი სული საკუთარი მორჩილი მსახურების მიერ ეს არის ოჯახის ინსტიტუტი“.** [107]

---

104 https://bit.ly/3H52yr5

105 ალტერინფო, 3 ნოემბერი (RT) https://bit.ly/3Je7kFr

106 Zneoba.ge, ფემინიზმის რეალური სახე https://bit.ly/3JaGgHh

107 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 14 სექტემბერი https://www.myvideo.ge/v/4137514 https://www.myvideo.ge/v/4137516

ოჯახის, როგორც ქალისა და კაცის ერთობად რეპრეზენტაციის გარდა, სასულიერო პირები, ასევე სხვა ანტილიბერალური ჯგუფები ქალის ტრადიციულ როლს დედობაში, მეუღლეობასა და ოჯახში მამაკაცის საყრდენის ფუნქციის შესრულებაში ხედავდნენ:

ოჯახი არის ქალის და კაცის ერთობა

პორფირე, სერბეთის პატრიარქი: „ბიბლიაში ნათქვამია, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა მამაკაცად და დედაკაცად – შესაბამისად, ქორწინება და ოჯახი, სამყაროს დასაბამიდან მოყოლებული დღევანდელ დღემდე და სამყაროს აღსასრულამდე, განისაზღვრება, როგორც მამაკაცსა და ქალს შორის სიყვარულით შექმნილი კავშირი... ჩვენი ხალხი ამ ტრადიციების ერთგული იყო საუკუნეების მანძილზე, ახლა კი მუდმივ და ღრმა საფრთხეს განიცდიან“.[108]

ქალის უპირველესი დანიშნულება მეუღლეობა / დედობაა და ის ოჯახში მამაკაცის საყრდენი უნდა იყოს

საბა ჭიკაიძე, დეკანოზი: „ძალიან დიდი შეცდომაა, როდესაც ქალი თვლის, რომ მისი მთავარი საქმე და საკეთებელი არის ის, რომ იყოს პროფესიულად რეალიზებული. ეს არის ეშმაკის ტყუილი. ქალის უმთავრესი ფუნქცია და მე ასე ვიტყოდი, საცხონებელი ასპარეზი, სადაც მას შეუძლია თავისი შესაძლებლობის რეალიზება, არის ოჯახი... თქვენ ღმერთი შეგაფასებთ იმით, როგორი მეუღლე და როგორი დედა იყავით და არა იმით, თუ რამდენი უმაღლესი გაქვთ დამთავრებული, რამდენი დისერტაცია დაიცავით, რამდენი ადამიანის უფროსი იყავით სამსახურში... იმიტომ, რომ ქალის უპირველესი დანიშნულება არის მეუღლეობა და დედობა და კაცთან სწორი დამოკიდებულება, პატივისცემითი დამოკიდებულება“.[109]

სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი: „გოგონები უნდა იზრდებოდნენ ქმრების, მამების, ძმების ზურგად“.[110]

დავით ლორთქიფანიძე: „ქალის, დედის როლი საზოგადოებაში ყოველთვის საამაყო იყო (როგორც ქვეყნისთვის მომავალი თაობის აღმზრდელისა). დღეს სწორედ ამ ღირებულების დისკრედიტაცია ხდება, თავს გვეხვევა ისეთი სოციალურ-ეკონომიკური გარემო, სადაც ქალის და მამაკაცის როლები იცვლება და ამით ირღვევა ტრადიციული საზოგადოების საფუძვლები(თუნდაც იგივე ბინძური გენდერის (ლგბტ) თეორია)“.[111]

---

108 მსოფლიო საოჯახო კონგრესი X / World Congress Of Families X Tbilisi, 7 სექტემბერი https://bit.ly/3j3PKJG ERI Media • ერი მედია, 8 სექტემბერი https://bit.ly/3XBnTQ9

109 თბილისის ვაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი, 26 აგვისტო https://bit.ly/3HsqOoE

110 დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი https://bit.ly/3ZUV5nj [35:15]

111 zneoba.ge, ფემინიზმის რეალური სახე https://bit.ly/3HuINvA

გურამ ფალავანდიშვილი: „ოჯახის უფროსი კაცი თუ არაა, ის ოჯახი დაკნინებულია“.[112]

3.4. ბავშვების დაცვა

ბავშვებისთვის საფრთხედ ლიბერალები და ლგბტქ ადამიანები, ასევე ჰომოსექსუალობის პროპაგანდა (15) სახელდებოდა. სასკოლო საგანმანათლებლო სივრცეში ისეთი საკითხების სწავლება, როგორიცაა გენდერული იდენტობა, სამოქალაქო განათლება და თანასწორობის თემები (13), ასევე სექსუალური განათლება (10) ბავშვების გარყვნასთან და ლგბტ პროპაგანდასთან იყო გათანაბრებული. ამერიკაში პედოფილიის და ამორალურობის ნორმალიზებაზე ძირითადად ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა (9) საუბრობდა. კანონმდებლობა, როგორიცაა ბავშვთა კოდექსი და ანტიდისკრიმინაციული კანონი, ბავშვთა უფლებების ხელყოფის კონტექსტში განიხილებოდა და მათი გაუქმების მოთხოვნებიც ისმოდა (6). ქალთა უფლებების დაცვა კი ბავშვთა უფლებების ხელყოფად იყო განხილული ძირითადად საქართველოს პირველი ჩოგნის, ნიკოლოზ ბასილაშვილისა და მისი ყოფილი ცოლის ნელი დოროყაშვილის სასამართლო დავასთან[113] მიმართებით, რომელიც ოჯახურ ძალადობას შეეხებოდა (5). საფრთხედ იყო განხილული ასევე გენდერული თვითგამორკვევა, რაც არასრულწლოვნებში სქესის შეცვლის საკითხს უკავშირდებოდა (5).

დიაგრამა 16. ბავშვების დაცვასთან დაკავშირებული გზავნილები



ბავშვებთან დაკავშირებული თემატიკის დიდი წილი ფორმალურ თუ არაფორმალურ განათლებაში თანასწორობის საკითხებისა და სექსუალური განათლების სწავლებას უკავშირდებოდა,

[112] გურამ ფალავანდი ᲘᲦ, 20 ოქტომბერი, 2022 https://bit.ly/3GYxs4w

[113] ნეტგაზეთი, 22 ოქტომბერი, 2022. „განაჩენი საქართველოს ქალებს“ — სასამართლო განაჩენი ბასილაშვილზე და შეფასებები“ https://netgazeti.ge/life/637041/

ასევე ანტიდისკრიმინაციულ კანონს, რომელიც ბავშვთა უფლებების ხელმყოფად იყო წარმოჩენილი:

სკოლებში სამოქალაქო საზოგადოების სწავლება / თანასწორობის საკითხებზე საუბარი = ბავშვთა გარყვნას / ლგბტ პროპაგანდას

მოძრაობა ძლევაი საკვირველი: „...ერთხმად მიიღეს ე.წ. „ანტიდისკრიმინაციული კანონი“, რომლის საფუძველზეც დღემდე საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და უმაღლესებში სოდომ-გომორულ სიბილწესა და გენდერულ თეორიებს ისე ასწავლიან, როგორც ცხოვრების ნორმას!“[114]

ვაჟა ოთარაშვილი, პატრიოტთა ალიანსი: „სკოლებში ხომ შემოიტანეს ეს ნაძირალური საგანი, სამოქალაქო საზოგადოება. რომელი ევროპისკენ მივდივართ, საინტერესოა?... არავის არ ეგონოს, რომ სოდომისტური ევროპა ეს არის ცივილიზაციისკენ სვლა. ეს არის ქართული სახელმწიფოს დაღუპვა“.[115]

სკოლებში სექსუალური განათლება = ბავშვთა გარყვნას

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა: „სინამდვილეში ხდება ჩვეულებრივი ლიბერასტული დღის წესრიგის დამკვიდრება იმისთვის, რომ სრულფასოვნად მოხდეს ამათი მსოფლმხედველობის დამკვიდრება, ეს არის ბავშვების სექსუალიზაცია, გარყვნილების დამკვიდრება... ჩვენ, ჩვენი მშობლების თაობას, ჩვენი ბაბუების თაობას ასეთ გაკვეთილებს არავინ არ უტარებდა და ჩემი აზრით ნორმალური ხალხი იყვნენ ისინი... პირიქით, უფრო ნაკლები პრობლემა იყო მათ შორის სექსუალური ხასიათის დანაშაულებებშიც და სხვა საკითხებშიც[116].

გურამ ფალავანდიშვილი, ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაცია: „... როცა ამაზე [სექსუალურ განათლებაზე] ლაპარაკობს პედაგოგი, აქ არის პედოფილობის მომენტი... ძირითადად პედოფილები საქმდებიან მაგითი, რომ ბავშვებს, საბავშვო ბაღში ელაპარაკონ სექსზე. ეს იგივე პედოფილობაა“.[117]

---

114 მოძრაობა ძლევაი საკვირველი, 20 სექტემბერი, 2022, https://bit.ly/3XBAMts

115 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 20 ოქტომბერი, https://www.myvideo.ge/v/4144582

116 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 3 ნოემბერი, https://bit.ly/3WvOJru

117 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მუავანაძესთან ერთად, 31 ოქტომბერი, https://bit.ly/3WDMoL0

სპირიდონ ცქიფურიშვილი, დეკანოზი: „პირველი, რაც გააკეთა ლიბერალურმა იდეოლოგიამ – სკოლებიდან განდევნეს ეკლესია. კატეგორიულად აიკრძალა ლოცვა და ამის შემდეგ შედის ეგ [სექსუალური განათლება] და შემდგომ უკვე ლამაზად შეფუთული ტექსტებით „ექიმის საათი". აი, ექიმი შედის იმიტომ, რომ სექსოლოგია და სექსუალური ურთიერთობები ასწავლოს მოზარდ თაობას... ეკლესია სწორედ გამხელთ იმ გარყვნილების პროპაგანდაში, რომელსაც ნერგავთ და გინდათ შეიტანოთ სკოლებში, რომ გარყვნათ მომავალი თაობა. და ამას აკეთებთ იმიტომ, რომ თქვენ დაფინანსება გაქვთ დასავლეთიდან და კერძოდ, ამას კურირებს ამერიკის საელჩო".[118]

ანტიდისკრმინაციული კანონი საგანმანათლებლო სივრცეში ბავშვთა უფლებებს ხელყოფს და ჰომოსექსუალი პედაგოგების ინტერესებს იცავს

ასავალ-დასავალი: „ანტიდისკრიმინაციული კანონის" მიხედვით, მაგალითად, კერძო თუ სახელმწიფო საბავშვო ბაღს ან სკოლას უფლება არა აქვს, მოქალაქეს სამსახურში მიღებაზე უარი მხოლოდ იმიტომ უთხრას, რომ იგი გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი ან ტრანსექსუალია! შესაბამისად, მცირეწლოვანი თუ არასრულწლოვანი ბავშვის მშობელს, რომელსაც არ უნდა, რომ მის შვილს აღმზრდელად ან პედაგოგად გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსექსუალი ჰყავდეს, ერთადერთი გამოსავალი რჩება – ეძებოს ისეთი სკოლა ან საბავშვო ბაღი, სადაც მის შვილს გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი თუ ტრანსექსუალი მასწავლებლები და აღმზრდელები არ ეყოლება!..[119]

გენდერული თვითგამორკვევა საფრთხეს უქმნის ბავშვებს

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა: „შვილს, რომ აი, ასეთი ვიღაც ავადმყოფი, ეტყვის რომ სინამდვილეში შენ ბიჭი კი ხარ, მაგრამ ეგ არ არის რეალობა, შენ შეიძლება გოგო გახდე... ვერაფერს ვერ იზამ, კაცო. შენს ბავშვს გაზრდიან ბიჭი თუ გყავს გოგოდ, შეიძლება მერე ისიც, რაღაც ჰორმონალური თერაპია ჩაუტარონ".[120]

ბავშვები დასაცავია ტრანსგენდერებისგან / ჰომოსექსუალებისგან

შოთა მარტინენკო, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა: „საზიზღრობაა [ტრანსგენდერობა]... ეგ არის ამორალობა, ეგ არის იმდენად გარყვნილი, ამორალური და ფსიქოლოგიურად პათოლოგიური მდგომრეობა, რომ მაგ ხალხის ბავშვებთან მიშვება არ შეიძლება".[121]

---

118 დეკანოზი სპირიდონ ცქიფურიშვილი, 12 ოქტომბერი https://bit.ly/3H9EjZ1

119 ჯაბა ხუბუა, ასავალ-დასავალი, 10-16 ოქტომბერი, 2022

120 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 13 სექტემბერი, 2022, https://bit.ly/3WD4qNI

121 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 13 სექტემბერი, https://bit.ly/3H6G755

ამერიკაში ამორალურობის / პედოფილიის ნორმალიზება ხდება

გიორგი ქარდავა, ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა: „როგორც ეხლა საქართველოში მიდის ლგბტ საკითხის ნორმალიზაციის მცდელობა... შემდეგი ჯერი იქნება აი, ეს ანუ, როგორც ამერიკაში მიდის უკვე საუბარი პედოფილიის ნორმალიზაციაზე... ვიღაცეებს იმ ოჯახში მიაჩნიათ, რომ პედოფილია საერთოდ არ არის ცუდი რაღაცა, კაცო, ეს არიან ადამიანები, რომელებსაც არასრულწლოვნები იზიდავთ“.[122]

ქალთა უფლებების სამართლებრივი დაცვა = ბავშვთა უფლებების ხელყოფას

ნიკოლოზ მჟავანაძე, სეზონი ტვ-ს წამყვანი: „ეხლა ამას [ნელი დოროყაშვილს] თავისი შვილი ფეხებზე კიდია ამ ქალბატონს! აი, ესეთი ღმერთმა აშოროს ყველას აი, ესეთი დედა!.. და ეს ადამიანი [ნიკოლოზ ბასილაშვილი] მართლა ჯერ ეგ ერთი, წარმატებულია და მერე კიდე არავის არ უთქვია ამაზე, რომ ეს დამნაშავეა... ბავშვის უფლებები არ ირღვევა, როდესაც, აი, ესეთი ინფორმაციები ვრცელდება? ამას უყურებს ბავშვი, როგორ ე.ი. მამამისს ლანძღავენ, თათხავენ, როგორ ესეიგი მოძალადედ გამოყავთ“.[123]

---

122 ალტ-ინფო, ალტ ანალიტიკა, 6 სექტემბერი, https://bit.ly/3WGDnB0

123 სეზონი ტვ, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 8 სექტემბერი, 2022, https://bit.ly/3Y0au41

IV. კანონმდებლობა

4.1. ანტილიბერალური საკანონმდებლო ინიციატივები

მოქმედი ლიბერალური კანონმდებლობის გადახედვა და მოწყვლადი ჯგუფებისთვის შემზღუდავი ნორმების დაწესება, ანტილიბერალური დისკურსის ნაწილი წლებია არის. კვლევის ფარგლებში საქართველოს პარლამენტში სხვადასხვა დროს (2014-2022წლები) რეგისტრირებული ის საკანონმდებლო ინიციატივები შევისწავლეთ, რომლებიც მეტწილად ქალების და ლგბტქი თემის ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვას ისახავს მიზნად.

პარლამენტში რეგისტრირებული საკანონმდებლო ინიციატივებიდან, რომლებიც 8 მოქმედ კანონში ცვლილებების შეტანას შეეხებოდა, 1 აბორტს უკავშირდებოდა, 1 – რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას, 6 კი გენდერული და სექსუალური იდენტობის ნიშნით ამ ჯგუფების უფლებების ხელყოფას ითვალისწინებდა. ყველაზე მეტი ინიციატივა სხვადასხვა კანონებიდან, პირველ რიგში კი ანტიდისკრიმინაციულიდან, ტერმინების „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ამოღებას ისახავდა მიზნად. პარლამენტში სხვადასხვა პირების/ორგანიზაციების მიერ გენდერულ და სექსუალურ იდენტობასთან დაკავშირებით რეგისტრირებული საკანონმდებლო ინიციატივები პირობითად შეიძლება სამ კატეგორიად დავყოთ:

1. **სამართლებრივ მექანიზმებზე წვდომის შეზღუდვა:** სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით მოქალაქეთა დისკრიმინაციისგან დაცვის ნორმის გაუქმება;
2. **დასაქმების შეზღუდვა:** ლგბტქი იდენტობის ადამიანების საჯარო სტრუქტურებში, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშვნის საკანონმდებლო შეზღუდვა;
3. **შეკრებების და მანიფესტაციის, გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა:** ლგბტქი იდენტობის ადამიანებისთვის შეკრებების და მანიფესტაციის შეზღუდვა, ისეთი შეკრების და მანიფესტაციის

შეზღუდვა, რომლის გამოხატვა შესაძლოა, მიუღებელი იყოს რელიგიური ჯგუფებისთვის; ნებისმიერი გამოხატვის შეზღუდვა, რაც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფად შეიძლება აღიქმებოდეს.

უნდა აღინიშნოს, რომ კრემლისტური პარტია ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის საკანონმდებლო ინიციატივას, შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში შესატან ცვლილებებზე, ამჟამად პარლემტის კომიტეტები განიხილავენ. აქამდე დარეგისტრირებულ სხვა ინიციატივებს კი, რომლებიც ქვემოთ მოცემულ ცხრილშია მითითებული, პარლამენტში კანონის სახე არ მიუღია, ერთ შემთხვევაში კანონის ინიციატორმა, დეპუტატმა სოსო ჯაჭვლიანმა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ პროექტი თავად გაიწვია.

განხილული საკანონმდებლო ინიციატივების ავტორებად კი შემდეგი ჯგუფები გვევლინებიან:

- **კრემლისტური პარტიები/ორგანიზაციები:** ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობა; „საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი“ და „მრავალეროვნულ საქართველოს ანტიფაშისტური კოალიცია[124, 125]“;
- **ანტილიბერალური:** დემოგრაფიული განვითარების ფონდი (ზვიად ტომარაძე),[126] სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზი[127]; უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე[128].
- **საქართველოს პარლამენტის წევრები:** ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრები – სოსო ჯაჭვლიანი და ემზარ კვიციანი; დამოუკიდებელი დეპუტატი, წარსულში ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი – ალექსანდრე ერქვანია[129].

124 მედიის განვითარების ფონდი, 2019. რუსული სამყარო საქართველოში https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/117

125 Национальный конгресс славянских народов Грузии https://www.facebook.com/slavyanskiy.kongress
Antifashist Georgia https://www.facebook.com/antifa.ge

126 ამჟამად ორგანიზაცია „ერი და სახელმწიფო“. მითების დეტექტორი, ზვიად ტომარაძის პროფილი. https://mythdetector.ge/ka/profiles/tomaradze-zviad-2/

127 Civil.ge, 16 მაისი, 2014. ლგბტ „პროპაგანდის“ წინააღმდეგ აქცია და „ოჯახის დღე“ 17 მაისს https://old.civil.ge/geo/article.php?id=28191?id=28191

128 საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე“ http://www.ufali.ge/

129 პარტიული კუთვნილება მითითებულია, საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის მიხედვით.

ცხრილი 3. საქართველოს პარლამენტში 2014-2022 წლებში რეგისტრირებული საკანონმდებლო ინიციატივები

მოქმედი კანონი	კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები	ინიციატორი
შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი	„აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სექსუალური ორიენტაციის დემონსტრირებას, პოპულარიზაციას ან/და პროპაგანდას[130]“.	ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა
	„აკრძალულია შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარება თუ იგი მიზნად ისახავს ან რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს რომელიმე რელიგიური მიმდინარეობის საწინააღმდეგო, მადისკრედიტირებელ ან/და რომელიმე რელიგიური მიმდევრობის ადამიანთა რწმენის საწინააღმდეგო, შეურაცხმყოფელ განცხადებებსა და მოწოდებებს ან/და რომლის დროსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ომისა და ძალადობის პროპაგანდას, ეროვნული, კუთხური, რელიგიური ან სოციალური შუღლის გაღვივებას[131]“.	ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა
ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ზემოთმითითებული წესების დარღვევისთვის.[132]	ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა
საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი	შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონში ზემოთმითითებული წესის განმეორებით დარღვევა ისჯება ჯარიმით ან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით (180-240 სთ.) ან გამასწორებული სამუშაო ვადით 2 წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით 2 წლამდე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით 3 წლამდე.[133]	ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა
	ტერმინების „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ამოღება.[134]	ავტორი: ზვიად ტომარაძე (დემოგრაფიული განვითარების ფონდი) / საკანონმდებლო ინიციატივა: ქართული ოცნების დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი / ემზარ კვიციანი 

130 მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის (გიორგი ქარდავა, ზურაბ მახარაძე, ირაკლი მორგოშია, შოთა მარტინენკო, კონსტანტინე მორგოშია) საკანონმდებლო ინიციატივა, 7 ნოემბერი, 2022, https://parliament.ge/legislation/25062

131 იქვე

132 იქვე

133 იქვე

134 საქართველოს პარლამენტის წევრი იოსებ ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივა, 16 სექტემბერი, 2015, https://parliament.ge/legislation/10634 საქართველოს პარლამენტის წევრის ემზარ კვიციანის საკანონმდებლო ინიციატივა, 7 მაისი, 2018, https://parliament.ge/legislation/15603 საქართველოს მოქალაქე ზვიად ტომარაძის საკანონმდებლო ინიციატივა, 21 აპრილი, 2016, https://parliament.ge/legislation/12702

მოქმედი კანონი	კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები	ინიციატორი
კანონი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ	კანონიდან „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის და გამოხატვის“ შესახებ ჩანაწერის ამოღება.[135]	ზვიად ტომარაძე / ქართული ოცნების დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი / ემზარ კვიციანი; სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზი; უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე
	ჩანაწერის დამატება „არ უნდა მოახდინოს საზოგადოებისთვის მიუღებელი, უზნეო, ამორალური და გაუკუღმართებული ქმედების პროპაგანდირება და აფიშირება“.[136]	სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზი 
	აეკრძალოს როგორც ფარულ, ასევე ღია ლგბტ-ს წარმომადგენელს დაიკაოს სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე ყველა სასწავლო დაწესებულებებში (ბაგა-ბაღები, სკოლები, ტექნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა) და ნებისმიერ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში, ნებისმიერი სახელმძღვანელო თანამდებობა.[137]	„საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი“ და „მრავალეროვნულ #საქართველოს ანტიფაშისტური კოალიცია“
სამოქალაქო კოდექსი	აეკრძალოს როგორც ფარულ, ასევე ღია ლგბტ-ს წარმომადგენელს დაიკაოს სახელმწიფო სტრუქტურებში, ასევე ყველა სასწავლო დაწესებულებებში (ბაგა-ბაღები, სკოლები, ტექნიკუმები, უმაღლესი სასწავლებლები და სხვა) და ნებისმიერ კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებებში, ნებისმიერი სახელმძღვანელო თანამდებობა.[138]	„საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი“ და „მრავალეროვნულ საქართველოს ანტიფაშისტური კოალიცია“
საქართველოს შრომის კოდექსი	ტერმინების „სექსუალური ორიენტაცია“ და „გენდერული იდენტობა“ ამოღება.	ზვიად ტომარაძე / ქართული ოცნების დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი / ემზარ კვიციანი

135 იქვე. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანება „უფლის სახელით-უფალია ჩვენი სიმართლე“-ს საკანონმდებლო ინიციატივა, 8 მაისი, 2014 https://parliament.ge/legislation/12923 სრულიად საქართველოს გვარის წინამძღოლთა დარბაზის საკანონდებლო ინიციატივა, 3 ივლისი, 2014, https://parliament.ge/legislation/12910

136 იქვე

137 „საქართველოს სლავ ხალხთა ეროვნული კონგრესი“ და „მრავალეროვნულ საქართველოს ანტიფაშისტური კოალიციის“ (ა. ზახაროვა, რ. გოგიძე) საკანონმდებლო ინიციატივა, 17 ივნისი, 2019, https://parliament.ge/legislation/18434

138 იქვე.

მოქმედი კანონი	კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები	ინიციატორი
საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი	„რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის“ დასჯადად გამოცხადება: „რელიგიური სიწმინდეების, რელიგიური ორგანიზაციის, ღვთისმსახურის და მორწმუნის მიმართ სიძულვილის საჯაროდ გამოხატვა ან/და ისეთი მასალის გამოქვეყნება ან ჩვენება, რაც მიზნად ისახავს მორწმუნეთა გრძნობების შეურაცხყოფას – გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით“.[139] განმეორებით ქმედებებზე ფინანსური საქნციების გაზრდა	ავტორი: ზვიად ტომარაძე (დემოგრაფიული განვითარების ფონდი) / ქართული ოცნების დეპუტატი სოსო ჯაჭვლიანი
კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ	ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ სათანადო უფლების მქონე სამედიცინო დაწესებულებაში, სერტიფიცირებული ექიმის მიერ, თუ ორსულობის გაგრძელება საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს (მათ შორის 12 კვირამდე ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში); იმ სამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალი, რომელიც ორსულობის გაგრძელების შემთხვევაში საფრთხეს უქმნის ორსული ქალის სიცოცხლეს, დგინდება მინისტრის ბრძანებით[140].	ალექსანდრე ერქვანია, IX მოწვევის დამოუკიდებელი დეპუტატი, 2019 წლამდე ქართული ოცნების ფრაქციის წევრი

4.2. კანონმდებლობის რევიზიის ადვოკატირება საჯარო დისკურსში

დაკვირვების პერიოდში მონიტორინგის სუბიექტ პლატფორმებზე კანონმდებლობის გადახედვის მოთხოვნები 4 ძირითად თემატიკას უკავშირდებოდა:

1. ლგბტქი ჯგუფების უფლებების შეზღუდვას;
2. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის რევიზიას და დემოკრატიული ინსტიტუტების, კერძოდ, არასამთავრობო სექტორის შეზღუდვას;
3. ქალთა უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის რევიზიას;
4. ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის რევიზიას.

როგორც დიაგრამა 17-ზე ჩანს, ამ მიმართულებით ლგბტქი ჯგუფებთან დაკავშირებული საკითხები დომინირებდა, რაც როგორც „გეი პროპაგანდის“ აკრძალვას, თემის წარმომადგენელთა გამოხატვის თავისუფლების, შეკრებებისა და მანიფესტაციების უფლებების შეზღუდვას, ასევე ანტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობაში მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული წესების რევიზიას მოიცავს. ამავე დროს, მონიტორინგის პერიოდში აქტუალური განსჯის საგანი იყო მაუწყებლობის შესახებ კანონში ინიცირებული ცვლილებები, რაც სიძულვილის ენის მედიის თვითრე-

[139] საქართველოს პარლამენტის წევრი იოსებ ჯაჭვლიანის საკანონმდებლო ინიციატივა, 2 დეკემბერი, 2015 https://parliament.ge/legislation/11089

[140] საქართველოს პარლამენტის წევრი ალექსანდრე ერქვანიას საკანონდებლო ინიციატივა, 22 სექტემბერი, 2020 https://parliament.ge/legislation/20944

გულირებიდან რეგულირებაში გადატანას გულისხმობს. აღნიშნული ინიციატივა, როგორც წინა თავში აღინიშნა, ინტერპრეტირებული იყო, როგორც ქრისტიანების გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა, რომელიც რელიგიური პერსპექტივიდან ცოდვის მხილებას დასჯადად ხდიდა.

ალტერინფო: **„რელიგიური და სექსუალური ორიენტაციის ჯგუფების მიმართ ზიზღის, წაქეზებისა და სიძულვილის ენის შემცველი პროგრამებისა და რეკლამების აკრძალვის შესახებ ნაწილში გაუგებარია, როგორ უნდა მოხდეს ერთი ჯგუფის ინტერესების დაცვა ისე, რომ მეორე ჯგუფის უფლებები არ შეილახოს. თუ უფრო საფუძვლიანად ჩავშლით აღნიშნულ ფრაგმენტს, გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ მსოფლიოში არსებული ყველა ტრადიციული რელიგიური კონფენსია სოდომური ცოდვის პროპაგანდასა და ნორმალიზებას დაუშვებლად მიიჩნევს. თავის მხრივ, სოდომური მარშები, როგორც წესი ტრადიციული საზოგადოების მიმართ ღიად პროვოკაციულ, აგრესიულ, შეუწყნარებელ და შეურაცხმყოფელ ხასიათს ატარებს. შესაბამისად, ბუნდოვანია თუ როგორ წარმოუდგენიათ საკანონმდებლო ცვლილების ავტორებს ამ შემთხვევაში აკრძალვის რეგულირება და სათანადო ბალანსის დაცვა“.**[141]

სპირიდონ ცქიფურიშვილი: **„ჩვენს პარლამენტს სთხოვენ, მიიღონ კანონი... თუ მე ან რომელიმე თვენგანმა ვთქვით, რომ ტრანსგენდერობა გარყვნილებაა, ჰომოსექსუალიზმი, მამათმავლობა გარყვნილებაა, სიძვა, მრუშობა, გარყვნილებაა და ბოზობა გარყვნილებაა, მე დამაკავებენ როგორც კანონდამრღვევს. ასეთ კანონს ღებულობენ. ჩვენ გვყავს დეპუტატი, რომელსაც შვილი მამაკაცი რომ გაუთხოვდეს, თუ ვეტყვით მას, ეს რას შვება, იღუპება, გარყვნილებაა, მისივე მიღებული კანონით დაგვაპატიმრებს ჩვენ“.**[142]

ამასთანავე, აღნიშნული ცვლილებები ევროკავშირის მიერ თავსმოხვეულად იყო წარმოჩენილი.

კონსერვატიული მოძრაობა ზუგდიდი: **„ევროკავშირი საქართველოს აიძულებს LGBT-გარყვნილი იდეოლოგიის კრიტიკა აიკრძალოს! ევროპა ითხოვს გეი-ფაშიზმს... ოცნება ასრულებს![143]“**

ქალთა უფლებებთან დაკავშირებით აბორტების კრიმინალიზების მოთხოვნის გარდა, ოჯახური ძალადობისა და ფემიციდის კანონმდებლობის რევიზიის საკითხები ფიგურირებდა. კაცების პასუხისმგებლობაში მიცემის საკანონმდებლო ნორმები კი სტამბოლის კონვენციით და ევროკავშირში ინტეგრაციის 12 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებად იყო წარმოჩენილი და გენოფონდის განადგურების პოლიტიკასთან იყო გათანაბრებული.

141 ალტ-ინფო, ალტერინფო, 14 სექტემბერი, 2022. https://www.facebook.com/watch/?v=3349810205345379

142 დაკანონი სპირიდონ ცქიფურიშვილი, 26 სექტემბერი. https://www.facebook.com/100064833605025/posts/458822589622191

143 Konservatiuli modzraoba zugdidi, 22 სექტემბერი, 2022. https://www.facebook.com/watch/?v=609327440933344

ნიკოლოზ მჟავანაძე, წამყვანი: „...ეს არის ერის გენოფონდის გამანადგურებელი პოლიტიკა. სტამბოლის კონვენციას რომ მოვაწერეთ ხელი, იქ არის, იმ 12-პუნქტიან გეგემას რომ გვთავაზობენ, შეასრულეთო, იქ არის ამ ფემიციდთან დაკავშირებული საკითხები, იქაც ითხოვენ, ანუ კიდე მეტი კაცი დაიჭირეთ ციხეშიო“.[144]

დიაგრამა 17. კანონმდებლობის რევიზიასთან დაკავშირებული საკითხები



144 სეზონი, დღის შეჯამება ნიკოლოზ მჟავანაძესთან ერთად, 11 ნოემბერი, 2022 https://www.myvideo.ge/v/4148485

V. FIMI და გენდერული დეზინფორმაცია

წინამდებარე თავში განხილულია ფაქტების გადამოწმების პლატფორმის „მითების დეტექტორის“ მიერ 1 აგვისტოდან 31 დეკემბრის ჩათვლით გამოვლენილი დეზინფორმაციისა და მანიპულაციური შინაარსის მაგალითები, რომლებიც გენდერული და ლგბტქი იდენტობის თემას, ასევე ანტილიბერალურ დისკურსს შეეხება. გამოვლენილი მაგალითები ორ კატეგორიად არის დაჯგუფებული:

- პირველი უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირებისა და ჩარევის (FIMI) შემთხვევას განიხილავს და ანტილიბერალურ დისკურსს და გეოპოლიტიკურ კონტექსტს შეეხება;
- მეორე გენდერული დეზინფორმაციის შემთხვევებს მიმოიხილავს, რომლებიც ქალების, ლგბტქი თემის წევრისა და პოლიტიკოსების წინააღმდეგ ჰომოფობიურ კონტექსტში მიზანმიმართულად გავრცელდა. გენდერული დეზინფორმაციის ყველა შემთხვევა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობაში ჩართულ პირებს და მათ პროფესიულ საქმიანობას უკავშირდება.

5.1. უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირება და ჩარევა – FIMI

ევროკავშირის საგარეო ქმედებათა სამსახური (EEAS)[145] უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირების და ჩარევის (FIMI) შემდეგ დეფინიციას გვთავაზობს:

„უცხოეთის მხრიდან ინფორმაციით მანიპულირება და ჩარევა (FIMI) ძირითადად აღწერს ქცევის მოდელს, რომელიც საფრთხეს უქმნის ან აქვს პოტენციალი ნეგატიური ზემოქმედება მოახდინოს ღირებულებებზე, პროცედურებსა და პოლიტიკურ პროცესებზე. ასეთი აქტივობა მანიპულაციურ ხასიათს ატარებს, მიზამნმიმართულად და კოორდინირებულად ხორციელდება სახელმწიფო თუ არასახელმწიფო აქტორების, მათ შორის მათთან დაკავშირებული აქტორების მხრიდან როგორც საკუთარ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ“.

[145] European External Action Service's (EEAS) Stratcom division, February 2023.
1st EEAS Report on Foreign Information Manipulation and Interference Threats
https://www.eeas.europa.eu/eeas/1st-eeas-report-foreign-information-manipulation-and-interference-threats_en

მონიტორინგის პერიოდში ანტილიბერალურ დისკურსთან დაკავშირებული ერთი შემთხვევა გამოვლინდა, რომელიც უკრაინის ომთან მიმართებით როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში, ბელორუსსა და სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში კოორდინირებულად და სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით გავრცელდა[146]. მისი მიზანი ომის თემიდან **ყურადღების** ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე **გადატანა** იყო, როგორიც ადამიანის იდენტობაა. **ყურადღების გადატანის** გარდა (რუსეთის პასუხისმგებლობიდან ამერიკის პასუხისმგებლობაზე), გამოყენებული იყო **გამრუდების**[147] მეთოდიც იმ მიზნით, რომ რუსეთის უკრაინაში ინტერვენციის ფაქტზე ნარატივი ამერიკასა და რუსეთს შორის რელიგიური ომის ნარატივით შეიცვალოს.

აღნიშნული ინციდენტი ინფორმაციული ქაოსის სხვადასხვა ელემენტს (მანიპულაცია, დეზინფორმაცია) და ფაზას (შექმნა-ინტერპრეტაცია, გავრცელება, ადგილობრივ კონტექსტში ლოკალიზება) მოიცავს:

1. **საწყისი განცხადება:** ამერიკელმა კონგრესმენმა **ჯეიმი რასკინმა** გააკეთა განცხადება[148], რომელშიც ფუნდამენტური უფლებების ხელყოფის გამო (ანტიფემინისტური, ანტიგეი, ანტიტრანს), რუსეთს „სიძულვილის მსოფლიო ცენტრი“ უწოდა და უკრაინის მხარდაჭერის აუცილებლობაზე ისაუბრა;
2. **მანიპულაციური ინტერპრეტაცია:** Fox News-ის წამყვანმა **ტაკერ კარლსონმა** კონგრესმენის სიტყვების მანიპულაციური ინტერპრეტაცია მოახდინა და ჯეიმი რასკინს მიაწერა სიტყვები, თითქოს ის რუსეთის ნებისმიერ ფასად განადგურებას მისი მართლმადიდებლობის გამო ითხოვდა: „რუსეთი მართლმადიდებელი ქვეყანაა, ტრადიციული ღირებულებებით და ამის გამო ის უნდა განადგურდეს“.
3. **კოორდინირებული გავრცელება:** რუსეთის პროპაგანდისტულმა (Russia Today, Царьград, Московский комсомолец, Взгляд, Eurasia Daily, Правда.Ру, Военное Обозрение და სხვ.), ბელორუსულმა (Телеканал ОНТ) და ქართულენოვანმა კრემლისტურმა და ანტილიბერალურმა მედიებმა (ალტ-ინფო, საქართველო და მსოფლიო, სეზონი ტვ, საქართველო უპირველეს ყოვლისა) ამერიკელი კონგრესმენის განცხადება არა პირველწყაროზე, არამედ ტაკერ კარლსონზე დაყრდნობით დეზინფორმაციულ კონტექსტში გაავრცელეს. ყველა სათაურში რუსეთ-უკრაინის ომი „რელიგიურ ომად“ და გლობალურ დაპირისპირებად იყო წარმოჩენილი, ხოლო მართლმადიდებელი რუსეთის განადგურებაზე პასუხისმგებლობა ამერიკის მხარეს იყო გადატანილი: „ამერიკელმა კონგრესმენმა, მართლმადიდებლობის გამო, რუსეთის ფედერაციის ნებისმიერ ფასად განადგურებისკენ მოუწოდა“ (Geworld.ge); „რუსეთი მართლმადიდებელი

146 მითების დეტექტორი, 1 ნოემბერი, 2022 „განაცხადა თუ არა ამერიკელმა კონგრესმენმა, რომ რუსეთი მართლმადიდებლობის გამო უნდა განადგურდეს?“ https://mythdetector.ge/ka/ganatskhada-thu-ara-amerikelma-kongresmenma-rom-rusethi-marthlmadideblobis-gamo-unda-ganadgurdes/

147 The 5D's (dismiss, distort, distract, dismay, divide), Ben Nimmo, Disinformation Inventory https://inventory.adt.ac/wiki/The_5D%27s_(dismiss,_distort,_distract,_dismay,_divide)

148 Raskin Restates the Fundamental Importance of the Ukrainian Struggle For National Sovereignty Democracy and Freedom, 25 October, 2022 https://raskin.house.gov/press-releases?ID=C6AAEAAD-548C-444A-85AB-A77AB7FFAAE6

ქვეყანაა, ამიტომ ჩვენ ის უნდა გავანადგუროთ“ (საქართველო უპირველეს ყოვლისა); “Конгрессмен США призвал уничтожить Россию из-за православия” (ამერიკელმა კონგრესმენმა მართლმადიდებლობის გამო რუსეთის განადგურებისკენ მოუწოდა, Московский комсомолец), “Ведущий Fox News Карлсон: «религиозная война» Байдена на Украине вредит экономике США” (Fox News-ის წამყვანი კარლსონი: „ბაიდენის „რელიგიური ომი“ უკრაინაში ამერიკის ეკონომიკას აზარალებს“ Russia Today), “Глобальный бой Запада и Востока: чьи ценности и смыслы победят?” (დასავლეთის და აღმოსავლეთის გლობალური ომი: ვისი ღირებულებები და აზრები გაიმარჯვებს? ОНТ). იდენტური შინაარსით ტაკერ კარლსონის ვიდეო სოციალურ პლატფორმებზეც ფართოდ გავრცელდა, მათ შორის ქართულ და რუსულ ენებზე გახმოვანებული და თარგმნილი სუბტრირებიანი ვერსიებიც. გავრცელების არხებს შორის იყო რუსულენოვანი youtube ანგარიში Такер Карлсон на русском (ტაკერ კარლსონი რუსულად),[149] რომელიც ამერიკელი კონსერვატორი წამყვანის გადაცემებს რუსულ ენაზე ახმოვანებს, ასევე ტელეგრამის, ვკონტაქტეს ანგარიშები და ინდივიდუალური ფეისბუქ პროფილები. „მითების დე-ტექტორმა“ ფეისბუქის ფაქტების გადამოწმების პროგრამის ფარგლებში ამ შინაარსის 212 რუსულენოვანი და 62 ქართულენოვანი დეზინფორმაციის შემთხვევა გამოავლინა.

4. **ლოკალიზება ადგილობრივ კონტექსტში:** ტაკერ კარლსონის ვერსია, თითქოს ომი უკრაინაში რუსეთის, როგორც მართლმადიდებელი ქვეყნის წინააღმდეგაა მიმართული, საქართველოში სახელისუფლებო აქტორებმა ადგილობრივ კონტექსტში მანიპულაციურად გაავრცელეს. ხელისუფლების ერთ-ერთი მხარდამჭერის მიმართვა საქართველოში ამერიკის ელჩის მიმართ „საქართველო ხომ მართლმადიდებელი ქვეყანაა, ტრადიციული ღირებულებების მქადაგებელი. რას უნდა ველოდოთ?[150]“ სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკის მედიებმა (**იმედი**, POSTV, **PIA.GE, „კვირა“**, **“info 9”**, **Lider.ge** და სხვები) ისე გააშუქეს, რომ რასკინის სიტყვების ავთენტურობა არც გადაუმოწმებიათ. როგორც ქვემოთ მოცემულ ინფოგრაფიკაზე ჩანს, იდენტურ ანტიამერიკულ კონტექსტში ტაკერ კარლსონის ეს ჩანაწერი სომხეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთის სოციალური ქსელების მომხმარებლებმაც გაავრცელეს, სადაც კომენტარებში ისინიც რიტორიკულ კითხვას სვამდნენ, თუ რას უპირებდნენ იანკები მათ, როგორც ტრადიციული ერების წარმომადგენლებს, ხომ არ ელოდათ ისეთივე, როგორც თავის დროზე აბორიგენებს.

---

149 Такер Карлсон на русском
https://www.youtube.com/@karlsontv/about

150 მითების დეტექტორი, 2 ნოემბერი, 2022. „სახელისუფლებო მედიაში ამერიკელი კონგრესმენის სახელით ყალბი განცხადება ვრცელდება“
https://mythdetector.ge/ka/sakhelisuphlebo-mediashi-amerikeli-kongresmenis-sakhelith-qhalbi-gantskhadeba-vrtseldeba/

ინფოგრაფიკა 1. ინფორმაციული ქაოსის ფაზები
და ყალბი ინფორმაციის გავრცელების მედია ეკოსისტემა



აღსანიშნავია ისიც, რომ ყალბი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ანტილიბერალურ დისკურსს აძლიერებს, ყოველთვის პირდაპირ რუსეთიდან არ მომდინარეობს და ხშირად მავნე აქტორები დეზინფორმაციული ნარატივების ცირკულირებას დასავლურ კონსერვატიულ წყაროებზე დაყრდნობით ახდენენ. იმ პირობებში, როცა კრემლის ოფიციალურ თუ მასთან აფილირებულ მედიას ლეგიტიმაციის პრობლემა აქვს, ტაკერ კარლსონის ჩანაწერების პირველწყაროდ გამოყენება გზავნილის კრემლის დეზინფორმაციად აღქმას ართულებს. თუმცა, მედია ეკოსისტემის და კოორდინირებული გავრცელების ანალიზი, ამ კავშირების უკეთ დანახვის შესაძლებლობას იძლევა.

Fox News-ის წამყვანის ვიდეოების სხვადასხვა ენაზე თარგმნა და ცირკულირება არა მხოლოდ ფეისბუქის, არამედ სხვა სოციალური ქსელებითაც ხდება. მაგალითად, „ტაკერ კარლსონი რუსულად“ ხელმისაწვდომია არა მხოლოდ youtube არხზე[151], რომელსაც მილიონამდე გამომწერი ჰყავს, არამედ ტელეგრამზე, vkontakte-ში, sponsr.ru-ზე და სხვა რუსულ სოცპლატფორმებზე. ამასთანავე, პროპაგანდისტული მედია საშუალებები ტაკერ კარლსონს, როგორც ინფორმაციის წყაროს, მათი პოლიტიკური დღის წესრიგის გასატარებლად იყენებენ.

151 Такер Карлсон на русском
https://www.youtube.com/@karlsontv/about

უკრაინის ომის კონტექსტში ლგბტქ იდენტობასთან დაკავშირებულ თემაზე დეზინფორმაცია და გაყალბებული ვიდეო კოორდინირებულად ადრეც ვრცელდებოდა[152] და მისი მიზანი იყო შეექმნა კონტექსტი, რომ უკრაინა ტერიტორიებს ცოდვების გამო კარგავს, ხოლო საქართველომ არ უნდა დაუჭიროს მხარი ჯარს, სადაც ჰომოსექსუალები არიან.

5.2 გენდერული დეზინფორმაცია

გენდერული დეზინფორმაციის ცნება ახალია და ამ ეტაპზე მისი სხვადასხვა დეფინიცია არსებობს, რომელიც სიყალბის და ზიანის მიყენების ბოროტი განზარახვის გარდა, კოორდინაციის და გენდერთან დაკავშირებული ონლაინ შეურაცხყოფის ელემენტსაც მოიცავს, მათ შორის დისკრედიტაციის კამპანიებს, რომელთაც გარკვეულ შემთხვევაში ფაქტობრივი საფუძველიც შეიძლება ჰქონდეს, თუმცა დამაზიანებელი იყოს.

აღნიშნული კვლევა EU Disinfo Lab-ის დეფინიციას ეყრდნობა, რომელიც გენდერულ დეზინფორმაციას შემდეგნაირად განმარტავს:

„გენდერული დეზინფორმაცია გენდერისა და დეზინფორმაციის ინტერსექციაზე აკეთებს აქცენტს, როდესაც ქალები, არაბინარული ადამიანები და საზოგადოების ისეთი მარგინალიზებული წევრები, როგიცაა LGBTQIA+ თემი, არაპროპორციულად ხდებიან ყალბი და არაზუსტი ინფორმაციის სამიზნე. გენდერისა და დეზინფორმაციის შერწყმის ტექნიკები მრავალგვარია; მაგალითად, ისეთი მიზოგენური კომენტარების გავრცელება, რაც გენდერულ სტერეოტიპებს ამძაფრებს; გრაფიკული კონტენტის სექსუალიზება, ონლაინ შევიწროება, მათ შორის ძალადობრივი მუქარების გავრცელება, კიბერთავდასხმები და ა.შ.[153]“

ამ ქვეთავში განხილული ყალბი ინფორმაციის მიზანმიმართული გავრცელების შემთხვევები როგორც ქალების, ასევე ლგბტქი თემის წევრის წინააღმდეგ იყო მიმართული, ასევე პოლიტიკოსების დისკრედიტაციის მიზნით გამოიყენებოდა.

[152] მითების დეტექტორი, 2 თებერვალი, 2022. „რა აკავშირებთ „ალტ-ინფოს“, ლუგანსკელ АНДРЕЙ ВИТАЛЬЕВИЧ МАРОЧКО-ს და ქართველ კონსერვატორებს გაყალბებულ ფილმთან?“ https://mythdetector.ge/ka/ra-akavshirebth-alt-inphos-luganskel-andrej-vitalevich-marochko-s-da-qarthvel-konservatorebs-gaqhalbebul-philmthan/

[153] EU DisinfoLab & #ShePersisted, 12 `October, 2022. Gender-Based Disinformation 101: Theory, Examples, and Need for Regulation https://www.disinfo.eu/wp-content/uploads/2022/10/20221012_TechnicalDocumentGBD-2.pdf

ქალები. 1 აგვისტოდან 31 დეკემბრამდე პერიოდში ფაქტების გადამოწმების პორტალ „მითების დეტექტორის“ მიერ გამოვლენილი დეზინფორმაციის სამი შემთხვევა ქალების მორალური კრიტერიუმებით გაკიცხვას ისახავდა მიზნად. ორ შემთხვევაში სამიზნე უკრაინის პირველი ლედი ოლენა ზელენსკა იყო, დისკრედიტაციის მიზნით კი ინფორმაცია მეტწილად სოციალური მედიით ვრცელდებოდა:

- პირველ შემთხვევაში პროგრამულად დამუშავებულ ფოტოზე, რომლის ავთენტურ ვერსიაში ამერიკელი ბიზნესმენი რიჩარდ ჰართია გამოსახული, ოლენა ზელენსკა ძვირადღირებულ სამოსსა და აქსესუარებში ჩანდა. აღნიშნული ვიზუალი, გზავნილით – უკრაინის ხელისუფლების ოჯახის წევრები დონორების ხარჯზე მდიდრდებიან – სოციალურ ქსელებში, მათ შორის დასავლეთის ქვეყნებში, უკრაინის პირველ ლედიზე მორალური კრიტერიუმებით თავდასხმისა და უკრაინის მიმართ დასავლური მხარდაჭერის წინააღმდეგ მიზანმიმართულად გავრცელდა[154].
- დეზინფორმაციის მეორე შემთხვევა სლატშეიმინგის მაგალითია. ქართულ და რუსულ სოციალურ ქსელებში არასწორი აღწერით გარცელდა 18+-ით ნიშნით დაფარული ოლენა ზელენსკას ფოტო კომენტარით, რომ რუსი ჰაკერების ჯგუფმა RaHDit-მა უკრაინის პირველი ლედის პირადი ცხოვრების ამსახველი შიშველი ფოტოები მოიპოვა. რეალურად ავთენტურ ფოტოზე უკრაინის პირველი ლედი საცურაო კოსტიუმშია გამოწყობილი[155].



სლატშეიმინგის სამიზნე გახდა ტვ პირველის ჟურნალისტი ინგა გრიგოლიაც, რომლის წინააღმდეგაც ხელისუფლების მხარდამჭერმა ანონიმურმა ფეისბუქ გვერდებმა დამონტაჟებული ვიდეო

154 მითების დეტექტორი, 9 იანვარი, 2023. „ოლენა ზელენსკა თუ მილიონერი რიჩარდ ჰართი – ვინაა გამოსახული გაყალბებულ ფოტოზე?“
https://mythdetector.ge/ka/olena-zelenska-thu-milioneri-richard-harthi-vinaa-gamosakhuli-gaqhalbebul-photoze/

155 მითების დეტექტორი, 12 დეკემბერი, 2022. „დეზინფორმაცია, თითქოს ჰაკერებმა ოლენა ზელენსკას პირადი ცხოვრების ამსახველი ფოტო გაავრცელეს“
https://mythdetector.ge/ka/dezinphormatsia-thithqos-hakerebma-olena-zelenskas-piradi-tskhovrebis-amsakhveli-photo-gaavrtseles/

ისე გაავრცელეს[156], რომ უკრაინის რადას დეპუტატის, სააკაშვილის პარტნიორის ლიზა იასკოს სიტყვები, რომელსაც ჟურნალისტი კადრში კითხულობდა, ამ უკანასკნელს მიაწერეს. მონტაჟის შედეგად რჩება შთაბეჭდილება, რომ „ჩემი ძვირფასი მამაკაცი“ ექსპრეზიდენტს ჟურნალისტმა უწოდა, რაც თანმხლებ აუდიო-ვიდეო მონტაჟთან ერთად, სადაც სასამართლო პროცესზე მყოფი პრეზიდენტი სააკაშვილის კადრები კაცის ხმითაა გადაფარული („ქალი მინდა, გაიგეთ“), სლატშეიმინგის სახეს ატარებს.

გენდერული დეზინფორმაციის სამიზნე უფლებადამცველებიც იყვნენ. ფემინისტი აქტივისტის ბაია პატარაიას სახელით გაყალბებული ციტატები ქალთა უფლებების საკითხის გაშარჟების მიზნით ადრეც ვრცელდებოდა. მონიტორინგის პერიოდში გავრცელებულ ყალბ ციტატას, თითქოს პატარაია მეტროსადგურ ნაძალადევისთვის სახელის გადარქმევას და ნებაყოფლობითის დარქმევას ითხოვს, სოციალურ ქსელში აგრესიული კომენტარები მოჰყვა[157].

ლგბტქი. მონიტორინგის პერიოდში გამოვლენილი ერთი შემთხვევა თბილისის მერის კახა კალაძის მიერ ბალენსიაგას შემოქმედებითი ხელმძღვანელის დემნა გვასალიასთვის თბილისის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭებას უკავშირდებოდა, რასაც გვასალიას სექსუალური იდენ-

[156] მითების დეტექტორი, 8 თებერვალი, 2023. „ლიზა იასკო თუ ინგა გრიგოლია – ვინ უწოდა მიხეილ სააკაშვილს „ძვირფასი მამაკაცი?“
https://mythdetector.ge/ka/liza-iasko-thu-inga-grigolia-vin-utsoda-mikheil-saakashvils-dzvirphasi-mamakatsi/

[157] მითების დეტექტორი, 23 აგვისტო. „ითხოვს თუ არა პატარაია მეტროსადგურ ნაძალადევისთვის სახელის გადარქმევას?“
https://mythdetector.ge/ka/ithkhovs-thu-ara-pataraia-metrosadgur-nadzaladevisthvis-sakhelis-gadarqmevas/

ტობის გამო ჰომოფობიური შეფასებები მოჰყვა, სოციალურ ქსელში კი პროგრამულად დამუშავებული ვიზუალი გავრცელდა, სადაც დიზაინერი ჟურნალ Elle-ს გარეკანზე ფეხმძიმედ იყო გამოსახული[158].

ჰომოფობიური ხასიათის დეზინფორმაციის სამიზნე ყოველთვის თემის წარმომადგენლები არ არიან და ზოგჯერ ლგბტქი იდენტობა პოლიტიკოსების წინააღმდეგ დისკრედიტაციის მიზნით გამოიყენება.

მას შემდეგ, რაც რუსეთისთვის ომის გამო დაწესებული სანქციების ფარგლებში ესტონეთმა მიიღო გადაწყვეტილება, რუსი ტურისტებისთვის ვიზების გაცემა შეეჩერებინა, როგორც ქართულენოვან, ასევე რუსულენოვან ფეისბუქ ანგარიშებზე აქტიურად ვრცელდებოდა ძველი ფოტომანიპულაცია, რომელიც ამტკიცებდა, რომ ფოტოზე ესტონეთის ყოფილი პრეზიდენტი კერსტი კალიულაიდი და კაბაში ჩაცმული მისი ვაჟი იყვნენ გამოსახული[159]. გავრცელებული ფოტოკოლაჟის ნაწილში ბელორუსის პრეზიდენტი ლუკაშენკო და მისი ვაჟიც იყვნენ გამოსახული, რაც ქმნიდა დიქოტომიას, რომ ევროპული ღირებულებების ალტერნატივა ტრადიციული ოჯახია, რომელსაც ბელორუსის პრეზიდენტის და მისი ოჯახის წევრის ვიზუალი განასახიერებდა.

158 მითების დეტექტორი, 31 ოქტომბერი, 2022. „დემნა გვასალიას დისკრედიტაციის მიზნით ჟურნალ ELLE-ს გაყალბებული გარეკანი ვრცელდება“
https://mythdetector.ge/ka/demna-gvasalias-diskreditatsiis-miznith-zhurnal-elle-s-gaqhalbebuli-garekani-vrtseldeba/

159 მითების დეტექტორი, 12 აგვისტო, 2022. „ვინ არის ადამიანი, რომელსაც „დაზვერვის შეფად“ და ესტონეთის პრეზიდენტის შვილად ასაღებენ?“
https://mythdetector.ge/ka/vin-aris-adamiani-romelsats-dazvervis-shephad-da-estonethis-prezidentis-shvilad-asagheben/

ჰომოფობიური კონოტაციის მეორე დეზინფორმაცია ოპოზიციური რესპუბლიკური პარტიისა და „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის გიორგი ვაშაძის წინააღმდეგ იყო მიმართული, რა დროსაც პროგრამულად დამუშავებულ ფოტოზე კაბაში გამოწყობილ კაცს პოსტერი ეჭირა, რომელზეც წარწერას „ჩვენ ხმას ვაძლევთ ვაშაძეს“ რესპუბლიკური პარტიის ლოგო ერთვოდა[160]. ფოტომანიპულაციის გავრცელების მიზანი იყო ეჩვენებინა, რომ „სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერის ამომრჩევლები ჰომოსექსუალი რესპუბლიკელები არიან.

158 მითების დეტექტორი, 31 ოქტომბერი, 2022. „დემნა გვასალიას დისკრედიტაციის მიზნით ჟურნალ ELLE-ს გაყალბებული გარეკანი ვრცელდება“
https://mythdetector.ge/ka/demna-gvasalias-diskreditatsiis-miznith-zhurnal-elle-s-gaqhalbebuli-garekani-vrtseldeba/

159 მითების დეტექტორი, 12 აგვისტო, 2022. „ვინ არის ადამიანი, რომელსაც „დაზვერვის შეფად“ და ესტონეთის პრეზიდენტის შვილად ასაღებენ?“
https://mythdetector.ge/ka/vin-aris-adamiani-romelsats-dazvervis-shephad-da-estonethis-prezidentis-shvilad-asagheben/

160 მითების დეტექტორი, 14 ნოემბერი, 2022. „სოციალურ ქსელში ვაშაძის მხარდამჭერი ყალბი ვიზუალი ვრცელდება“
https://mythdetector.ge/ka/sotsialur-qselshi-vashadzis-mkhardamtcheri-qhalbi-vizuali-vrtseldeba/

VI. მთავარი აქტორები

კრემლისტური და კონსერვატიული აქტორები. პოლიტიკური პარტიებიდან ყველაზე ხშირად როგორც ჰომოფობიურ, ასევე ანტიგენდერულ კონტექსტში კრემლისტური პარტია **ალტ-ინფო / კონსერვატიული მოძრაობა**, მასთან დაკავშირებული ტელეარხი **„ალტ-ინფო“** და სხვადასხვა ფეისბუქ ანგარიშები აქტიურობდნენ[161].

პარტია და მისი საკომუნიკაციო პლატფორმები რუსეთთან პირდაპირ დიალოგს ღიად ადვოკატირებენ. მათ მჭიდრო კავშირები აქვთ ევრაზიონისტული მოძრაობის დამფუძნებელ, ულტრამემარჯვენე რუს ფილოსოფოსს **ალექსანდრ დუგინთან.** ალტ-ინფო კონსერვატიული მოძრაობა ექსტერმისტული ქმედებების წახალისებასა და ორგანიზებაშიც იყო ჩართული, როცა 2021 წლის 5 ივლისს „თბილისი პრაიდის“ კვირეულის ფარგლებში 53 ჟურნალისტი სასტიკად სცემეს, ხოლო აქტივისტების ოფისი დაარბიეს[162].

ალტ-ინფო კონსერვატიული მოძრაობის ლიდერები მოსკოვში

ალტ-ინფოს წამყვანები 5 ივლისის ძალადობრივ აქციაზე. წყარო: პუბლიკა

161 მედიის განვითარების ფონდი, 2022. „ძალადობრივი ჯგუფების ანატომია – 1 წელი 5 ივლისის მოვლენებიდან“ https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/229

162 პუბლიკა, 13 თებერვალი, 2022. „5 ივლისის“ ორგანიზება“ https://publika.ge/video/5-ivlisis-organizeba/

რადიკალურ-ექსტერმისტული დაჯგუფების კიდევ ერთი ლიდერია მოძრაობა „ერთობა, რაობა, იმედის“ დამფუძნებელი **ლევან ვასაძე**, რომელსაც კრემლთან, რუსეთის ეკლესიასთან და ალექსანდრე დუგინთან მჭიდრო კავშირები აქვს[163]. ვასაძე საერთაშორისო კონსერვატიულ მოძრაობებთან აფილირებული პირიც არის. ის საქართველოში **ქრისტიანულ-ევანგელისტური ორგანიზაცია მსოფლიო საოჯახო კონგრესის (WCF)** წარმომადგენელია, რომელიც „ბუნებრივი ოჯახის“ დაცვის სახელით, ლგბტქი უფლებების გავრცელების წინააღმდეგ იბრძვის. თავის მხრივ, ოჯახების კონგრესს კავშირები აქვს ამერიკის მიერ სანქცირებულ რუს ოლიგარქ **კონსტანტინ მალოფეევთან**[164], ასევე **ალექსეი კომოვთან**, რომელიც რუსეთსა და დსთ-ში WCF-ის ოფიციალური წარმომადგენელია.

ფოტოზე 2020 წლის 22 იანვარს ლევან ვასაძე მოსკოვში გამართულ საერთაშორისო საშობაო საგანმანათლებლო XXVIII კითხვაში მონაწილეობს

ფოტოზე ალექსეი კომოვი (მარცხნივ), ლევან ვასაძე (მარჯვნივ) ოჯახების მსოფლიო კონგრესზე

კიდევ ერთი კრემლისტური აქტორი პარტია პატრიოტთა ალიანსი[165] და მასთან დაკავშირებული მედია საშუალება ტვ „ობიექტივია[166]“.

სეზონი ტვ[167], რომელიც ანტილიბერალური განწყობების გარდა, თურქოფობიას აღვივებს და რუსეთს რეგიონში თურქეთის შემაკავებელ ერთადერთ ძალად განიხილავს, ყოფილი მოკრივის და სტანილისტის გიორგი კანდელაკის მფლობელობაში მყოფი რეგიონული ტელევიზიაა, რომელიც ფეისბუქზეც აქტიურად მაუწყებლობს.

მონიტორინგის პერიოდში ასევე სხვა კრემლისტური და ანტილიბერალური აქტორები და მათთან დაკავშირებული პლატფორმების ანტიგენდერული, ჰომოფობიური და ანტილიბერალური გზავნილები გამოიკვეთა. ესენია:

163 მითების დეტექტორი, ლევან ვასაძის პროფილი. https://mythdetector.ge/ka/profiles/vasadze-levan-2/

164 მითების დეტექტორი, 28 მაისი, 2018. „ოჯახების მსოფლიო კონგრესის რუსული კავშირები“ https://mythdetector.ge/ka/ojakhebis-msophlio-kongresis-rusuli-kavshirebi/

165 მითების დეტექტორი, პატრიოტთა ალიანსის პროფილი https://mythdetector.ge/ka/profiles/patriottha-aliansi/

166 მითების დეტექტორი, ტვ ობიექტივის პროფილი https://mythdetector.ge/ka/profiles/obieqtivi-2/

167 მითების დეტექტორი, სეზონი ტვ-ის პროფილი https://mythdetector.ge/ka/profiles/sezoni-tv/

- ფონდ „რუსულ სამყაროსთან“ დაკავშირებული პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართული იდეა[168]“.
- „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრი“ და „ისტორიულ მემკვიდრეობობა[169]“, რომელიც კრემლისტურ გამოცემა „საქართველო და მსოფლიოს[170]“ ფლობს.
- „საქართველო და მსოფლიოსთან“, ასევე News Front-ის ქართულ ვერსიასთან დაკავშირებული Split News[171], რომელიც სახელისუფლებო სარედაქციო პოლიტიკასაც ატარებს.
- ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება[172], რომლის ხელმძღვანელი გურამ ფალავანდიშვილი ექსტრემიზმის გამო რამდენიმეჯერ დააკავეს და რომელიც 2020 წლის არჩევნებზე „ქართული იდეის“ სახელით იყრიდა კენჭს. მათვე უკავშირდება ფეისბუქ გვერდები zneoba.ge[173] და „აბორტი ბავშვების მკვლელობაა“.
- ახლადშექმნილი კონსერვატიული პლატფორმა „საქართველო უპირველეს ყოვლისა“, რომლის გამომცემლები ხელისუფლებასთან დაკავშირებული პირებიც არიან და რომელიც ამერიკული კონსერვატიული მედიების გარდა, წყაროდ ამერიკის მიერ სანქცირებულ სტრატეგიული კულტურის ფონდს (Фонд стратегической культуры) ეყრდნობა[174].
- ირაკლი ჯანყარაშვილი და მასთან დაკავშირებული ფეისბუქ ანგარიშები[175].

სასულიერო პირები. ანტილიბერალური, კონსერვატიული ჯგუფების ერთ-ერთი იდეოლოგია არქიმანდრიტი რაფაელ კარელინი, რომლის ნაშრომების ქართულ თარგმანს აბორტებზე და ჰომოსექსუალობაზე ყველაზე ხშირად zneoba.ge აქვეყნებდა.



რაფაელ კარელინი ქართული მართმადიდებელი ეკლესიის არქიმანდრიტია, რომელიც 1954 წელს ბერად აღიკვეცა.[176] 1975-95 წლებში იგი პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის სასულიერო სემინარიასა და თეოლოგიურ აკადემიაში ეწეოდა, სადაც სლავურ ენას, ასკეტიზმს, თეოლოგიის საფუძვლებსა და რელიგიების ისტორიას ასწავლიდა. მას არაერთი სტატია[177] და წიგნი აქვს გამოქვეყნებული, რომელთა უმეტესობა ქართულ, ბულგარულ, სერბულ, რუმინულ და სხვა ენებზეა ნათარგმნი.[178]

168 მითების დეტექტორი, ქართული იდეის პროფილი https://mythdetector.ge/ka/profiles/qarthuli-idea/
169 მედიის განვითარების ფონდი, 2019. „რუსული სამყარო საქართველოში“. https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/117
170 მითების დეტექტორი, საქართველო და მსოლფიოს პროფილი. https://mythdetector.ge/ka/profiles/saqarthvelo-da-msophlio/
171 მითების დეტექტორი, 2 ივლისი, 2021. პრორუსული და სახელისუფლებო ექსპერტების „სივრცეები“ დაფინანსებულია ბიუჯეტიდან. https://mythdetector.ge/ka/prorusuli-da-sakhelisuphlebo-eqspertebis-sivrtseebi-daphinansebulia-biujetidan/
172 მითების დეტექტორი, ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების პროფილი. https://mythdetector.ge/ka/profiles/bavshvtha-uphlebebis-datsvis-sazogadoeba/
173 მითების დეტექტორი, zneoba.ge-ის პროფილი. https://mythdetector.ge/ka/profiles/zneoba-ge/
174 მითების დეტექტორი, 19 დეკემბერი, 2022. „რა განცხადებები გააკეთა მერკელმა უკრაინასთან დაკავშირებით DER SPIEGEL-თან და ZEIT-თან ინტერვიუებში?“ https://mythdetector.ge/ka/ra-gantskhadebebi-gaaketha-merkelma-ukrainasthan-dakavshirebith-spiegel-than-da-zeit-than-interviuebshi/
175 მითების დეტექტორი, 10 ივნისი, 2020. რა საერთო აქვთ ИРАКЛИ ИРАКЛИ-ს, ანტილიბერალურ დოქტრინას, NEWS FRONT-სა და TVALSAZRISI.GE-ს ერთმანეთთან? https://mythdetector.ge/ka/ra-saertho-aqvth-irakli-irakli-s-antiliberalur-doqtrinas-news-front-sa-da-tvalsazrisi-ge-s-erthmaneththan/
176 Архимандрит Рафаил, “Биография архимандрита Рафаила,” ბოლო ნახვა 12 თებერვალი, 2023, http://karelin-r.ru/about/219/1.html
177 Pravaslavie.ru, “Архимандрит Рафаил (Карелин),” ბოლო ნახვა 12 თებერვალი, 2023, https://pravoslavie.ru/83461.html
178 Архимандрит Рафаил, “Книги архимандрита Рафаила,” ბოლო ნახვა 12 თებერვალი, 2023, http://karelin-r.ru/books/index.html

კარელინი, რომელსაც საქართველოს საპატრიარქოსგან წმინდა ნინოს ორდენი აქვს მინიჭებული, ღიად აკრტიკებს ლიბერალიზმს და მას ქრისტიანობის წინააღმდეგ შექმნილ სატანურ იდეოლოგიად მიიჩნევს, რომელიც ადამიანების სულიერ და გონებრივ დამონებასა და ზომბირებას ემსახურება.[179] კარელინი ამტკიცებს, რომ „ცივილიზაციის" სახელით ადამიანების მორალური დეგრადაცია და ქრისტიანული ცხოვრების წესისგან დაშორება ხდება, რაც სამყაროს სოდომური ცოდვისკენ მიაქანებს.[180] კარელინი აბორტს მკვლელობად მიიჩნევს და ეწინააღმდეგება სკოლებში სქესობრივი განთლების სწავლებას.[181]

სასულიერო პირებიდან ჰომოფობიურ და ანტიგენდერულ განცხადებებს ყველაზე ხშირად დეკანოზი **სპირიდონ ცქიფურიშვილი** აკეთებდა. ცქიფურიშვილი ვარდიგორის მამათა მონასტრის დეკანოზია, რომელიც ღიად ანტიდასავლური და ჰომოფობიური რიტორიკით გამოირჩევა. ცქიფურიშვილი „ღირსების მარშის" საწინააღმდეგო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული.[182] 2021 წლის 5 ივლისს, იგი სხვა სასულიერო პირებთან ერთად ძალადობრივ აქციაზეც იმყოფებოდა, ასევე აკეთებდა ძალადობრივ მოწოდებებს მარშის მონაწილეების მიმართ.[183]

ცქიფურიშვილმა კრემლისტური პარტია „ალტ-ინფო/კონსერვატიული მოძრაობის მხარდამჭერია და „ალტინფოს" გადაცემების ხშირი სტუმარია. გადაცემების ჩანაწერებს კი როგორც საკუთარ, ასევე ვარდიგორის მამათა მონასტრის Facebook გვერდზეც აზიარებს.[184]

ჰომოფობიური და ანტიგენდერული გზავნილების გავრცელებაში მეუფე **სპირიდონ აბულაძეც** აქტიურად იყო ჩართული. სპირიდონ აბულაძე წმინდა სინოდის წევრი და ნინოწმინდის ბავშვთა პანსიონის ყოფილი დირექტორია, რომლის საქმიანობის შესწავლა, ბავშვთა მიმართ ძალადობის საფუძვლით, ასევე პანსიონში სახელმწიფოს წარმომადგენლების დაშვება, მხოლოდ სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას ჩარევის და დიდი

179 Pravaslavie.ru, "Современный Враг Христианства," ბოლო ნახვა 12 თებერვალი, 2023, https://pravoslavie.ru/38268.html

180 Pravaslavie.ru, "Неужели Содом — Наш Будущий Дом?" ბოლო ნახვა 12 თებერვალი, 2023, https://pravoslavie.ru/69443.html

181 Zneoba.ge, „ყრმათა გახრწნის შესახებ – არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი)", ბოლო ნახვა 12 თებერვალი, 2023, https://zneoba.ge/1197/

182 მითების დეტექტორი, „რადიკალიზაცია რელიგიის სახელით და პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ – ვინ რისთვის იყენებს ღირსების მარშს?" 6 ივლისი, 2021, http://bit.ly/3DZ7nRZ

183 აი, ფაქტი, „მღვდლები ძალადობრივ აქციაზე", 26 ივლისი, 2021, https://ifact.ge/mghvdlebi/

184 მედიის განვითარების ფონდი, 2022. „ძალადობრივი ჯგუფების ანატომია – 1 წელი 5 ივლისის მოვლენებიდან" https://mdfgeorgia.ge/geo/view-library/229

ძალისხმევის შედეგად გახდა შესაძლებელი. აბულაძე ჯერ კიდევ 80-იან წლებში ორჯერ იყო ნასამართლევი, მათ შორის ერთი მძიმე დანაშაულის კატეგორიაში გადიოდა.[185]

სპირიდონ ცქიფურიშვილის მსგავსად აბულაძეც ახალისებდა 5 ივლისის ძალადობას,[186] უკრაინაში რუსეთის ინტერვენციას კი ღვთის სასჯელს უწოდებდა, რის მიზეზადაც პრეზიდენტად გეი აქტივისტის არჩევას და უკრაინაში ყოველწლიურად გეი პარადების ჩატარებას ასახელებდა.[187]

რაც შეეხება **სტეფანე კალაიჯიშვილს**, იგი ჭყონდიდის მიტროპოლიტია, რომელიც ასევე ანტიდასავლური და ჰომოფობიური გზავნილებით გამოირჩევა. იგი სხვადასხვა დროს ჩართული იყო სახალხო დამცველ ნინო ლომაჯრიასა[188] და თბილისი პრაიდის[189] დისკრედიტაციის კამპანიებში.

ხელისუფლებასთან და ოპოზიციასთან დაკავშირებული ანონიმური ფეისბუქ ანგარიშები. ანონიმური ანგარიშები, რომლებიც ხელისუფლების ან ოპოზიციის ინტერესებს ახმოვანებენ, მეტწილად გენდერის თემატიკაში ფიგურირებენ. მათი სამიზნე ძირითადად ქალი პოლიტიკოსები, ხელისუფლების შემთხვევაში კი ქალი ჟურნალისტი და უფლებადამცველებიც იყვნენ.

გამოიკვეთა შემდეგი ფეისბუქ გვერდები, რომლებიც დისკრედიტაციის კამპანიაში ან დეზინფორმაციის გავრცელებაში იყვნენ ჩართული:

- **ხელისუფლებასთან დაკავშირებული FB ანგარიშები:** ლიდერი 41, მიხეილ უკრაინოლოგი, სიმართლის დროა, ტერენტი გლდანელი, პოლიტიკური სამარე.
- **ოპოზიციურ ნაციონალურ მოძრაობასთან დაკავშირებული FB ანგარიში:** ლურჯი ვირი.

185 რადიო თავისუფლება, „გოჩა, იგივე გრიგოლი, იგივე მეუფე სპირიდონი – პანსიონატის ბოქლომი“, 4 ივნისი, 2021, https://www.radiotavisupleba.ge/a/31290919.html

186 რადიო თავისუფლება, „მეუფე სპირიდონი 5 ივლისის ძალადობაზე: კიდევ კარგად გადარჩით თქვენ“, https://www.radiotavisupleba.ge/a/31376250.html

187 რადიო თავისუფლება, „პუტინის ჩუმი და ხმამაღალი მხარდამჭერები რუსეთში, საქართველოში“, 14 მარტი, 2022, https://www.radiotavisupleba.ge/a/31752815.html

188 მითების დეტექტორი, „რადიკალიზაცია რელიგიის სახელით“, http://bit.ly/3DZ7nRZ

189 მითების დეტექტორი, „ვინ ჩაერთო სახალხო დამცველის წინააღმდეგ დისკრედიტაციის კამპანიაში?“ 15 ივნისი, 2021, https://bit.ly/3lkbcnz

ინფოგრაფიკა 2. ანტი-გენდერული, ანტი-ლგბტქი გზავნილების მთავარი წყაროები



WWW.MDFGEORGIA.GE
WWW.MYTHDETECTOR.GE
WWW.GENDERBAROMETER.GE